საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 8 აპრილი 1999 №63 (836) | ფასი 1 ლარი

მოუგეთ ნორვეგიას და!..

ნორვეგიასთან მოგებაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია არნახულ პრემიას იხდის

დღეს თასების თასის ნახევარფინალია

„ჩელსი“ თასის ზედიზედ მეორედ მოგებას აპირებს, მაგრამ „მალიორკა“ სხვაგვარად ფიქრობს... „ლოკომოტივს“ მსოფლიოს უძლიერესი კლუბის დამარცხება სწადია, „ლაციო“ კი ფინალის საგზურის განაღდებას მოსკოვშივე ეცდება...

UEFA Cup Winners' Cup

კიევის „სისტემური“ ევროგაზაფხული

ბურესთან თამაშობდა, გრეცკიმ გამარჯვება მიულოცა



ინტერვიუ კოტე ბახუტაშვილთან, ერთადერთ ქართველთან, რომელმაც დიდი ჰოკეი ითამაშა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

საფეხბურთო მატჩი 90 წუთს გრძელდება. შეხვედრის ყოველი წუთი ერთნაირად ფასობს, არ აქვს მნიშვნელობა პირველია თუ ბოლო. წუხელ, უკრაინის დედაქალაქ კიევში, ათასობით გულშემატკივრის ქომაგობით შეგულიანებული „დინამო“ მიუნხენის „ბაიერნს“ ბოლო წუთამდე ამარცხებდა, თუმცა გერმანელებმა ბოლომდე იბრძოლეს და ანგარიში გააყაიმეს. მანჩესტერში, ულამაზეს „ოლდ ტრაფორდზე“ ტურინის „იუვენტუსი“ 1:0 იგებდა მანამ, სანამ შეხვედრის ბოლო წუთი არ დაიწყო — ძალიან დაძაბული თამაშის უკანასკნელ წამებზე რაიან გიგზმა უძლიერესად გაისროლა და... 1:1. ფინალამდე გუნდებს ერთი ნაბიჯი დარჩათ, თუმცა ნურვის ეგონება, რომ „ბაიერნს“ და „იუვენტუსს“ თავი ქუდში აქვთ — საპასუხო ნახევარფინალები გაცილებით დაძაბული იქნება, ვიდრე წუხელ იყო.

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი

REUTERS კიევიდან

დინამო — ბაიერნი 3:3. კიეველთა მეორე გოლისას კანის კართან ისეთი არეულობა იყო, გასაკვირი სულაც არაა კახა კალაძეს გოლი თავისად რომ მიაჩნია

გუშინ „ისანზე“. „არსენალი“ — „ტორპედო“: ქუთაისელი კახა კვეტენაძე (№7) თბილისელ ლაშა ყოლბაიას ბურთს არ ანებებს

საქართველოს თასი

პირველი ნახევარფინალური მატჩები

ლოკომოტივი	0
სამგურალი	0
არსენალი	1
ტორპედო	2

გუშინ ქუთაისის „ტორპედომ“ ერთი მოზრდილი ნაბიჯი წადგა საქართველოს თასის ფინალისკენ. თბილისში „არსენალის“ 2:1 მძლეველს 20 აპრილის საპასუხო მატჩის სასურველი შედეგით დასრულება არ უნდა გაუჭირდეს. სამაგიეროდ მეორე ფავორიტმა „ლოკომოტივმა“ თასის გათამაშებაში ზედიზედ მეხუთე 0:0 ითამაშა, ამჯერად „სამგურალს“ დაშორდა უგოლოდ. 0:0 პირველ მატჩში ის შედეგია, რომელიც ორივე გუნდს თანაბარ შანსს უნარჩუნებს. იქნება, „დინამოს“ და „ბათუმის“ მომგები „ლოკომოტივისთვის“ წყალტუბოელებთან საშინაო ფრე საპრობლემო, ამას საპასუხო მატჩი გვაჩვენებს. ვინ იცის, ეგებ, თბილისელებს ისევ პენალტისტი შეკარის ლევან დოლაბერიძის დახმარება დასჭირდეთ.

იხილეთ მესამე გვერდი

არმიამ სარდალი დაკარგა

მამუკა გეგეჭკორი ჟურნალისტებმა შეიწირეს?



მამუკა გეგეჭკორი



დავით ჩახავა

...უთანხმოება კლუბის ხელმძღვანელობასა და მწვრთნელს შორის ჯერ კიდევ გუნდის ბულგარულ შეკრებაზე ყოფნისას მომხდარა

გუშინწინ თბილისურმა „არსენალმა" მთავარი მწვრთნელი დაკარგა. მამუკა გეგეჭკორი „ვიღაცეების ხუშტურებს" შეეწირა.

მწვრთნელის გათავისუფლების მარტივი პრინციპი არსებობს — გუნდის მიერ ნაჩვენები არადამაკმაყოფილებელი შედეგები. უთანხმოება ფეხბურთელებსა და მწრთნელს შორის და ასე შემდეგ. მაგრამ ამჯერად ამ ფაქტორებზე საუბარიც კი არ ყოფილა. მაშ, რატომ უნდა გამოეცხადებინათ „არსენალის" თავკაცისთვის მთავარი მწვრთნელობიდან თავისუფალი ხარ, თუ გსურს, გუნდში მეორე კაცად დაგნიშნავთო.

იცით, რატომ გაათავისუფლეს მამუკა გეგეჭკორი დაკავებული თანამდებობიდან? ჟურნალისტებისთვის ყოველგვარი ინტერვიუს მიცემა აკრძალული გქონდაო.

— გუნდის თამაშიდან და შედეგებიდან გამომდინარე არ გავუთავისუფლებივართ. ეტყობა, ვიღაცას აწყობდა ჩემი გუნდიდან გაშვება და ჟურნალისტებისთვის ინტერვიუების მიცემა მოიმიზეზეს. ღმერთი, რჯული, ჯერ ერთი, რამდენადაც მახსოვს, ამ ბოლო დროს ინტერვიუ არავისთვის მიმიცია. ხოლო თუ ჟურნალისტმა გაიგო, რა ხდება გუნდში და ამის შესახებ საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდა, ეს მისი საქმეა — განმარტა თასის ნახევარფინალის წინა დღეს გათავისუფლებულმა მწვრთნელმა.

ჯერჯერობით უსარდლოდ დარჩენილ, შუა გზაზე მიტოვებულ გუნდს გუშინ „ტორპედოსთან" მატჩში აქამდე მეორე წრიდან გეგეჭკორის თანაშემწე, დავით ჩახავა გაუძღვა. იმასაც ამბობენ, „არსენალში" მთავარი მწვრთნელის პოსტს სწორედ ჩახავა დაიკავებსო.

აქვე 52 წლის დავით ჩახავას სამწვრთნელო ბიოგრაფიაზეც გეტყვით. იგი ძირითადად ბავშვთა გუნდებში მწვრთნელობით არის ცნობილი. ჩახავა 18 წლის მანძილზე 35-ე საფეხბურთო სკოლაში მუშაობდა. 1990 წელს კი ეროვნული ჩემპიონატის მეორე ჯგუფში 1973 წელს დაბადებულებით დაკომპლექტებულ გუნდს ავარჯიშებდა. 1989-ში იყო მინიფეხბურთის კლუბ „ვაკეს" მწვრთნელი, რომელთან ერთადაც მოსკოვში სსრკ-ს ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

ასეა თუ ისე, გეგეჭკორი „არსენალიდან" უკვე წავიდა. ერთის თქმა კი ნამდვილად ღირს, როგორც ჩანს, არმიელთა გუნდში ციხე შიგნიდან გატყდა. ვიღაც-ვიღაცეების სურვილს გუნდის ინტერესები ეწირება. ნებსით თუ უნებლიედ უაზროდ გაფანტული ქულები, უჯიგრო და უილაჯო ფეხბურთი და ეგებ...

გეგეჭკორი კი გაუშვეს, მაგრამ მისი გუნდიდან გათავისუფლება მისი წინამორბედის ოთარ კორძალიძისას ხომ არა ჰგავს? იქნებ ასეცაა.

გიორგი ვაშაკიძე

ავტობუსით ჰერი, ჰერი!?

რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრები გადამწყვეტი მატჩის ჩასატარებლად ოპავაში ავტობუსით გაემგზავრება. კიდევ კარგი, რომ ამგვარი მგზავრობა „კოპალას ბიჭებს" გერმანიიდან მოუწევთ და „სულ რაღაც" 14 საათში ადგილზეც იქნებიან. გასაგებია, რომ სფფ ყადაღადადებული ანგარიშის წყალობით დიდი დილემის წინაშე დგას, მაგრამ ქართველ იუნიორებს ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად ხომ სულ ერთი ნაბიჯის გადადგმა სჭირდებათ. 21 აპრილს ჩეხეთის ნაკრებთან სასურველი შედეგის მიღწევა განმეორებითი მატჩის წინ ჩვენს თვრამეტწლამდელთა შანსებს ერთიორად გაზრდის. ამიტომ ვახტანგ კოპალეიშვილი, ნაკრების მთავარი მწვრთნელი, უფრო მეტი ხელშემწყობის ღირსია. ამგვარ მატჩებზე ეროვნული ნაკრები (მერე რა რომ თვრამეტწლამდელთა), ავტობუსის კიბეებიდან არ უნდა გადიოდეს. ერთიცაა, ოპავაში ქართველთა სტუმრობის ხარჯებს მთლიანად ჩეხეთის ფეხბურთის ფედერაცია გაიღებს (გარწმუნებთ, მათი საბანკო ანგარიში გაყინვისგან გვარიანად დაცულია), მსგავსის გაკეთება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას განმეორებითი შეხვედრის წინ (მატჩი 11 მაისს ბათუმში გაიმართება) მოუწევს, ოღონდ ძნელი სათქმელია, ყადაღადადებული ანგარიშით ამას როგორ მოახერხებს. იქნებ საგადასახადო ინსტანციამაც გადასინჯოს თავისი გადაწყვეტილება, კომპრომისის გამონახვა ხომ ყოველთვის შესაძლებელია. თორემ ფაქტია, ამით დღეს სფფ-ზე მეტად გულშემატკივრისთვის ყველაზე ძვირფასი ქართული ფეხბურთი იზარალებს.

პაატა ძვანტალიანი

მოუგეს ნორვეგიას? მიიღეს პრემია!

საქართველოს ეროვნული ნაკრების თავზე მართლაც შავ ღრუბლებს მოუყრია თავი. სლოვენიასთან ფრედ ნათამაშევმა შეხვედრამ ჯგუფიდან გასვლის თეორიულ-პრაქტიკული შანსი კი დაგვიტოვა, მაგრამ ამავე დროს ნათლად დაგვანახა, რომ ჩვენი ნაკრები ამ შანსების პრაქტიკულად გამომყენებელი არ არის (ღმერთმა ქნას, ვცდებოდეთ). შესარჩევ ციკლს ავად თუ კარგად დასრულება უნდა. აგერ, 28 აპრილს ნორვეგიელებს ვმასპინძლობთ, ნაკრებში კი ყველაფერ სიკეთესთან ერთად მთავარი მწვრთნელის საკითხიც გაურკვეველია. უფრო სწორად გარკვეული ერთი რამ არის — ვლადიმერ გუცაევმა ნორვეგიის შემდეგ წასვლა გადაწყვიტა და ამის შესახებ ხმამაღლაც განაცხადა. კაცმა არ იცის, ნორვეგიამდე და მის მერეც მოვლენები როგორ განვითარდება, მაგრამ ერთი რამ ნათელია — წამსვლელი კაცის კვალობაზე გუცაევი უაღრესი პასუხისმგებლობით ეკიდება სკანდინავიელებთან გასამართ მატჩს და შეხვედრისთვის მზადების თადარიგს ამთავითვე იჭერს.

გუშინ ეროვნული ნაკრების თავკაცი ფეხბურთის ფედერაციის შენობაში გამოცხადდა (ნაკრებიდან წასვლის ყოველგვარი ოფიციალური განცხადების გარეშე) და გენერალურ მდივანს, ვალერი ჩოლარიას შეხვდა. მათი საქმიანი საუბარი მთლიანად სანორვეგიოდ მზადების საკითხს მოიცავდა. გუცაევმა გენერალურ მდივანს 28 აპრილის მატჩისთვის გამოსაძახებელ ლეგიონერთა სია წარუდგინა და ამით ფედერაციას თავსატეხიც გაუჩინა. რატომ? დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციის „მაღლი" ხომ დღესაც სცხის სფფ-ს, სახელმწიფო ინსტანციის გადაწყვეტილება ისევ ძალაშია — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საბანკო ანგარიშს ყადაღა ადევს. ლეგიონერთა გამოძახების ხარჯებს სფფ თავის თავზე იღებს და გაყინული ანგარიშის შემხედვარე გამოსავალს ისევ „ეარ ჯორჯიაში" ხედავს. სლოვენიის ნაკრებთან შეხვედრისთვის ქართველი ლეგიონერების მგზავრობის ხარჯებს 21 000 დოლარისთვის მიუკაკუნებია. მაშინაც შემწედ ჩვენს ფედერაციას „ეარ ჯორჯია" გამოუჩნდა. მოკლედ, ეს ფირმა მზად არის, კვლავაც სფფ-ს სამსახურში იყოს. ოღონდ ეგ არის, ამ ვალის დაბრუნება ჩვენს ფედერაციას უკეთესი დროების დადგომისთანავე მოუწევს. ერთიცაა, „ეარ ჯორჯია" რეისებს ფრანკფურტიდან ახორციელებს. გამოდის, რომ სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ ლეგიონერთა შეკრებაც ამ ქალაქში უნდა მოხდეს. ფრანკფურტამდე ჩასვლა კი თავის მხრივ გარკვეულ ხარჯებს უკავშირდება და სფფ-ს სწორედ საამისო თანხები აქვს მოსაძიებელი. საგადასახადო ინსპექციასთან მოლაპარაკებებს კი ჯერჯერობით სასურველი შედეგი არ მოაქვს. პრობლემა პრობლემად რჩება. სფფ-ში კი რიხით აცხადებენ — მდგომარეობას არ შევურიგდებით, ჩვენ ჩვენსას გავიტანთო.

კარგი იქნება, თუ მსგავსი სულისკვეთება ეროვნულ ნაკრებშიც იქნება. ვგონებ, გასატანი იქ უფრო მეტია.

და კიდევ ერთი. სფფ-სგენელარული მდივანის ვალერი ჩოლარიას განცხადებით ნორვეგიის ნაკრებთან წარმატების შემთხვევაში თითოეულიქართველი ფეხბურთელი საკმაოდ სოლიდურ ფულად პრემიას მიიღებს.

პაატა ძვანტალიანი

ჯამარაულმა ჯადოქრობა დაიწყო

„თბილისელი ჯადოქარი" — სწორედ ამ ეპითეტით მოიხსენიეს „ციურიხის" ქართველი ლეგიონერი გოჩა ჯამარაული შვეიცარიელმა ჟურნალისტებმა. გასულ შაბათს, შვეიცარიის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მეხუთე ტურში, „ციურიხი" გათამაშების ლიდერ ჟენევის „სერვეტს" ეწვია და მნიშვნელოვანი ორი ქულა დააკარგვინა, რაშიც ლომის წილი ჯამარაულმაც შეიტანა. ციურიხელთა მთავარმა მწვრთნელმა რაიმონდ პონტემ ქართველ ნახევარმცველს ამ მატჩში გამთამაშებლობა დააკისრა და გოჩამაც ჩინებულად შეასრულა დავალება. ჯამარაულმა იმ დროის მანძილზე, რაც მინდორზე დაჰყო, თანაგუნდელებს საგოლე პასები არ დააკლო. თუმცა მისი გადაცემა ციურიხელებმა მხოლოდ ერთხელ გამოიყენეს — პირველი ტაიმის მიწურულს კუნცმა ანგარიში გახსნა. „სერვეტმა" წონასწორობის აღდგენა 70-ე წუთზე შეძლო, სტუმართა მეკარე შორუნმურეის დარტყმულ ბურთს ვერ გაუმკლავდა. 77-ე წუთზე პონტემ ჯამარაული გამოცვალა. გოჩას კარგ თამაშს თუ გავითვალისწინებთ (მან უმაღლესი შეფასება — 5 ბალი მიიღო), მისი შეცვლა, ალბათ, დაღლამ განაპირობა.

აღსანიშნავია, რომ ფინალური ეტაპის დაწყებამდე „ციურიხი" „სერვეტთან" და მიხეილ ყაველაშვილის „გრასჰოპერთან" ერთად ჩემპიონობის მთავარ კანდიდატად ითვლებოდა, მაგრამ საწყის ოთხ ტურში ქულის აღებაც ვერ შეძლო და ლიდერებს გვარიანად ჩამორჩა.

დაბოლოს, ერთიც ვთქვათ. რა თქმა უნდა, ჩვენი ლეგიონერების უცხოურ კლუბებში წარმატებული თამაში გასახარია, მაგრამ ქართველ გულშემატკივრებს ის უფრო ეამებათ, თუ ისინი ეროვნულ ნაკრებშიც ისევე გამოიჩენენ თავს, როგორც „ციურიხებში" და „ნიუკასლებში".

ვანო ოძროპირიძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

გოჩა ჯამარაული (№8) ალბანელებთან მატჩისას

ან კი, ან არა

გიორგი ჩიხრაძემ, რომელიც დღესაც დონეცკის „შახტიორს" ეკუთვნის, შეიძლება თბილისის „ლოკომოტივში" გააგრძელოს თამაში.

თუმცა, ისეც შეიძლება მოხდეს, რომ ჩიხრაძემ ვერ ითამაშოს „ლოკომოტივში". ყველაფერი რკინიგზელთა შედეგზე, მათს სურვილზე და უფრო მეტად კი შესაძლებლობებზეა დამოკიდებული — დონეცკის „შახტიორი" ფეხბურთელში გარკვეულ თანხას ითხოვს, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დააღწიოს უკრაინელთა გრძელვადიან კლანჭებს თავი ერთ დროს ეროვნული ნაკრების, „ცხუმის", „დინამოს", ერთ-ერთი ჩინური კლუბის და რა თქმა უნდა, „შახტიორის" ფეხბურთელმა.

— საკონტრაქტო თანხა არ არის დიდი, არ ვიცი, რას და როგორ გადაწყვეტენ „ლოკომოტივის" ხელმძღვანელები, ყოველ შემთხვევაში, ჩემი ამ გუნდში თამაში ჯერაც სათუოა, ყველაფერი კლუბის თავკაცებთან შეხვედრისას გაირკვევა. მთავარია, მათ მოისურვონ „შახტიორისთვის" საკონტრაქტო თანხის გადახდა — გვითხრა ფეხბურთელმა.

ლუკა თალაძგაძე

პირველად საქართველოში, საქართველოს მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირი, საქართველოს მინი-ფეხბურთის ასოციაცია, საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია და საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტი აწყობენ მინი-ფეხბურთის ტურნირს სახელწოდებით

საქართველოს ახალგაზრდობის თასი

ტურნირის საინფორმაციო მხარდაჭერას უზრუნველყოფენ გაზეთი „სარბიელი" და რადიო „აუდიენცია".

მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ყველა რეგიონის ახალგაზრდებს. ერთდროულად გათამაშდება: *თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, გურიის, სამეგრელოს, იმერეთის, რაჭის, შიდა ქართლის, მესხეთ-ჯავახეთის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის* და *ქვემო ქართლის* „ახალგაზრდობის თასი". რეგიონებში გამარჯვებულები გაითამაშებენ „საქართველოს ახალგაზრდობის თასს".

გამარჯვებულთათვის დაწესებულია სოლიდური საპრიზო ფონდი.

მონაწილეობის მსურველებს გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ:

თბილისი — 92-11-90, 39-34-27, 29-28-94; ბათუმი — 7-23-71; ოზურგეთი — 6-54-99; ზუგდიდი — 2-20-51; ქუთაისი — 4-54-11; ონი — 2-04-77; გორი — 2-58-27; ახალციხე — 2-13-72; თელავი — 3-11-69; დუშეთი — 2-13-33; რუსთავი — 12-96-51

საქართველოს თასი
ნახევარფინალის პირველი მატჩები

მობილური ფრე

თბილისი
7 აპრილი
15 საათი
„26 მაისი“
3 000 (ტევადობა 16 000)

ლოკომოტივი 0:0 სამგურალი

ლოკომოტივი: დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, დ. მუჯირი, ბარნოვი, ზ. არჩვაძე, ვ. კილასონია, კაციაშვილი, შ. ხუჯაძე, ღუდუშაური (დ. გოდერძიშვილი 46), გოგობერიშვილი, ნივნივაძე
სათადარიგონი: დოლაბერიძე, დაუშვილი, კ. მელქაძე, ბაქრაძე, კ. გოგოლაძე, კოტორაშვილი
სამგურალი: ასლანაძე, მახვილაძე, ბურნაძე, ლ. ქობულაძე, ვოსკანოვი, ძაგნიძე, აფციაური, გ. კილასონია (დარსაძე 90), გიორგობიანი, ჯავახაძე (სუხიაშვილი 66), გ. შენგელია (ზ. ქუთათელაძე 88)
სათადარიგონი: ბობოხიძე, ლონლაძე, გ. თევზაძე, მ. ჯინჭარაძე
გაფრთხილება: არჩვაძე (13), ჯავახაძე (27), გოგობერიშვილი (29), ასლანაძე (73), სუხიაშვილი (86)
მსაჯები: ს. კვარაცხელია, კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), ა. სამხარაძე (სოხუმი), მ. ელიკაშვილი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო
სფფ-ის დელეგატი: დ. ქლიბაძე

კონსტანტინე გოგიშვილი

აჩრდილი დადიოდა ვაკეში, გაიოზ დარსაძის აჩრდილი — ერთნი ამბობდნენ, აქ იქნებაო, მეორენი იძახდნენ — არა, აქ არ არის, მატჩს ტელევიზორში უყურებსო. რაც მართალია, მართალია, გაიოზ დარსაძე წყალტუბოელთა სათადარიგოთა სკამზე არ იჯდა, მაგრამ მისი მაგიერი დავით გენძეხაძე რაღაც ხშირ-ხშირად კი ლაპარაკობდა მობილურ ტელეფონზე და დიდი მიხვედრაც არ უნდოდა — დარსაძე იქიდან ხელმძღვანელობდა „სამგურალს“.

საქართველოს თასის ნახევარფინალში ორი აშკარა ფავორიტის მომნელებელი და აწ უკვე თავადაც ფავორიტად ქცეული „ლოკომოტივი“ აუცილებელ საშინაო გამარჯვებას კი გეგმავდა, მაგრამ ისე მოხდა, ვერაფერი გააწყო წყალტუბოელთა ორგანიზებულ და ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე საკმაოდ დაწყობილ გუნდთან და მორიგი უგოლო ფრე შეჰმატა ნულებით ისედაც დახუნძლულ საკუთარ ისტორიას.

არადა, შეეძლო „ლოკომოტივს“ გატანა, ისევე, როგორც „სამგურალს“. ისეთი ბურთები არ გავიდა, როგორც ერთი, ისე მეორე მეტოქის კარში, კაციშვილი (და კაციაშვილიც) ვერ მოიფიქრებდა.

ჯერ იყო და თბილისელმა გოგობერიშვილმა მოარტყა ძელს მეკარისთვის თავზე გადაგდებული ბურთი... მერე მუჯირი დარჩა მახვილი კუთხიდან მეკარესთან პირისპირ... მეორე ტაიმში, როცა იმერლებს სალამიც არ დაემთავრებინათ, გოდერძიშვილის დარტყმული გამოაძრო კარის ხაზიდან ერთ-ერთმა წყალტუბოელმა... ამდენმა საგოლეებმა, ეტყობა, გიორგი რამაზის- ძე შენგელიაც მოიყვანა იშტაზე და ორჯერ მანაც აშკარად გასატანი გააცუდა...

ერთი სიტყვით, იყო შესაძლებლობა (შესაძლებლობები!), მაგრამ ბურთი მაინც არ გადიოდა.

სათასო თამაშები, ჩვეულებრივ, უსახურობით და პრაგმატულობით გამოირჩევიან. „ლოკომოტივი“ — „სამგურალის“ მატჩის პირველი ნახევრის შემხედვარე ეჭვიან და ჩასაფრებულ კაცს ეგეგ ასეც ეფიქრა, მაგრამ მერე და მერე აიწყვიტეს და გაილაღეს მოთამაშეებმა და ისეთი ფეხბურთი გააჩაღეს, კარგა ხანი რომ არ ღირსებია „26 მაისის“ სტადიონზე სულ ერთი თვის წინ ამოწვერილ და უკვე უმწიკვლოებადაკარგულ ბალახს.

ცოტ-ცოტა ყველაფერი ვიხილეთ ამ შეხვედრაში — თავდამსხმელთა აქტიური, „მოხეტიალე“ თამაში, ერთიორი სახიფათო თავური, მუჯირის ზომიერად კარგი საჯარიმო დარტყმა და, რაც მთავარია, მოგების, ფეხბურთის თამაშის სურვილი.

„სამგურალი“ აშკარად დაცვაზე ორიენტირებულ ფეხბურთს თამაშობდა, ოთხი მცველის წინ გამოცდილი მამუკა აფციაური იდგა და ასლანაძის კარისკენ გაგზავნილი ლამის ყველა ბურთი მან მოიგერია, მას მხარი აუბა გიორგობიანმაც, რომელიც სირბილს, უბურთო თამაშს არ იზარებდა და იმერელთა იშვიათი კონტრშეტევების დროს საჭირო ადგილზეც ჩნდებოდა. ეგ იყო, ერთი-ორჯერ პასი დაუკავეს თანაგუნდელებმა, ცარიელი კარის წინ მდგარს.

შედგა და არც შედგა ძმები კილასონიების დუელი. გიორგისაც და ვარლამსაც გულით კი სურდათ საკუთარი გუნდებისთვის სარგებლის მოტანა, მაგრამ ისე მოხდა, აშკარა, დასამახსოვრებელი და კილასონიებისებური არც არაფერი გამოსვლიათ.

„ლოკომოტივს“ რაც შეეხება, რკინიგზელებს მეტად და მეტად სურდათ განმეორებითი მატჩის წინ ერთი-ორ ბურთიანი მარაგის შექმნა, მაგრამ მათი სურვილი არ ემთხვეოდა მათსავე შესაძლებლობებს და აკი ნულოვანი ფრეც შედგა. თუმცა ამ გათამაშების და საერთოდ „ლოკომოტივის“ გამოცდილებიდან თუ ვიმსჯელებთ, „26 მაისზე“ 0:0 ბევრსაც არაფერს წყვეტს. დიდი შანსია, განმეორებითი მატჩიც ასეთივე ანგარიშით მორჩეს და დამატებითი დროის 28-ე, ანუ თამაშის 118-ე წუთზე შემოსულმა ლევან დოლაბერიძემ მორიგ პენალტების სერიაში გაამარჯვებინოს თავის გუნდს.

ასე რომ, უპრიანია, წყალტუბოში გასამართ განმეორებით შეხვედრას დაველოდოთ. ეს შეხვედრა კი, თუ გატანილი გოლებით არა, სხვა რამეებით გამოირჩა: ბურთი წამდაუწუმ ხან ერთი, ხან მეორე გუნდის ფეხბურთელებს სახეში ხვდებოდა... ერთი-ორჯერ არბიტრები შეცდნენ და აუტი ერთის მაგიერ მეორე გუნდს მოაწოდებინეს... მსაჯებზე სიტყვა ჩამოვარდა და სათადარიგო არბიტრ მალხაზ ელიკაშვილზეც უნდა ითქვას — იგი პირველი ქართველი მსაჯია, ვინც შიდაქართულ ბურთაობაში ოფიციალურად დაიჭირა ხელში გერმანიიდან ჩამობრძანებული ელექტროდაფა, რომელზეც ცივილიზირებულ ფეხბურთში (უკვე ჩვენთანაც) შეცვლილ ფეხბურთელთა ნომრებს და მსაჯის მიერ დამატებულ წუთებს აღნიშნავენ-ხოლმე.

ისე, კი ძვირი საგანი კი ჩანს ეს ელექტროდაფა. უნდა გენახათ, როგორ დაჰკანკალებდა სათადარიგო მსაჯი ხსენებულ ნივთს — ასე განსაჯეთ, შესევნიავსაც კი არ აკარებდა.

ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲔᲠᲛᲝᲜᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲔᲠᲔᲯᲙᲝᲜᲘᲐ

ლოკომოტიველმა ჰამლეტ წივწივაძემ (№9) ერთი-ორჯერ სახიფათო თავური დარტყმა კი მოახერხა, მაგრამ ასლანაძეს ვერ გაუტანია

თავისებური ეშხი თამაშს წყალტუბოელთა მწვრთნელმა დავით გენძეხაძემაც შეჰმატა — ეს შუაგულ იმერეთში გაზრდილი და ბაში-აჩუკზე უფრო იმერელი კაცი ზოგჯერ იმგვარს შემოსძახებდა-ხოლმე, იმერეთს არა და გურულ კრიმანჭულს უფრო გაგახსენებდა კაცს.

წყალტუბოში თამაში კი არა, ნამდვილი ბრძოლა იქნებაო — წასვლის წინ ერთხელაც დაიმუქრნენ იმერლები და... დანარჩენი 20 აპრილს ვნახოთ.

რა ბედის ხარ, რა ვარსკვლავის...



თბილისი
7 აპრილი
17.30 საათი
ისანი
1 500 (ტევადობა 5 000)

არსენალი 1:2 ტორპედო

1:0 ზირაქიშვილი (47), 1:1, 1:2 ჩხეტიანი (52, 58)
არსენალი: ჩლაიძე, ვ. გველესიანი, ჩიქოვანი, ყოლბაია, აბაზაძე, ცოტაძე, ტარიელაშვილი, ამირიძე (კოხრეიძე 66), კაკაშვილი (ხოსრო-შვილი 75), მ. მაისურაძე, ზირაქიშვილი
სათადარიგონი: კუპატაძე, გაგუა, კვირკველია, თვალაბეიშვილი
ტორპედო: ჭანტურია, ახვლედიანი, თურმანიძე, შეყრილაძე, მაღლაკელიძე, ხვადაგიანი, ჩხაბრიძე (კ. ჯანაშია 70), კვეტენაძე, ჩხეტიანი, დ. ჯანაშია, იმედაძე
სათადარიგონი: სტურუა, ვაჩიბერაძე, კ. მეტრეველი, მაზანიშვილი, მეგრელაძე, იონანიძე
გაფრთხილება: კ. ჯანაშია (80)
მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ზ. დოლიძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); გ. ასკაროღლი (ქარელი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი
სფფ-ის დელეგატი: გ. ძაგანია

ხვიჩა სანიკიძე

„**საქმეს** დიდი თავდაჯერებით მიუდექით და მიხვდებით, თუ რა იოლი ყოფილა ჩანაფიქრის განხორციელება. ირწმუნეთ, რომ შეუძლებელი არაფერია და მართლაც ყველაფერი გამოგივათ“ — ეს სიტყვები არც კრიზისში მყოფ „ტორპედოს“ მწვრთნელ ჯემალ ხერხაძეს ეკუთვნის და არც ფინანსურად შეჭირვებული „არსენალის“ ახალდანიშნულ თავკაც დავით ჩახავას. ყოველივეს ზოდიაქოს მიხედვით თევზის ნიშნით დამადებულებს 7 აპრილს ურჩევდნენ. გუშინ ხარება იყო. ხარებას კი თევზის ჭამა სჩვევიათ მართლმადიდებელ ქრისტიანებს. თუმცა წლეულს ეს რელიგიური დღესასწაული მთვარის მოქცევის გამო ბზობის შემდგომ მოგვეელინა და მძიმე მარხვაში გვეწია. ამის გამო კი თევზის მირთმევა აკრძალათ მომარხულეებს. მე არ ვიცი, როგორ დამკიდებულებაში არიან სკულის კანონთან ხუთკერიანი ღერბით თავმომწონე არსენალელები, მაგრამ ერთი რამ ფაქტია — გუშინ „ისანზე“ პირის მიკარება კი არა, საერთოდ ერიდებოდნენ თევზთან მიახლოებას. თევზი კი, რა თქმა უნდა, ზოდიაქოს მიხედვით, ტორპედოელი კახა ჩხეტიანი იყო. თუმცა ის, რომ ქუთაისელი ნახევარმცველი ხშირად რჩებოდა მეტოქე მცველებისგან თავისუფალ ზონაში, მისი დამსახურება უფრო გახლდათ, ვიდრე არმიელების რელიგიური მსოფხედველობისა. ჩხეტიანისა და ჰოროსკოპის ამბავი კი ერთმა ისტორიამ გამახსენა. თასის გათამაშების მეოთხედფინალის საპასუხო შეხვედრა ჰქონდა „ტორპედოს“ რუსთავში „გორდას“ წინააღმდეგ. ის შეხვედრა 24 თებერვალს, სწორედ ჩხეტიანის დაბადების დღეს დამთხვა. კახა ერთი საუკეთესო იყო იმ მატჩში, ისე როგორც გუშინ.

უჭირს „არსენალს“. თავდაცვის სამინისტროს პირმშოს ფინანსურად ვერა აქვს საქმე კარგად. სულ ახლახანს კლუბი ორმა ფეხბურთელმა დატოვა. მათ მთავარი მწვრთნელი მამუკა გეგეჭკორი შეურთდა, ოღონდ არა თავის ნებით. მისმა შემცვლელმა ჩახავამ კი გუშინ პირველად გამოიყვანა გუნდი სათამაშოდ და ბევრს ვერავინ მოსთხოვდა. ისე, არც „ტორპედოს“ ულხინს. ქუთაისელები დაღმასვლის გზაზე დგანან და ჩემპიონატის ბოლო სამ ტურში რვა ქულის დამკარგველებს ბედმა გაულიმათ, თასის ნახევარფინალში „არსენალი“ რომ შეუწყვილა. თუმცა წინასწარ „ტორპედოს“ ფინალისტობაზე ლაპარაკი ნაადრევია. სათასო მატჩებს ხომ ყოველთვის მოულოდნელობები ახასიათებს.

მოულოდნელი იყო ის გოლიც, ტორპედოელებმა რომ მიიღეს საკუთარ კარში. 47-ე წუთზე არმიელებმა მარჯვენა ფლანგიდან შეუტიეს. ყველას რომ ეგონა, ძალზედ არაზუსტად დარტყმული ბურთი მოედნის ფარგლებს დატოვებსო, სწორედ მაშინ იგი მარცხენა ფლანგზე ამაყად აღმართულ კუთხურის ალამს დაეჯახა და მინდორზე დარჩა. აქ კი იმარჯვა ამირიძემ და სახტად დარჩენილ ტორპედოელთა საჯარიმოში მაღალი ჩაჰკიდა. ზირაქიშვილმა აჯობა ყველას და თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან აუღებელი ბურთი დაურტყა ჭანტურიას — 1:0.

ქუთაისელების გონს მოსვლა კი ახვლედიანმა და ჩხეტიანმა დააჩქარეს. ახვლედიანმა მარჯვენა ფლანგზე კარგი შეტევა წამოიწყო და საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილი ჩხეტიანი მოძებნა. მანაც დაახლოებით 12 მეტრიდან მარჯვენა ფეხით ეფექტურად დაურტყა ჩლაიძეს. ბურთი ცხრიანში გაეხვია — 1:1.

58-ე წუთზე კვლავ ახვლედიანი ჩაერთო შეტევაში. იგი ამჯერად ფლანგიდან მოედნის შუაგულისკენ გაემართა ბურთიანად. საჯარიმოს რომ მიუახლოვდა, შენიშნა, რომ ჩხეტიანი „არსენალის“ კარისკენ მიქროდა და იგი პირისპირ შეატოვა მასპინძლთა მეკარეს. ჩხეტიანმა ცაცია ამოჰკრა ბურთს და ჩლაიძეს ახლო კუთხეში გაუტანა — 1:2.

თვით თამაში სანახაობრივად ურიგო არ გამოდგა. უპირატესობა სტუმრებს ეპყრათ. არმიელები სტანდარტული მდგომარეობებიდან ცდილობდნენ ხიფათის შექმნას. მატჩის დასაწყისში კუთხურიდან ჩამოწოდებულზე ცოტაძემ თავურით გაგზავნა ბურთი „ტორპედოს“ კარისკენ. ჭანტურიამ სასწაულებრივი რეაქცია გამოავლინა.

დანარჩენი სახიფათო ეპიზოდები კი ხერხაძის შეგირდებისა იყო. ტრავმირებული თავდამსხმელების — იონანიძისა და მეგრელაძის დანაკლისს ახალბედა იმედაძე ავსებდა. მანაც არაერთხელ ააღლვა „არსენალის“ ფეხბურთელები.

საპასუხო შეხვედრას ტორპედოელები სოლიდური ფორით უმასპინძლებენ.

ᲜᲣᲨᲠᲘᲐ ᲯᲘᲯᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

„ტორპედოს“ კახა ჩხეტიანის (№17) გოლებმა მოაგებინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გცემეს? ღმერთმა შეარგოთ!

შიშნაკრავი მსაჯები დახურულ კარს ღიასგან ვერ არჩევენ

ბადრი ჯელილაძის ფოტო

ამათ შუაში ყოველთვის მსაჯია

კაცს რომ სიმართლის თქმის შეგეშინდება, ზუსტად მაშინ ხარ ცოდვა, თორემ ტყუილის თქმას რა დიდი ფიცი-მტკიცი სჭირდება.

ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის მორიგ სხდომაზე წევრებმა დიდსულოვნად კი განაცხადეს, ჩვენ „შეწყალების კომისია" არა ვართო, მაგრამ ლიბერალობა და ლოიალობა მაინც გამოიჩინეს. აი, თბილისელი მსაჯის, სოსო შალამბერიძის ნათქვამმა კომისიის წევრები კი ჩააფიქრა, მაგრამ თავმჯდომარეს, ომარ გოგიაშვილს ათქმევინა — თუ გაგლახეს და მალავ, ღმერთმა შეარგოთ, არ გაგიკვირდეს, თუ მერე უარესს გიზამენო. რამ ათქმევინა ბატონ თავმჯდომარეს ეს სიტყვები, ამაზე ქვევით მოგახსენებთ, მანამდე კი სხდომის დღის წესრიგს გაგაცნობთ.

ვიდრე ძირითად საკითხებზე გადავიდოდნენ, კომისიის წევრებმა „მცირე საქმეები" მოილიეს — ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით და 50-50 ლარიანი ჯარიმით დინამოელი ლევან მიქაძე, კასპელი ჯემალ შერმადინი და ცხინვალელი შავლეგ ცხადაძე დაისაჯნენ.

ორ-ორი მატჩით უნდა დაისვენონ ზუგდიდის „ოდიში 2"-ის ლაშა გულორდავამ და „ზოოვეტის" დავით მეტრეველმა. ამასთან ერთად მათ ჯიბეები 100-100 ლარით შეუთხელდათ.

შედარებით მძიმედ კი თბილისის „მრეტების" ფეხბურთელი დაჩი დავლიანიძე დაისაჯა. მას მსაჯის ჯერ სიტყვიერი, შემდეგ კი ფიზიკური შეურაცხყოფა (სახეში შეფურთხება) არ ეპატია და 6 თამაშს გამოტოვებს. თან 300 ლარის გადახდაც დაეკისრა.

წინა სხდომაზე მეორე ჯგუფში გათამაშებას გუნდი გამოეთიშა — „უინერი". თუკი ჟინვალელები ორჯერ ვერ გამოცხადდნენ სათამაშოდ და ამის გამო მოკვეთეს, მარნეულის „ალგეთმა" თავად ისურვა ჩემპიონატის მიტოვება, უფულოები ვართ, გუნდს ვერ ვინახავთ და არ გვსურს ჩემპიონატში მონაწილეობაო. კომისიასაც რა უნდა ექნა, ადგა და თხოვნა დააკმაყოფილა. ასე რომ, ჩემპიონატს უკვე მეორე გუნდი გამოაკლდა.

არ იყო გამორიცხული, ეს ციფრი ოთხამდეც კი ასულიყო, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ ლიბერალობა გამოიჩინა. ჩემპიონატიდან მოხსნა ტყიბულის „მეშახტეს" და ოზურგეთის „მერცხალს" ემუქრებოდა.

ვინაიდან „მეშახტეს" წარმომადგენლები წინა სხდომაზე არ იმყოფებოდნენ, კომისიამ საკითხის განხილვა სამომავლოდ გადადო, მანამდე კი გუნდს თამაშების ჩატარება აუკრძალა. მაშინ საკითხი ასე იდგა — ან „მეშახტე" გათამაშებიდან მოიხსნას, ანაც სამი ქულა დააკლდესო. საქმის არსს მოკლედ შეგასხენებთ:

23 მარტს ქუთაისში „რიონმა" „მეშახტეს" უმასპინძლა და 2:0 მოუგო, თამაშის ბოლოს კი ტყიბულელთა გუნდის ოთხმა ფეხბურთელმა — მირზა ბარბაქაძემ, გულადი კალანდაძემ, გიორგი ხელაძემ და მამული კოვზირიძემ არად ჩააგდეს მსაჯები და როგორც შეეძლოთ, ისე გაუსწორდნენ. ფეხბურთელთა უმსგავსო ქმედებას „მეშახტეს" ხელმძღვანელებიც აღუშფოთებია და ვიდრე სადაც ჯერ არს, იქ მიიღებდნენ გადამჭრელ ზომებს, დამნაშავეებს თავად გამოუტანეს განაჩენი. ბარბაქაძე და კალანდაძე გუნდიდან გაუშვეს, ხელაძეს და კოვზირიძეს ჯარიმები აკმარეს.

კლუბის ტექნიკურმა დირექტორმა როინ მდივანმა და მწვრთნელმა დათო გვენეტაძემ კომისიას ფეხბურთელთა საქციელის გამო ბოდიში მოუხადეს მთელი ტყიბულის სახელით და სთხოვეს, გუნდი გათამაშებიდან არ მოეხსნათ. თანაც დაამატეს, რაიონში ხალხის ერთადერთი გასართობი ფეხბურთია და ამასაც ნუ მოვუსპობთო. ასე რომ „მეშახტე" მოხსნას გადაურჩა. გარდა ამისა გუნდიდან გაშვებული ბარბაქაძე და კალანდაძეც დაისაჯნენ, ორივეს ერთი წლით აეკრძალა ოფიციალურ დონეზე თამაში. ამასთან 1000-1000 ლარის გაღებაც მოუწევთ.

კიდევ ორი „დამნაშავე" ხელაძე და კოვზირიძე შედარებით იოლად გადარჩნენ. ხელაძე გინებისთვის ორს, ხოლო კოვზირიძე მსაჯის შეფურთხებისთვის 4 თამაშს გამოტოვებს.

სასტიკი საყვედური გამოუცხადეს მწვრთნელ გვენეტაძეს, ვინაიდან მან მატჩის კომისარს და მსაჯებს მოთხოვნისთანავე არ მისცა ამ ოთხეულის ბარათები.

დავიდარაბა და აყალმაყალი არც ახლახან ოზურგეთში გამართულ მატჩს აკლდა. ადგილობრივმა „მერცხალმა" დასავლეთის ზონის „ბ" ქვეჯგუფის ლიდერ, ხობის „კოლხეთთან" საშინაო მარცხი იწვინია — 1:2. მატჩს სოხუმელი ავთო სამხარაძე სჯიდა, თანამსაჯებად კი გულრიფშელი გოჩა ცირდავა და სოხუმელი დავით ნარმანია იყვნენ.

— 35-ე წუთი მიმდინარეობდა. ოზურგეთი უტევდა. საჯარიმოში „მერცხალის" ფეხბურთელი წაიქცა. ვაცხადებ, რომ პენალტი არ იყო. ამ დროს კარლო მგელაძე, „მერცხალის" ფეხბურთელი, მომვარდა და ხელი მკრა. მაშინვე წითელი ბარათი ამოვუღე. ამის მერე მხოლოდ ის დავინახე, რომ მასპინძელთა გუნდის მეკარის გარდა ყველა ჩემს საცემრად მოიწევდა. წამაქციეს და ათიოვემ გამეტებით მირტყეს — ზუსტად ამ სიტყვებით წარდგა კომისიის წევრთა წინაშე მსაჯი ავთანდილ სამხარაძე. ხელი არც თანამსაჯებს — ცირდავას და ნარმანიას დაჰკლებიათ.

ამის მერე კომისიის წევრებმა თავად გუნდის წარმომადგენელთა აზრი მოისმინეს:

— არ ვამართლებთ გუნდის ფეხბურთელთა და მაყურებელთა ქცევას, საწყენაროა, რაც მოხდა, მაგრამ ფაქტია, არბიტრები ძალიან დაბალ დონეზე სჯიდნენ მატჩს, პენალტი ასპროცენტიანი იყო და უნდა დანიშნულიყო.

აქ ერთიცაა გასათვალისწინებელი — მსაჯებზე ზემოქმედებას, როგორც გუშინდელ სხდომაზე ითქვა, თავად მაყურებელიც ახდენდა, რადაც არ უნდა დაგივიდეს, მატჩი აუცილებლად უნდა დასრულო, წინააღმდეგ შემთხვევაში ცოცხლები აქედან ვერ გახვალთო.

კომისიის წევრებმა ბევრი იმსჯელეს თუ ცოტა, შემდეგი განაჩენი გამოიტანეს:

— ოზურგეთის „მერცხალის" ფეხბურთელებს კახა ტულუშს და კარლო მგელაძეს, რომლებიც აღმოჩნდნენ ჩხუბის მოთავეები, საერთოდ აეკრძალოთ ჩემპიონატში მონაწილეობა. ახალგაზრდა ფეხბურთელებს, 1983 წელს დაბადებულ შოთა მანჯავიძეს და ზურაბ ჭელიძეს, რომლებიც საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების, რევაზ გაგუას გუნდის წევრები არიან, მიეცეთ პირობითი დისკვალიფიკაცია. ხოლო დანარჩენი ექვსი ფეხბურთელი — კობა ღლონტი, გრიგოლ ტულუში, მამუკა იმნაძე, ზვიად დოლიძე, გელა ჩიგოგიძე და ვახტანგ მჟავანაძე ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯონ. თან 1000-1000 ლარით დაჯარიმდნენ.

გუნდის ხელმძღვანელობას მიეცეს რეკომენდაცია, დააყენოს საკითხი კლუბის მწვრთნელთა შეცვლის თაობაზე, რადგან გუნდში რომ დისციპლინა არ არის, მათი დანაშაულია. ოზურგეთის სტადიონს სეზონის ბოლომდე მიეცა დისკვალიფიკაცია. აქვე გადაწყდა, რომ „მერცხალი" დარჩენილ საშინაო მატჩებს ლანჩხუთში „გურიას" სარბიელზე ჩაატარებს.

ერთბაშად რვა კაცს რომ აუკრძალავენ თამაშს, გუნდში ვინ უნდა დარჩეს. „მერცხალს" აქამდე სულ 17 ფეხბურთელი ჰყავდა, ახლა კი...

ისე არ გაგიკვირდეთ, რომ „მერცხალმა" ჩემპიონატი ვერ ჩაამთავროს.

მსაჯთა ცემის ფაქტი ყოფილა 2 აპრილს ქარელშიც, ადგილობრივ „იბერიასა" და ხაშურის „ივერიას" მატჩზე. რადგან სხდომაზე არც ერთი გუნდის წარმომადგენლები არ იმყოფებოდნენ, საკითხის განხილვა 14 აპრილისთვის გადადეს. ამ დღეს განიხილავენ „კოლხეთი" — „დინამოს" მატჩისას მომხდარი ინციდენტსაც. თავად ქარელის „იბერიას" კი მანამდე საკუთარ მინდორზე მატჩების გამართვა აეკრძალა.

ახლა კი ორიოდ სიტყვით იმასაც გეტყვით, თუ სპორტულ-ტექნიკური კომისიის თავმჯდომარე ომარ გოგიაშვილი რამ აიძულა ბოლოს ის სიტყვები ეთქვა, რომელიც დასაწყისშივე მოგახსენეთ.

29 მარტს წალენჯიხაში ადგილობრივი „სქური" ბათუმის „კოლეჯს" მასპინძლობდა. მატჩს თბილისელი არბიტრი სოსო შალამბერიძე სჯიდა. წალენჯიხელები 2:1-ს იგებდნენ, როდესაც „კოლეჯმა" 88-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა. ბუნებრივია, ამ შედეგმა ადგილობრივი ქომაგნი გაანაწყენა და მათაც ანგარიში მსაჯს გაუსწორეს. სტადიონზე პოლიციელებს რომ არ ეყოჩაღათ, ალბათ, შალამბერიძე იქიდან ცოცხალიც კი ვერ გამოვიდოდა.

როგორც ამ მატჩის კომისარი, თავად მსაჯი და წალენჯიხის გუნდის წარმომადგენლები ირწმუნებიან, მსაჯთა ცემის ფაქტს ადგილი არ ჰქონია, მხოლოდ მცდელობა იყოო. ახლა მეორე მხარეს თუ დავუჯერებთ, შალამბერიძე „სქურის" ოთხმა ფეხბურთელმა — მეკარემ, მინდვრის მოთამაშეებმა და პოლიციის ორგანოს მუშაკმა სცემეს, ამის დასტური შალამბერიძის ჩალურჯებული თვალიაო. თავად მსაჯმა ეს ასე ახსნა — პოლიცია ხალხს აკავებდა, ჩვენ შეშინებულები გავრბოდით და სამსაჯო ოთახში შესვლისას კარის სახელურს დავეჯახეო.

მოდი და გაიგე, რომელია მართალი და რომელი მტყუანი. ალბათ, ამიტომაც უთხრა ომარ გოგიაშვილმა, თუ გაგლახეს და მალავ, ღმერთმა შეარგოთ, არ გაგიკვირდეს თუ მერე უარესს გიზამენო.

ასეა თუ ისე, წალენჯიხის სტადიონმა ორთამაშიან დისკვალიფიკაციას და სასტიკ გაფრთხილებას გამოჰკრა ხელი. გუშინ „სქურს" მორიგი ტურის მატჩში ლიდერისთვის, ხობის „კოლხეთისთვის" უნდა ემასპინძლა. რაკი შინ თამაში აეკრძალათ, წალენჯიხელები ლიდერებს ზუგდიდის ცენტრალურ სტადიონზე დახვდებიან. აი, აქ იქნებოდა რაც იქნებოდა, წალენჯიხა და ხობი ზუგდიდში.

გიორგი ვაშაკიძე

კაცი, რომელიც იყო ხარება

ამ დღეებში თბილისმა მსოფლიოს ჩემპიონი ველოსპორტში ომარ ფხაკაძე გაიხსენა. დედაქალაქის ცენტრალური ველოდრომის მოედანზე ნორჩთა საფეხბურთო ტურნირი ჩატარდა ამ დიდი სპორტსმენის სახელობის თასზე.

ტურნირის გახსნას და ფინალს კარგი დარი დაესწრო, დანარჩენი ნაწილი კი ავდარში გაიმართა. მიუხედავად ამისა, ბიჭუნების დაუოკებელი სწრაფვა გამარჯვებისკენ ყველა მატჩში თვალშისაცემი იყო. ბავშვები თავგანწირვით იბრძოდნენ დიდი სპორტსმენისა და პიროვნების, ომარ ფხაკაძის სახელობის პრიზის მოსაპოვებლად, რომელიც მისმა ოჯახმა დააწესა.

ტურნირში, რომლის ორგანიზატორები კლუბ „ვაკე 91 — ვეძისის" მწვრთნელები თამაზ ოდიშერიძე და მერაბ გულუა იყვნენ, თბილისის 12 გუნდი მონაწილეობდა.

თამაზ ოდიშერიძის მისასალმებელმა სიტყვამ ნორჩებს ომარ ფხაკაძის სპორტული ცხოვრება გააცნო, შეატყობინა, თუ როდის, როგორ აშენდა ველოტრეკი ომარის მოთხოვნით, ბოლოს კი ისიც შეახსენა, რომ ეს ომარ ფხაკაძეა, გიორგი შენგელაიას ფილმში „ხარება და გოგია" ერთ-ერთი მთავარი, ხარებას როლი რომ განასახიერა, ბავშვები განსაკუთრებით სწორედ ამ ცნობამ აღაფრთოვანა.

ხსოვნის ტურნირის გახსნას, ცხადია, მონაწილეთა, ორგანიზატორთა თუ მაყურებელთა წუთიერი დუმილი ერთვოდა. ამასთანავე, გუნდების კაპიტნებმა ომარ ფხაკაძის საფლავი, ველოდრომს რომ გადმოჰყურებს, ყვავილებით შეამკეს.

ბურთს პირველები ომარ ფხაკაძის შვილიშვილები — ნიკა ფხაკაძე, ივიკო და ომარ გვარჯალაძეები შეეხნენ.

დადგა გამარჯვებულის გამოვლენის დღეც და პირისპირ 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის და „ვაკე 91 — ვეძისის" გუნდები წარსდგნენ. დაძაბულ ბრძოლაში ნორჩებმა ნამდვილი ფეხბურთი ითამაშეს, თუმცა უგოლოდ — ძირითადი დრო 0:0 დამთავრდა. თერთმეტმეტრიანების სერიაში ვეძისელთა მეკარე გიორგი ჯუღელმა იყოჩაღა და თავისიანებს 3:2 მოაგებინა. „ვეძისი" საფეხბურთო კლუბ „ვაკე 91"-ის გუნდია, რომლის პრეზიდენტი კოტე დოლიძე, დირექტორი ზაზა დიდებაშვილი, სასწავლო ნაწილის გამგე კი გურამ პავლიაშვილი არიან.

გამარჯვებულთა კაპიტანი დავით ჭანტურიძე ომარ ფხაკაძის ვაჟმა, უმცროსმა ომარმა დააჯილდოვა. საუკეთესო გუნდის პრიზი კი იმავე „ვეძისს" მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების პრიზიორმა, ელდარ კურტანიძემ გადასცა.

ალექსანდრა ჯანუჯაშვილი

ომარ ფხაკაძის სახელობის ტურნირის გამარჯვებული „ვეძისი"

იტალიური ფინალი?

UEFA CUP

უეფას თასის ნახევარფინალის პირველი მატჩების მიმოხილვა

REUTERS მარსელიდან

მარსელი — ბოლონია 0:0. თეთრმაისურიანმა მასპინძლებმა იტალიელთა დაცვა ვერ გაარღვიეს

ატლეტიკო 1:3 პარმა

0:1 კიეზა (13), 1:1 ჟუნინიო (213), 1:2 კიეზა (40), 1:3 კრესპო (61)

ატლეტიკო: მოლინა, სერენა, შამოტი, სანტი, აგილერა, ფრესნედოსო (ტევენე 66), იუგოვიჩი, ვალერონი, სოლარი, ჟუნინიო, ხოსე მარი

პარმა: ბუფონი, ტურამი, სენსინი, სარტორი, ვანოლი, ფუზერი, ვერონი (სტანიჩი 65), ფიორე, ბაჯო, კრესპო (მუსი 82), კიეზა (ბალბო 68)

უეფას თასის 1995 წლის მფლობელი, „პარმა" ადრევე დაწინაურდა. ლილიან ტურამმა მარცხენა ფრთაზე შთამბეჭდავი გარღვევის შემდეგ ბურთი ხუან ვერონს გადააწოდა, რომელმაც იგი ენრიკო კიეზას გადასცა და კიეზამ საუცხოო „ჩაკიდებით" „ატლეტიკოს" მეკარის, ფრანისკო მოლინას ზურგსუკან, კალათბურთის სამქულიანივით ჩააგდო.

შემდეგ მადრიდელებმა ანგარიში გაათანაბრეს. ჟუნინიომ მისთვის დამახასიათებელი დრიბლინგი ჩაატარა და ბურთი ხოსე მარის გადასცა, რომელსაც საჯარიმოში ზემოხსენებული ტურამი შეებრძოლა. რუსმა მსაჯმა, ნიკოლაი ლევნიკოვმა, ეპიზოდი, რომელშიც „პარმას" ფრანგი მცველი უდანაშაულო გახლდათ, პენალტად შეაფასა, ჟუნინიომ კი თერთმეტი მეტრიდან უშეცდომოდ დაარტყა.

აქ, „ატლეტიკო" თითქოს გონს უნდა მოგებოდა, თუმცა ნათქვამია ძალა აღმართს ხნავსო. პირველი ტაიმის ბოლოს სტუმრებმა კიდევ გაიტანეს გოლი და მიაღწიეს უპირატესობას, რომელიც აღარ დათმეს, თუმცა გოლი, ახლა რომ ვახსენეთ, არბიტრმა გააუქმა. ეს ასე მოხდა: ტურამმა ბურთი, დაახლოებით 40 მეტრიან, გარღვევას ძლიერი დარტყმა მიაყოლა, მოლინამ ბურთი მოიგერია, მაგრამ ერნან კრესპომ მასპინძელთა მცველებზე მეტი სისხარტე გამოიჩინა და ბურთი ბადეში შეაგდო.

როგორც მოგახსენეთ, მსაჯმა ეს გოლი არ ჩათვალა, მაგრამ ტაიმის მიწურულს, კიეზას მეორე გოლი აშკარა გახლდათ და უპირატესობა, რომელზეც ზემოთ ვთქვით უკვე ციფრებშიც აისახა: ვერონის ჩაწოდებულ კუთხურს „პარმასა" და „სკუადრა აბურას" თავდამსხმელმა თავური დარტყა. ბურთი ძელს მოხვდა, მაგრამ იტალიელი ფორვარდი ესპანელ მცველებზე მეტად მკვირცხლი და დაგეშილი გამოდგა, ასხლეტილ ბურთს მიასწრო და კარის ხაზი გადააკვეთინა.

შესვენების შემდეგ „პარმამ" კინაღამ მესამე გოლი შეაგდო. კრესპომ დაახლოებით 25 მეტრიდან ღონივრად გაისროლა, მაგრამ მოლინამ ბურთის მოგერიება შეძლო.

თუმცა, იმ საღამოს, მოლინას კრესპოს ყველა დარტყმულის მოგერიება არ ეწერა. მორიგი კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი მასპინძელმა მცველებმა საკუთარ საჯარიმოს ვერ მოაშორეს. იგი „პარმას" კაპიტანს, რობერტო სენსინის მიუვიდა, რომელმაც კრესპოს გადასცა და გავიდა კიდეც მადრიდელთა კარში მესამე გოლი.

ანგარიში მაინც შეიძლებოდა შეცვლილიყო, როდესაც ჟუნინიომ კვლავ გაასწორა თერთმეტმეტრიანის ნიშნულზე ბურთი. ლევნიკოვმა ვლადიმერ იუგოვიჩის წაქცევისთვის სტუმრები მეორე პენალტით დასაჯა მაგრამ, ბრაზილიელის დარტყმა უღონო და პარმელი მეკარის, ჯანლუიჯი ბუფონის, ლუკმა გამოდგა.

საბოლოოდ 1:3 დამკვიდრდა, რაც იმის მაუწყებელი გახლდათ, რომ „პარმამ" უეფას თასის მიმდინარე გათამაშებაში სტუმრად პირველი გამარჯვება მოიპოვა, ხოლო „ატლეტიკო" შინ პირველად დამარცხდა.

მადრიდელთა მწვრთნელმა, გუნდში ორი კვირის წინ მიბრუნებულმა რადომირ ანტიჩმა კონკრეტულ მსჯელობას, მატჩის შემდეგ, მოვლენათა ფილოსოფიური გააზრება ამჯობინა:

„ორი კვირა ძალიან მცირე დროა საიმისოდ, რომ „ატლეტიკოს" თამაშის ყაიდა შემეცვალა. ძალიან მომეწონა როგორ ვუტევდით, მაგრამ დაცვაში უამრავი შეცდომა დავუშვით."

მარსელი 0:0 ბოლონია

მარსელი: პორატო, გალასი, ისა, ბლანი, დომორო, ლუჭენი (ბრავო 78), ბრანდო, პირესი, დიუგარი (და სილვა 67), მორისი (კამარა 78), რავანელი

ბოლონია: ანტონიოლი, ბია, მანგონე, რინალდი, პარამატი, მაროკი, ინგესონი, ფონტოლანი (ნერეო 67), ბინოტო (კაპილი 74), სინიორი (მაინი 80), ანდერსონი

„ბოლონიამ" დაამტკიცა, რომ უეფას თასის ფინალში გასვლა მისთვის წარმოუდგენელი სულაც არ არის. მან მარსელის „ველოდრომზე" „ოლიმპიკთან" 0:0 ითამაშა.

მართალია, მარსელელებმა მეორე ტაიმში ლამის ყველა ფეხბურთელი თავდამსხმელად აქციეს, მაგრამ მადლიანი იტალიური დაცვის გარღვევა მათთვის შეუძლებელი აღმოჩნდა. მასპინძლებს გოლის გატანის ყველაზე რეალური შანსი 74-ე წუთზე ჰქონდათ, როდესაც რობერ პირესის პასით ფაბრიციო რავანელიმ ახლო მანძილიდან ააცილა კარს.

„პირველ ტაიმში ძალიან მორცხვი ფეხბურთი ვითამაშეთ, მეორეში კი გოლის გატანას ნამდვილად ვიმსახურებდით" — თქვა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ფრანგული გუნდის მწვრთნელმა, როლან კურბისმა — „შესვენების შემდეგ მართლა მომეწონა საკუთარი გუნდი, თუმცა ჯერ ყველაფერი წინ არის. 0:0, ბუნებრივია, ისეთი კარგი შედეგი არ გახლავთ, ვთქვათ, 2:1 რომ იქნებოდა, მაგრამ როგორც ჩვენ, ასევე იტალიელები თანაბარ მდგომარეობაში ვართ. საპასუხო შეხვედრაში საქმის პენალტებამდე მიყვანა თუ არ გვინდა, გოლი უნდა გავიტანოთ".

„ბოლონიას" კი პირველი საგოლე მომენტი უკვე მე-4 წუთზე ჰქონდა. ნახევარდამცველს, დავიდე ფონტოლანს შეეძლო ანგარიშის გახსნა. შემდეგ, შვედმა ფორვარდმა კენეტ ანდერსონმა თანამემამულესა და თანაგუნდელს, კლას ინგესონს მიაწოდა ბურთი. ამ უკანასკნელმა, დაახლოებით 25 მეტრიდან ძლიერად დაარტყა, მაგრამ მარსელელთა მეკარემ, სტეფან პორატომ კუთხურზე მისი მოგერიება მოახერხა.

სტუმრების შემტევი ფეხბურთით გაოცებულმა მასპინძლებმა პირველი ტაიმის შუაში სცადეს უპირატესობის ხელში ჩაგდება — რავანელის ძლიერად დარტყმული ბურთი მიზანს აცდა.

„ჩვენ თამაშის დაკარგული სადავეების დაბრუნება ველარ შევძელით. „ბოლონია" დიდებულად სულაც ვერ თამაშობდა, მაგრამ მიზანს მიაღწია: ფრე უნდოდა და შეძლო კიდეც შეხვედრის სასურველი შედეგით დასრულება. თამაშმა ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ბურთის შენარჩუნება, მისი უბრალო ფლობა, საოცარ ძალისხმევას მოითხოვდა" — განაცხადა „მარსელისა" და საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელმა კრისტოფ დიუგარიმ.

ბოლონიელთა მწვრთნელი კარლო მაცონე თავშეკავებული გახლდათ. როდესაც პრესკონფერენციაზე ლამის იყო, უკვე ფინალში გასვლა მიულოცეს, მან უპასუხა:

„მარსელის გუნდს ძალიან დიდ პატივს ვცემ. ჩემი ფეხბურთელები მის წინააღმდეგ ვაჟკაცურად დადგნენ. ამას ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ ზოგ მათგანს ტრავმა აწუხებდა და 90 წუთის სათამაშოდ მზად არც კი იყო. საპასუხო შეხვედრა ფსიქოლოგიურად გაცილებით მძიმე იქნება დღევანდელთან შედარებით. მოსალოდნელია ფრიად მჭიდრო, ინტენსიური ფეხბურთი. ასე რომ, მოსკოვამდე (ფინალის ადგილია) ჯერ ძალიან შორი გზაა".

...დნება მაისის თოვლივით

Cup Winners' Cup

თასების თასის ნახევარფინალის პირველი მატჩები

ლოკომოტივი — ლაციო

— სულაც არ ვთვლი, რომ „ლოკომოტივი" „ჩელსიზე" ან „მალიორკაზე" სუსტია. მიუხედავად ამისა, მოსკოვში მაინც მოგების იმედით ჩავდივართ. ფინალსა და ჩვენს შორის მხოლოდ მოსკოვია — „ლაციოს" მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი ოპტიმისტურადაა განწყობილი.

„ლაციოში" რამდენიმე ცვლილებაა — რობერტო მანჩინის ნაცვლად მოედნის შუაგულში შესაძლოა ესპანელი ივან დე ლა პენია გამოჩნდეს, ხოლო ნახევარდაცვის ფლანგზე პორტუგალიელ სერჟიო კონსეისაოს ალბათ, ვეტერანი ატილიო ლომბარდო შეცვლის. თავდასხმა ვიერისა და მარსელო სალასის იმედზეა.

— შეიძლება სხვებს გაუკვირდეთ, მაგრამ ჩემთვის მოსკოვის მინდვრები კარგად ნაცნობია — განაცხადა ვიერიმ, რომელმაც 1997 წლის შემოდგომაზე, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის გადათამაშებაში, მოსკოვში, რუსეთის ნაკრებს გოლი გაუტანა. ვიერი ამის გამეორებას ახლაც რომ შეეცდება, ფაქტია.

რას იზამს „ლოკომოტივი"? გუნდი ზედიზედ მეორედ გავიდა თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში. მიაღწევს ფინალს? 1972 წლის შემდეგ ამ ევროტურნირის გადამწყვეტ ეტაპზე რუსულ გუნდს არ უთამაშია — მაშინდელ ფინალში მოსკოვის „დინამო" მონაწილეობდა, რომელიც იმხანად, ცხადია, სსრკ-ს სახელით ასპარეზობდა.

ზაზა ჯანაშიამ, „ლოკომოტივის" ქართველმა თავდამსხმელმა, მიმდინარე გათამაშებაში 5 გოლი გაიტანა. ბომბარდირობას კი ისევ ჰაიფას „მაქაბის" ფორვარდი ალონ მიზრახი ინარჩუნებს შვიდი გოლით. ახლა იმაზე არ უნდა იფიქრო, რომ ებრაელ მეტოქეს დაეწიო. მთავარია, გუნდმა მოიგოს. ძნელია, მაგრამ...

— კენჭისყრამ ჩვენი მსოფლიოს ერთ-ერთი, თუ ერთადერთი არა, საუკეთესო გუნდთან დაწყვილება ინება. „ლაციოს" დარი მეტოქე არ გვყოლია და მოხარული ვარ, რომ უძლიერესთან გვიწევს ჭიდილი. ჩვენ ჩვენსას ვეცდებით, დანარჩენი კი მოედანზე გამოჩნდება — იური სიომინი ობიექტურად მსჯელობს.

გაიმარჯვებენ იტალიელები? ძნელი სათქმელია. ფინალისტად ამ წყვილიდან ყველა „ლაციოს" მიიჩნევს, თუმცა, რა იცი? „ლოკომოტივია"...

ჩელსი — მალიორკა

ესპანეთის თასის ფინალში ძლეული „მალიორკა" ევროტურნირებზე პირველად მონაწილეობს. გასაოცარია! — კლუბმა განვლო პირველი, მეორე, მესამე ეტაპი და აგერ დებიუტანტმა ნახევარფინალში ამოყო თავი. როცა გუნდი პირველივე ჯერზე ამდენს აღწევს, ცხადია, გაჩერებას არც აპირებს.

სარგბიელის არქივიდან

„ლაციოს" თავდამსხმელ კრისტიან ვიერისთვის მოსკოვური სტადიონები კარგადაა ცნობილი

— სულაც არ მივიჩნევ „ჩელსის" ფავორიტად. „მალიორკა" არაა სუსტი გუნდი. ჩვენ ამას „სტემფორდ ბრიჯზეც" დავამტკიცებთ — ესპანელთა მწვრთნელი ექტორ კუპერი, ცოტა არ იყოს, თავხედობდა. „ჩელსის" სტუმრად დამარცხება, ისიც ევროპულ სარბიელზე, ძალიან ძნელია.

„მალიორკამ" პირველად შოტლანდიურ „ჰართსს" მოუგო, მერე — ბელგიურ „გენკს", მეთხუთმეტფინალში ხორვატიის „ვარტექსის" ბარიერი დასძლია... ზემოთ ჩამოთვლილთაგან არც ერთი არაა ძლიერი, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ „მალიორკა" საშუალო დონის კლუბია. აღსანიშნავია, რომ გადამთიელი მეტოქეების გვერდით „მალიორკა" ესპანეთის ჩემპიონატში „ბარსელონას" და „რეალს" ეთამაშებოდა ტოლ-სწორად.

— ესპანური კლუბები იდუმალებით არიან მოსილნი. ძნელია მათ წინააღმდეგ თამაში — განაცხადა „ჩელსის" იტალიელმა ლეგიონერმა ჯანფრანკო ძოლამ. სწორედ ძოლაა ის ფეხბურთელი, რომელმაც კლუბს თასების თასი არგუნა.

— მეტოქე ძლიერია, თუმცა არა მგონია, ჩვენ გვაჯობოს — „ჩელსის" მწვრთნელი ჯანლუკა ვიალი იმედიანადაა და გრძნობს — „ჩელსი" თასების თასს ზედიზედ მეორედ მოიგებს!

ცნობისთვის: თასების თასი ზედიზედ ჯერ არავის მოუგია.

ირაკლი ილაშვილი

იოზეფ ბლატერს ნიგერია აკმაყოფილებს

10th FIFA World Youth Championship
Nigeria 1999
3-24 April 1999

ნიგერიას 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა სურს. სურვილი ერთია, სინამდვილე მეორე.

ნიგერია 1999 წლის მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატს მასპინძლობს. ეს უკვე რეალობაა. თუ როგორ, ეს სხვა საქმეა, მაგრამ რომ მასპინძლობს უკვე უაქტია. ამაზე კარგ გამოცდას ნიგერია ფიფაში ვერც ჩაბარებდა.

2006 წლამდე დიდი დროა, ძალიან დიდი. ეს აფრიკული ქვეყანა დღესდღეობით კია მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის კანდიდატი, მაგრამ საეჭვოა, გერმანიას ან ინგლისს აჯობოს. რაც არ უნდა იყოს, 32-გუნდიანი ტურნირის უმაღლეს დონეზე მიღებას ძლიერი მომზადება სჭირდება, ნიგერია კი ასეთი ტურნირების სამასპინძლოდ ჯერ მზად რომ არაა, ეს აგერ, მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზეც ჩანს.

ყველაფერს ფიფა, ფეხბურთის განმგებელი გადაწყვეტს. 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელს ფიფა გაისად, თითქმის ერთი წლის შემდეგ დაასახელებს, მანამდე კი პრეტენდენტები ქულების დაგროვებას ცდილობენ.

ნიგერიაც ცდილობს, პუნქტუალურობით და ამოცანის უმაღლეს დონეზე შესრულებით თავი მოიწონოს, მაგრამ არაფერი გამოსდის — ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩებზე ხან შუქი ქრება, ხანაც ავტობუსები გუნდების სტადიონზე დროზე მიყვანას ვერ ახერხებენ.

ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი თითქმის ერთი კვირაა, ნიგერიაში იმყოფება და ტურნირის მიმდინარეობას თვალს ადევნებს. მიუხედავად პრობლემებისა, აველანჟის ტახტის მემკვიდრე კმაყოფილია.

— მე ღრმად მწამდა, რომ ნიგერია ასეთი დონის ტურნირს ღირსეულად უმასპინძლებდა. მერწმუნეთ, 24-გუნდიანი შეჯიბრების ორგანიზება უდიდეს ძალისხმევასთანაა დაკავშირებული, თავად კი ძალიან მოხარული გახლავართ, ნიგერიელთა შრომას რომ ვუყურებ...

— პრობლემები ნიგერიაში კი არა, სხვაგანაც იქმნებოდა. მერე რა, რომ მატჩისას შუქი ჩაქრა? განა ასეთი რამ ავსტრალიაში, მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე არ მომხდარა? მთავარი ისაა, რამდენად სწრაფად შეძლებ პრობლემის მოგვარებას...

— რაც ვნახე, კმაყოფილი დავრჩი. საფეხბურთო ინფრასტრუქტურა ნიგერიაში ფიფას მოთხოვნებს აკმაყოფილებს, ეს კი ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პირობაა. სავარჯიშო მოედნები, საფეხბურთო ბაზები, სტადიონები, ყველაფერი კარგია. სასტუმროებს რაც შეეხება, მალე ისინიც სათანადო დონეზე იქნება...

— დავრწმუნდი, რომ ნიგერიელებს ორგანიზაცია შეუძლიათ. რასაც მე ვუყურებ, მასპინძლები ცდას არ აკლებენ, ტურნირმა უმაღლეს დონეზე ჩაიაროს. მათი ცდა უშედეგო სულაც არაა — ქვეყანა უდიდეს საფეხბურთო ტურნირს პირველად მასპინძლობს და გამოუცდელობის გათვალისწინებით, ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციის მიერ გაწეული შრომა ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობაა...

— აფრიკის ყოველთვის მჯეროდა. მათ იციან ფეხბურთის სიყვარული, აქვთ სტუმრის პატივისცემა, დადებითი მხარეების ერთობლიობა კი საუკეთესო შედეგებს იძლევა.

ის, რომ ბლატერი კმაყოფილია, გადამწყვეტი სულაც არაა. მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელს ერთი კაცი კი არა (თუნდაც ფიფას პრეზიდენტი), ათობით ადამიანი ირჩევს.

...ნიგერია ჯერ კიდევ აბარებს გამოცდას. მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის კანდიდატთაგან ჯერჯერობით

საარბიელის არქივიდან

იოზეფ ბლატერი

მხოლოდ ნიგერია მასპინძლობს საერთაშორისო საფეხბურთო შეჯიბრს. ეგებ ეს ამ ქვეყანაში მომგებიანიც ეგონოთ, ფიქრობდნენ, არჩევნების დროს სასწორი ჩვენს მხარეს გადმოიხრებაო, მაგრამ ძალიან საეჭვოა ასე მოხდეს.

გერმანიას და ინგლისს იმ გამოცდის ჩაბარება, რომელზეც ახლა ნიგერიაა, სულაც არ სჭირდებათ, მათ შემოწმება კარგა ხანია გაიარეს.

ლაშა გოდუაძე

ფეხბურთის რუკასთან

იტალიური „ინტერის“ მწვრთნელყოფილი, მირჩა ლუჩესკუ, მშობლიურ კლუბს, ბუქარესტის „რაპიდს“ დაბრუნებია. ეს ამბავი საკუთრივ „რაპიდის“ ბანაკიდან გახდა ცნობილი. „ლუჩესკუ ჩვენს გუნდს ამ საღამოსვე ჩაუტარებს პირველ ვარჯიშს“ — განაცხადა სამშაბათ შუადღისას ბუქარესტელთა მენეჯერმა პაულ კაზანმა — „გარიგება მას მერე გახდა შესაძლებელი, რაც „ინტერმა“ გააბათილა ლუჩესკუსთან ზაფხულამდე დადებული კონტრაქტი“. „რაპიდის“ მწვრთნელის თანამდებობაზე ლუჩესკუ დუმიტრუ დუმიტრიუს შეცვლის.

ავსტრიელი ნახევარმცველი არნოლდ ვეტლი ეროვნული გუნდის შემადგენლობაში უახლოეს ორ შეხვედრას გამოტოვებს. მიზეზი: ვეტლმა მყესები დაიზიანა. ვენის „რაპიდის“ ეს მოთამაშე 28 აპრილს სან მარინოს, ხოლო 6 ივნისს ისრაელის ნაკრებთა წინააღმდეგ შეხვედრებში ვერ მიიღებს მონაწილეობას.

პოლონელი ფეხბურთელი, ვენის „რაპიდის“ მცველი კრჟიშტოფ რატაიჩიკი სექტემბრამდე საექიმო შეიქნა. მან ავსტრიის ჩემპიონატის ბოლო ტურში, „ზალცბურგთან“ შეხვედრის დროს აქილევსის მყესი გაიწყვიტა.

ბერმანულ „შტუტგარტში“ მოთამაშე ავსტრიელი ფეხბურთელი ფრანც ვოლფარტი შესაძლოა მშობლიურ გუნდს, ვენის „აუსტრიას“ დაუბრუნდეს. ვენელთაგან „შტუტგარტის“ მეკარემ მიწვევა მიიღო. 34 წლის ვოლფარტმა ჟურნალისტებს გაანდო, რომ იგი ესაუბრა ორივე გუნდის ხელმძღვანელებს, რომელთა შორისაც გახლდათ „აუსტრიას“ დროებითი მწვრთნელი ფრედი კონსილია. „ვენის გუნდის წინადადება მართლაც სერიოზულია, მაგრამ კარგს ვერ დავარქმევდი. კარგად ვიცი საკუთარი თავის ფასი და მასზე ნაკლებ ფასად არავის მივეყიდები“ — თქვა გოლკიპერმა. გერმანულ კლუბში გადასვლამდე ვოლფარტი „აუსტრიას“ კარში 1983-96 წლებში იდგა.

ინგლისში ძალიან საინტერესო ამბავი მოხდა. პირველი დივიზიონის კლუბის, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის“ ჰოლანდიელი ფეხბურთელი ფაბიენ დეფრეიტასი „ქრიუსთან“ სათამაშოდ სტადიონზე არ მივიდა, რადგან ეგონა, რომ მატჩი საღამოს უნდა გამართულიყო. დეფრეიტასის გარეშე „ვესტ ბრომვიჩმა“ 1:5 წააგო. იკითხავთ, რომ არ მოდიოდა, დალოცვილებმა ხომ ნახეს და დაერეკათო. ურეკეს, როგორ არა, მაგრამ ვაგლახ, ტელეფონი სულ დაკავებული იყო. თურმე ნუ იტყვით და დეფრეიტასის მეგობარი გოგონა ქალური ინტერესით ეჭორავებოდა მავან ამხანაგს. ახლა, ჰოლანდიელი ფეხბურთელი სერიოზულად დაისჯება.

რუმინეთის ნაკრების მწვრთნელი, ვიქტორ პიცურკა თანამდებობიდან მოხსნას გადარჩა. 27 მარტს რუმინეთმა სლოვაკეთთან 0:0 ითამაშა და ამით განრისხებულ გულშემატკივრებს მისი დაფრენა სწყუროდათ. მაგრამ პიცურკამ ჭკუა იხმარა, ყოფნა-არყოფნის ბედი კენჭისყრაზე თავადვე შეაგდო და მოიგო. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მირჩა სანდუმ კენჭისყრის შემდეგ განაცხადა: „პიცურკა საუკეთესოა ჩვენს თვალსაწიერში მყოფ მწვრთნელთა შორის, ამიტომაც მას თანამდებობიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში მოვხსნით, თუ გუნდს ევრო 2000-ზე მოხვედრის უკანასკნელი შანსიც მოესპობა“. დღეისათვის რუმინეთის ნაკრები ჯგუფში მეორე ადგილზეა. მას ერთი ქულით პორტუგალია უსწრებს.

შვეიცარიელმა მცველმა რამონ ვეგამ ინგლისის ლიგის თასის ფინალში ტრავმა მიიღო და ექიმების დასკვნით, სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშებს. „ჩვენ ვეგა რამდენჯერმე შევამოწმეთ და დავადგინეთ, რომ იგი გუნდს სეზონის ბოლომდე ველარ დაუბრუნდება“ — განაცხადა „ტოტენჰემის“ მწვრთნელმა ჯორჯ გრემმა.

ამერიკის ნაკრების. ნახევარმცველი კლაუდიო რეინა შესაძლოა ბუნდესლიგის „ვოლფსბურგიდან“ შოტლანდიის ჩემპიონატის ლიდერ „გლაზგო რეინჯერსში“ გადავიდეს. გერმანული კლუბის წარმომადგენელთა თქმით, ფეხბურთელს შოტლანდიელებთან ყველა საკითხი შეთანხმებული ჰქონია და ახლა კონტრაქტის ოფიციალურად გაფორმებაა საჭირო. 25 წლის ფეხბურთელი უკვე ორი წელია, „ვოლფსბურგში“ თამაშობს, მაგრამ ისევ მეორე გერმანული კლუბის — „ლევერკუზენის“ საკუთრებაა. „გლაზგო რეინჯერსი“ ყაბულსაა რეინას სანაცვლოდ „ვოლფსბურგს“ 826 ათასი, ხოლო „ლევერკუზენს“ 2,7 მილიონი დოლარი გადაუხადოს.

დანიის ჩემპიონატის 21-ე ტური გაიმართა ორშაბათს. თამაშები ასე დასრულდა: ორჰუსი — ვეილე 2:1, B93 — AB 0:1, ერფოლგე — ბრონდბიუ 1:2, ლუნგბიუ — ვიბორგი 3:1, სილკებორგი — კოპენჰაგენი 2:2, ოლბორგი — ფრემადი 3:2. ჩემპიონატს 43 ქულით კოპენჰაგენის AB ლიდერობს. 41 ქულა აქვს მეორე ადგილზე მყოფ „ბრონდბიუს“, რომელიც თავის მხრივ ორი ქულით უსწრებს მესამეადგილოსან „ოლბორგს“.

ესპანეთის ნაკრების მცველმა, ვიგოს „სელტას“ უკანახაზელმა მიჩელ სალგადომ განაცხადა, თუ სეზონის მიწურულს კლუბს არ დავტოვებ, გამოვა, რომ უფრო დიდ კლუბში თამაშის შანსს ხელიდან გავუშვებო. წლევანდელი სეზონი სალგადოსთვის იღბლიანი გამოდგა. იგი ქვეყნის ნაკრებშიც მიიწვიეს და ევროპულმა კლუბებმაც მიაქციეს ყურადღება. ესპანური პრესის განცხადებით, მადრიდის „რეალი“ და ტურინის „იუვენტუსი“ მზად ყოფილან სალგადოში ათ მილიონ დოლარზე მეტი გადაიხადონ. ფეხბურთელს „სელტასთან“ კონტრაქტი 2000 წლამდე აქვს.

ბრაზილიაში, რიო დე ჟანეიროს შტატის ჩემპიონატის მატჩისას, როცა „მარაკანაზე“ „ფლამენგო“ „ფლუმინენსეს“ ხვდებოდა, მავანმა გულშემატკივარმა გვერდით მდგომი ქომაგი მოკლა. ამ მატჩს 100 ათასი ბრაზილელი ტორსედორესი ესწრებოდა.

მექსიკის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ქვეყნის ნაკრები 14 აპრილს ეკვადორს ამხანაგურ მატჩში შეხვდება. მექსიკელები გამალებით ემზადებიან „კოპა ამერიკისთვის“, რომელიც ივნისში პარაგვაიში უნდა გაიმართოს. ამხანაგურ შეხვედრებსაც ამიტომ მართავენ. მექსიკის და ეკვადორის ნაკრებებს კიდევ ორი ამხანაგური თამაში დაუგეგმავთ — ოქტომბერში ნიუ იორკში და 2000 წლის მარტში ეკვადორში.

ნიგერიელი ფეხბურთელი, ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრი მბეგალო ლუმუმბასა ლონდონის „ტოტენჰემში“ გადავიდა. აფრიკელი ნახევარმცველის გადაბირებას ასევე ცდილობდა მეორე ინგლისური კლუბი „ევერტონი“, თუმცა მათ ლონდონელებს ვერ აჯობეს. „ტოტენჰემი“ ლუმუმბასას კლუბ „ლაგოს მარუდერსთან“ მოლაპარაკებებს თითქმის სამი თვე აწარმოებდა. მოსალოდნელია, მბეგალო ლუმუმბასამ უახლოეს ხანებში ნიგერიის ნაკრებში ითამაშოს.

Tunisia '77
First World Youth Tournament

ყველაზერი 70-იანი წლების მიწურულს დაიწყო. ფიფას ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა, ბრაზილიელმა ჟოაო აველანჟმა მსოფლიო ჩემპიონატის მსგავსი ტურნირის ჩატარება მოინადინა ახალგაზრდა ფეხბურთელთათვის.

1977 წელს აველანჟის იდეა რეალობად იქცა — ტუნისმა მსოფლიოს პირველ ახალგაზრდულ ჩემპიონატს უმასპინძლა. პირველი ორი ტურნირის შემდეგ ფიფას ახალი წამოწყების სპონსორობა „კოკა-კოლამ“ მოინადინა და მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატების ისტორიაში ახალი ერაც დაიწყო. ნიგერიაში მიმდინარე ტურნირი ფიფასა და კოკა-კოლას თანამშრომლობის ისტორიაში მსოფლიოს მეათე ახალგაზრდული ჩემპიონატია, ისე კი — მეთორმეტე.

დღეიდან პერიოდულად შემოგთავაზებთ წინა გათამაშებების სრულ სტატისტიკურ ისტორიას, ათვლას კი, ცხადია, 1977 წელს, ტუნისში გამართული მსოფლიოს პირველი ახალგაზრდული ჩემპიონატიდან დავიწყებთ.

A ჯგუფი

27.06.77	ტუნისი	საფრანგეთი	ესპანეთი	1:2
27.06.77	ტუნისი	მექსიკა	ტუნისი	6:0
30.06.77	ტუნისი	ესპანეთი	მექსიკა	1:1
30.06.77	ტუნისი	ტუნისი	საფრანგეთი	0:1
03.07.77	ტუნისი	საფრანგეთი	მექსიკა	1:1
03.07.77	ტუნისი	ესპანეთი	ტუნისი	0:1

მექსიკა	3	1	2	0	8:2	4
საფრანგეთი	3	1	1	1	3:3	3
ესპანეთი	3	1	1	1	3:3	3
ტუნისი	3	1	0	2	1:7	2

B ჯგუფი

28.06.77	ტუნისი	მაროკო	ჰონდურასი	0:1
28.06.77	ტუნისი	ურუგვაი	უნგრეთი	2:1
01.07.77	ტუნისი	ჰონდურასი	ურუგვაი	0:1
01.07.77	ტუნისი	უნგრეთი	მაროკო	2:0
04.07.77	ტუნისი	უნგრეთი	ჰონდურასი	0:2
04.07.77	ტუნისი	ურუგვაი	მაროკო	3:0

ურუგვაი	3	3	0	0	6:1	6
ჰონდურასი	3	2	0	1	3:1	4
უნგრეთი	3	1	0	2	3:4	2
მაროკო	3	0	0	3	0:6	0

C ჯგუფი

27.06.77	სუსა	იტალია	კოტ დივუარი	1:1
27.06.77	სუსა	ბრაზილია	ირანი	5:1
30.06.77	სუსა	ირანი	იტალია	0:0
30.06.77	სუსა	კოტ დივუარი	ბრაზილია	1:1
03.07.77	სუსა	ირანი	კოტ დივუარი	3:0
03.07.77	სუსა	ბრაზილია	იტალია	2:0

ბრაზილია	3	2	1	0	8:2	5
ირანი	3	1	1	1	4:5	3
იტალია	3	0	1	2	1:3	2
კოტ დივუარი	3	0	2	1	2:5	2

D ჯგუფი

28.06.77	სფაქსი	სსრკ	ერაყი	3:1
28.06.77	სფაქსი	ავსტრია	პარაგვაი	0:1
01.07.77	სფაქსი	ერაყი	ავსტრია	5:1
01.07.77	სფაქსი	პარაგვაი	სსრკ	1:2
04.07.77	სფაქსი	პარაგვაი	ერაყი	4:0
04.07.77	სფაქსი	ავსტრია	სსრკ	0:0

სსრკ	3	2	1	0	5:2	5
პარაგვაი	3	2	0	1	6:2	4
ერაყი	3	1	0	2	6:8	2
ავსტრია	3	0	1	2	1:6	1

ნახევარფინალი

06.07.77	ტუნისი	მექსიკა	ბრაზილია	1:1 (პენ 5:3)
07.07.77	ტუნისი	ურუგვაი	სსრკ	0:0 (პენ 3:4)

მატჩი მესამე ადგილისთვის

09.07.77	ტუნისი	ბრაზილია	ურუგვაი	4:0

ფინალი 10.07.77. ტუნისი. 35 000 მაყურებელი

სსრკ 2:2 (პენ 9:8) მექსიკა

1:0 ბესონოვი (43), 1:1 გარდუნო (50), 2:1 ბესონოვი (54), 2:2 მანსო (58)

სსრკ: ნოვიკოვი (სივუხა 95), კრიაჩკო, ბალტაჩა, კაპლუნი, ილინი, ბალი, ბესონოვი, ხიდიატულინი, ბიჩკოვი, სოკკო, ბოდროვი

მექსიკა: პერედესი, მორა, რუბიო, ალვარესი, კოსიო, როდრიგესი, გარდუნო, რეგრისი (ლუანო 46), სარსა, მანსო, ალასენსია (გარსია 58)

მსაჯი: ჟოტრო (საფრანგეთი)

საუკეთესო მოთამაშე: ვლადიმირ ბესონოვი (სსრკ); ბომბარდირი: კინა (ბრაზილია) 5 გოლი

საარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ ალუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

ისევ ძველი მიზანი

ინგლისი

არსენალი 1:0 ბლექბერნი

1:0 ბერკამპი (42)

არსენალი: სიმენი, დიქსონი, კიოუნი, ადამსი, ვინტერბერნი, პარლოუ, ვივასი, ვიეირა, ოვერმარსი (ბოულდი 72), ბერხკამპი, დიავარა (კანუ 63)

ბლექბერნი: ფილანი, მაკატირი, პიკოკი, ენჩოსი, დევიდსონი, გილესპი, მაკკინლი (ჯონსონი 45), კერსლი (ბრუმსი 67), უილკოქსი, სატონი, უორდი

გაფრთხილება: კიოუნი, დიქსონი, ვივასი, ფილანი, უორდი, დევიდსონი, გილესპი

გაძევება: კიოუნი (69), გილესპი (83)

მსაჯი: პოლი

ლესტერი 2:2 ასტონ ვილა

0:1 პენდრი (2), 0:2 ჯოაკიმი (49), 1:2 სევიჯი (63), 2:2 კოტი (71)

ლესტერი: კელერი, ალსორნი, სინკლერი, ელიოტი, იმპეი, გუნლაუგსონი (მილერი 59), ლენონი, სევიჯი, გაპი, ჰესკეი, კოტი

ასტონ ვილა: ბოსნიჩი, უოტსონი (ბერი 75), საუთგეიტი, კალდერვუდი, რაიტი, პენდრი, სტოუნი, ტეილორი, დრეპერი, დაბლინი, ჯოაკიმი

გაფრთხილება: სინკლერი, ელიოტი, გაპი, კალდერვუდი, დრეპერი

მსაჯი: ლოჯი

„არსენალმა" „ბლექბერნი" დაამარცხა და კვლავაც იმედოვნებს შარშანდელი წარმატების გამეორებას. წინა ტურში „საუთჰემპტონისთვის" რომ მოეგო, ახლა პირველ ადგილზეც იქნებოდა. მაგრამ რომ და ფეხბურთი ერთმანეთისგან შორს არიან.

ლონდონური „ჰაიბერი", რომელზეც 38 ათასი გულშემატკივარი შეკრებილიყო, ძალიან დაძაბული, უხეში ბრძოლის მომსწრე გახდა. ეს არც იყო გასაკვირი — „არსენალის" მიზნებზე უკვე ვისაუბრეთ, 1995 წლის ინგლისის ჩემპიონს კი პრემიერლიგიდან გავარდნა ემუქრება და ყველა ღონეს ხმარობს, რათა ასე არ მოხდეს.

მსაჯის საფინალო სასტვენმა გუნდები ათ-ათი კაცით დაითხოვა მოედნიდან. მეორე ტაიმის შუაგულში მასპინძელმა მარტინ კიოუნმა მეორედ იხილა ყვითელი ბარათი, ისევე, როგორც მატჩის მიწურულს სტუმარმა კიტ გილესპიმ. ამ უკანასკნელის გაძევება შეიძლებოდა უფრო მძიმე ყოფილიყო, რადგან მან საკუთარ საჯარიმოში დაარღვია წესები და მსაჯს პენალტიც დასტყუა, თუმცა ჰოლანდიელი დენის ბერხკამპის თერთმეტმეტრიანიდან დარტყმული ბურთი ჯონ ფილანმა მოიგერია.

ამ ორი ფეხბურთელის დუელი პირველი ტაიმის ბოლოსაც შედგა — ბერხკამპმა ჯარიმა შეასრულა, ბურთი ცოცხალ კედელს მოხვდა, მაგრამ ჰოლანდიელის განმეორებით დარტყმას წინ ვეღარავინ, მათ შორის ვერც ფილანი აღუდგა და შეხვედრის ერთადერთი გოლიც გავიდა.

ახლა ჩემპიონს ლიდერ „მანჩესტერზე" ერთი ქულით ნაკლები და თამაშით მეტი აქვს. „არსენალზე" ორი მატჩით ნაკლები გამართა მეორე ლონდონურმა კლუბმა „ჩელსიმ". თუ იგი ორივეს მოიგებს და ვთქვათ, „მანჩესტერი" წააგებს, მაშინ „არისტოკრატები" ცხრილს სათავეში მოექცევიან.

ასე რომ, პრემიერლიგის ლიდერთა სამეულში ინტრიგაა გამეფებული, ყოველ მომდევნო ტურში შეიძლება „პირველი" შეიცვალოს. ასეთი დაძაბულობა ევროპის წამყვან პირველობათა არც ერთ კენწეროში არ არის.

სამშაბათს პრემიერლიგაში კიდევ ერთი მატჩი ჩატარდა — ლიგის თასის ფინალში „ტოტენჰემთან" დამარცხებულმა „ლესტერმა" ყოფილ ლიდერ „ასტონ ვილას" უმასპინძლა. სრულიად ბირმინგემის სამწუხაროდ, „ვილამ" ორბურთიანი უპირატესობა ქარს გაატანა და აგერ უკვე მეთერთმეტე ტურია, გამარჯვება არ უნახავს.

REUTERS ლონდონიდან

არსენალი — ბლექბერნი 1:0. მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობისა დენის ბერხკამპმა სტუმრებს მაინც გაუტანა

ნოდარ კასრაძე

მანჩესტერი	31	18	10	3	69:32	64
არსენალი	32	17	12	3	43:13	63
ჩელსი	30	16	11	3	45:23	59
ლიდსი	31	16	9	6	52:28	57
ვესტ ჰემი	32	13	8	11	34:40	47
ასტონ ვილა	32	12	10	10	41:39	46
დერბი	31	11	11	9	35:36	44
ლივერპული	30	12	7	11	57:41	43
მიდლსბრო	31	10	13	8	42:41	43
ნიუკასლი	32	11	9	12	43:45	42
უიმბლდონი	32	10	11	11	36:48	41
ტოტენჰემი	31	9	13	9	35:37	40
შეფილდი	32	11	5	16	38:36	38
ლესტერი	30	9	11	10	32:39	38
ქოვენთრი	32	10	7	15	34:43	37
ჩარლტონი	31	7	10	14	34:41	31
ბლექბერნი	32	7	10	15	32:43	31
ევერტონი	32	7	10	15	26:40	31
საუთჰემპ.	32	8	6	18	28:57	30
ნოტინგემი	32	4	9	19	30:64	21

ლიბერტადორესის თასი

REUTERS ბუენოს აირესიდან

რივერ პლეიტი — დეპორტივო კალი 2:1. მასპინძლებმა მოიგეს და შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს

II ჯგუფი

რივერ პლეიტი (არგენტინა) 2:1 დეპორტივო კალი (კოლუმბია)						
დეპორტივო კალი (კოლუმბია)	5	3	0	2	4:5	9
რივერ პლეიტი (არგენტინა)	6	2	2	2	8:8	8
კალდასი (კოლუმბია)	6	2	1	3	7:6	7
ველეს სარსფილდი (არგენტინა)	5	1	3	1	3:3	6

V ჯგუფი

ვილსტერმანი (ბოლივია) 1:1 ლიგა დე კიტო (ეკვადორი)						
ლიგა დე კიტო (ეკვადორი)	5	3	1	1	9:5	10
ემელეკი (ეკვადორი)	6	3	0	3	9:12	9
ვილსტერმანი (ბოლივია)	6	2	2	3	9:9	8
ბლუმინგი (ბოლივია)	5	1	1	3	2:3	4

სარგებელი

სპორტული ლატარია "CROCO"

თასების თასის ნახევარფინალი. პირველი მატჩები

8.04	ჩელსი — მალიორკა	(1,35-2,5)	1,6	3,0	5,6
	ლოკომოტივი — ლაციო	(7,5-1,05)	3,8	2,8	1,9

საფრანგეთის ჩემპიონატი

8.04	ლიონი — სოშო	1,25	4,4	8,0
	0:1	1,9	3,2	2,6

მსოფლიოს ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის

8.04	ურუგვაი — კორეა	1,6	3,2	5,0
	მალი — პორტუგალია	7,5	4,0	1,3
	კამერუნი — ინგლისი	2,9	2,8	2,3
	იაპონია — აშშ	2,7	2,8	2,4
	ზამბია — ესპანეთი	7,5	4,0	1,3
	ჰონდურასი — ბრაზილია	10,0	5,6	1,15

NHL

8.04	ოტავა — ტორონტო	1,5	4,4	3,0
	ნიუ ჯერსი — ვაშინგტონი	1,25	4,4	4,4
	აილენდერსი — მონრეალი	2,4	4,4	1,7
	ფილადელფია — პიტსბურგი	1,6	4,4	2,7
	ტამპა ბეი — ბოსტონი	3,4	4,4	1,4
	ჩიკაგო — რეინჯერსი	2,2	4,4	1,8
	ლოს ანჯელესი — სან ხოსე	2,0	4,4	2,0

NBA

8.04	ტორონტო — ბოსტონი	1,15	12,0	4,0
	კლივლენდი — ორლანდო	2,3	12,0	1,4
	ჰიუსტონი — სან ანტონიო	1,35	12,0	2,5
	იუტა — გოლდენ სტეიტი	1,1	12,0	5,0
	სიეტლი — პორტლენდი	2,3	12,0	1,4
	კლიპერსი — მინესოტა	4,0	12,0	1,15

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან; №2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; №67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი.

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში;

ბათუმში — გორგასლის (ყოფილი ცხაკაის) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

რუსთავში — კინოთეატრი „რუსთაველი"; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები აღგილზე დააზუსტეთ

დანაშაული და სასჯელი

ინგლისური „ლივერპულის" თავდამსხმელი, რობი ფაულერი შეიძლება თავგასულობისთვის დაისაჯოს. დასჯის მიზეზი, კონკრეტულად, ის გახლავთ, რომ „ევერტონთან" შეხვედრის დროს გატანილი გოლი ფაულერმა ფრიად ჯამბაზურად აღნიშნა: საჯარიმო მოედანზე გაწვა და ცარცით გავლებული ერთ-ერთი ხაზი ისე დასუნა, როგორც ნარკომანები კოკაინს ყნოსავენ ხოლმე. ამით ფაულერი ახლო მსხდომ „ევერტონის" ფანებს გაეშაყირა, თქვენი გუნდის კარში გოლი იმ ბიჭმა შეაგდო, შარშან ნარკომანობას რომ აბრალებდნენო. ხალხი აღშფოთდა და დასაწყნარებლად საქმეში პოლიციელთა რაზმის ჩართვაც კი გახდა საჭირო. ეს ამბავი ხსენებული შეხვედრის მ-15 წუთზე მოხდა, როდესაც ფაულერმა პენალტით შეაგდო და 1:1 გახადა ანგარიში.

ფეხბურთელის ამ სულელურ გამოხდომას ინგლისში დიდი და უარყოფითი რეზონანსი მოჰყვა, ისევე როგორც მის პირველ უსაქციელობას, როდესაც „ჩელსისთან" შეხვედრაში ლონდონელთა მცველს და ნაკრებში თანაგუნდელ გრემ ლე სოს უკანალი მიუშვირა და ხითხითი მორთო, დაე ყველამ გაიგოს, კაცებისადმი გულგრილი რომ არ ხარო.

ამ უკანასკნელი ინციდენტის განხილვა სავარაუდოდ ხვალ გაიმართება ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციაში, ხოლო „ევერტონთან" მატჩში ჩადენილზე ფაულერი „ლივერპულის" უფროსობამაც მკაცრად გააფრთხილა და ასოციაციის ჩინოსნებმაც. მათ ფორვარდს ისიც მოსთხოვეს, ასე ორ კვირაში ერთი კარგად აგვიხსენი, რას ჰგავდა შენი საქციელიო.

გუშინ ცელქმა ფაულერმა საჯაროდ მოიხადა ბოდიში: „ახლა ვნანობ რაც ჩავიდინე, გულში ცუდი არაფერი გამივლია, უბრალოდ ძალიან გამიხარდა გოლის გატანა. ყველაფერი კარგად გავაანალიზე და ბოდიშს ვიხდი" — თქვა ლივერპულელმა.

დევიდ მურსი, „ლივერპულის" თავმჯდომარე: „ძალიან ვწუხვარ მომხდარზე. ჩვენ, კლუბის ყველა წევრი შევიკრიბეთ და ამ თემაზე ვიმსჯელეთ. რობი ალალად ინანიებს თავის საქციელს, მაგრამ აქ ერთიც არის — მაშინ, როცა ფაულერი მძიმედ იყო დაშავებული, მასზე ათასი ბინძური ჭორი გავრცელდა, აქაოდა ნარკომანიაო. ასე არ შეიძლება, ეს ყველაფერი უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე. თუმცა გასამართლებელი საბუთი ეს ნადდად არ არის, ყველა, ვინც კი „ლივერპულის" მაისურს მოირგებს, მოედანზე ღირსეულად უნდა იქცეოდეს. ამიერიდან ასე იქნება".

დაბოლოს, ხვალინდელ სხდომაზე ლე სოს უმსგავს საქციელზეც იმსჯელებენ, როგორც ვიდეოფირმა დაადასტურა, მარტო ფაულერი არ არის ცოდვილი — მომხდარამდე რამდენიმე წუთით ადრე ჰეტეროსექსუალობაში ეჭვმიტანილმა ლონდონელმა მორფინისტობაში ეჭვმიტანილ ლივერპულელს ყბაში გვარიანი „იდაყვური" უთავაზა.

დავით კოგზირიძე



სარგებლის არქივიდან

რობი ფაულერი კოკაინის ყნოსვის იმიტირებისას

საკმაოდ უმნიშვნელო პრობლემები

როგორც პოლონეთის, ასევე ბულგარეთის მონაწილეობა ევროპის მიმდინარე ჩემპიონატის შეხვედრებში ფრიადი კითხვის ნიშნით შეიმოსა, მაგრამ უეფა მაინც იმედოვნებს, რომ ორივე ქვეყანა ჩაამთავრებს დაწყებულ შესარჩევ ციკლს.

ორივე ქვეყანა მეხუთე ჯგუფშია, სადაც მათ გარდა შვედეთი, ინგლისი და ლუქსემბურგი გამოდიან. ორივე შეჯიბრების ფინალურ ეტაპზე გასვლისთვის იბრძვის, თუმცა ორივეს ჩინოვნიკური პრობლემები უდგას, თავიანთი ფეხბურთის ფედერაციებთან დაკავშირებული.

და მაინც, უეფას პრეს-ატაშემ, ფრიც ალსტროემმა „როიტერს“ ასე განუცხადა: თუმც ორივე ქვეყანას სირთულეები აქვს გადასალახი, გვწამს, რომ როგორც ბულგარეთს, ასევე პოლონეთს სძალუძს შეჯიბრების გაგრძელება. ფიფასა და უეფას ერთობლივმა კომისიამ მარტში ბულგარეთი მოიარა და სამი არსებული პრობლემიდან ორი ადგილზევე გადაჭრა. ასევე ვიმედოვნებთ, რომ პოლონეთში არსებული წინააღმდეგობა ყველა მხარისთვის სასიკეთოთ გადაწყდება. თუმცა, დღეისათვის უნდა ითქვას, რომ ოფიციალურად არც ერთი დელეგაციის მოხსენება არ მოგვისმენია და სანამ ეს არ მოხდება, საქმის მოგვარებისთვის მიმდევნო ნაბიჯს ვერ გადავდგამთ.“

ამასობაში ვარშავიდან გავრცელდა ცნობა, რომ პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის არჩევნები ფიფას მიერ დათქმულ ვადაში ვერ მოესწრება და ეს მაშინ, როდესაც ქვეყნის ეროვნული გუნდი დისკვალიფიკაციის საფრთხის წინაშე დგას. მოგეხსენებათ, ფიფამ პოლონელებს ყველაფრის მოსაგვარებლად დღევანდლამდე მისცა დრო, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ნაკრების შეჯიბრებიდან მოხსნით დაემუქრა.

პოლონური ფეხბურთის ავტოკრატმა ლიდერმა მარიან ძიუროვიჩმა არც მომავალი წლის არჩევნების დროზე ადრე ჩატარება ინება და არაც თანამდებობის დატოვება. არადა პოლონეთში საფეხბურთო წრეები კარგა ხანია ამ ოდინდელი ხელმძღვანელის გადადგომას ითხოვენ. სპორტის მინისტრმა იაცეკ დემბინსკიმ ძიუროვიჩს არაკომპეტენტურობასა და მექრთამეობაში პირდაპირ დასდო ბრალი და ერთი კვირის წინ კატეგორიულადაც განაცხადა, თუ ოთხ თვეში ფეხბურთის ახალ ლიდერებს არ აირჩევენ, თავად გადავდგებიო.

„8 აპრილამდე ვადის მოცემა რეალისტური ნაბიჯი არ იყო. აღმასკომი კვარტალში ერთხელ იკრიბება და მხოლოდ მას აქვს ახალი არჩევნების ვადის განსაზღვრის უფლება“ — განაცხადა ფედერაციის პრეს-ატაშემ ტომაშ იაგოძინსკიმ — „ჩვენ ფიფაში გავაგზავნეთ წერილი, სადაც დასაბუთებულია, რატომ ვერ შეძლო აღმასკომმა მისი მოთხოვნების დაკმაყოფილება“.

თუმცა იაგოძინსკიმ ისიც ბრძანა, რომ ახალი არჩევნების ვადა სავარაუდოდ ორ სამ კვირაში დადგინდება ამასთანავე, პრეს-ატაშემ განაცხადა, რომ ფიფა ჩინოვნიკური პრობლემის გამო პოლონეთის ნაკრებს შეჯიბრებიდან, ალბათ, არ მოხსნის.

„ფიფას მთელი დუჟინი სანქციები აქვს მარაგში, რომელთაგან დისკვალიფიკაცია უკიდურესია. ობიექტურად კი საფუძველი იმისა, რომ მაინც და მაინც დისკვალიფიკაციით დაგვსაჯონ, არ არსებობს“-თქვა მან.

პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციას არ უჩანს საიმისო პირი, რომ პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებით რამე დათმოს. ეს საკითხები სატრანსფერი თანხათა კონტროლი და სატელევიზიო შემოსავლების ფლობა-განაწილება გახლავთ. ამ წელიწადს ქვეყნის წამყვან კლუბებს უნდოდათ ავტონომიური ლიგის ჩამოყალიბება და თანხებზე მეტი კონტროლის დაწესება, მაგრამ ძიუროვიჩმა ყველაფერი შეაჩერა, მისმა პრეს-ატაშემ კი განაცხადა:

„პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციას ახალი არჩევნები არ ჭირდება და დაუფარავად შემიძლია განგიცხადოთ, რომ ამით არაფერი შეიცვლება. აღმასკომის წევრთა უმეტესობა საკუთარ სკამს შეინარჩუნებს.“

სოფიაში კი ბულგარეთის უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა მთავრობის გადაწყვეტილებას. ქვეყნის საფეხბურთო კავშირისთვის ლიცენზიის ჩამორთმევის შესახებ. ამბობენ, რომ კავშირმა დოპინგის გამოყენების წინააღმდეგ ვერაფერი იღონა და გარდა ამისა ულიცენზიო კლუბებს ჩემპიონატში მონაწილეობის ნებას აძლევს.

ამაზე კავშირის პრეზიდენტის, ივან სლავკოვის რეაქცია მუქარასავით ჟღერდა. მან თქვა, რომ თუ ხელისუფლება საფეხბურთო კავშირს მოქმედებას აუკრძალავს ფიფა და უეფა ბულგარეთის გუნდებს შეჯიბრებებიდან მოხსნიან.

ქვეყნის ახალგაზრდობის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კომიტეტმა, რომელიც სპორტის სამინისტროს ტოლფასია, ზემოხსენებულ საფეხბურთო კავშირს გასული წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ, დოპინგ-შემთხვევისთვის თავის ვერ გართმევაში დასდო ბრალი. ამაზე კავშირმა უპასუხა, რომ „ნეფტოხიმიკის“ ნახევარმცველი, ილია გრუევი, რომელიც ტესტმა ანაბოლური სტეროიდის მიღებაში ამხილა, მკაცრად დაისაჯა, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატზე წასაყვან ფეხბურთელთა სიის მიღმა დარჩა.

მეორე ბრალდების პასუხად კავშირის ჩინოვნიკებმა განაცხადეს, რომ „ნეფტოხიმიკს“ მართალია ლიცენზია ჯერ არ აუღია, მაგრამ ყველა საბუთი მზადა აქვს სპორტის კომიტეტში წარსადგენად.

„ჩვენ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას ფიფაში გავასაჩივრებთ“ - განაცხადა ბულგარეთის საფეხბურთო კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა მიხაელ კასაბოვმა.

ფიფას პრეს-ატაშემ ალსტროემმა დასძინა: „გვწამს, რომ ნახსენები პრობლემები საკმაოდ უმნიშვნელოა და სწორი შიდგომით შეიძლება მათი მოგვარება.“

არ მჯერა შენი ალსტროემ

მომკალით და არ მწამს ფიფას პრეს-ატაშის, ფრიც ალსტროემის. პოლონურ-ბულგარული პრობლემები უმნიშვნელოაო, ამბობს ის და ჩემთვის აშკარაა რომ დიპლომატიურად ფლიდობს.

მომკალით და არ მჯერა, რომ დასავლეთ ევროპელები მონესრიგებული ცხოვრებისგან გამოთაყვანებული ხალხია, რომელიც ვერ ხვდება, როგორ თითლიბაზობენ აღმოსავლეთ ევროპელები.

მომკალით და ვერ ვირწმუნებ, რომ უეფაში არ ესმით პოლონეთსა და ბულგარეთში ამტყდარი დავიდარაბის ნამდვილი მიზეზი. რა, იუჰანსონს სჯერა, რომ ბულგარეთის სპორტის კომიტეტი საფეხბურთო კავშირს მართლა იმიტომ ედავება, რომ ვიღაც გრუევმა დოპინგი მიიღო, რაც სპორტულ სულისკვეთებას ეწინააღმდეგება? რა, იუჰანსონმა არ იცის, რომ ეს ბურთისთვის თავ-ფეხის მიმრტყმელი ბიჭი, გრუევი, მხოლოდ საბაბია ფულიანი ადგილიდან სხვათა გასაგდებად და თავისი ხალხის მისაყვანად? რა, იუჰანსონი ვერ ხვდება, რომ ფეხბურთში უზარმაზარი თანხები ტრიალებს და იქ შემძვრალ ჩინოვნიკს ოფიციალურ-არაოფიციალურად გამდიდრება შეუძლია? იცის და მერე როგორ! თავად უნაწილებს სხვადასხვა ქვეყნებს ამ ფულს და მაგას მოატყუებს ვინმე?

მომკალით და ვერ დავუშვებ, რომ ხალხი, რომელმაც „მერსედესი“ მოიგონა მანქანების საკითხში შეიძლება რამეთი გააოცო. ვერ დავუშვებ, რომ ჯაშუშ-თანამგზავრების შემქმნელთ ჯაშუშობაში ჩურჩულის მეთოდით აჯობებ და საფეხბურთო ტრანსფერების შემომღებთ იქიდან ფულის „გადაღუნვა“ ჩვენზე ბარე ოცი წლით ადრე არ ჰქონდეთ მოგონებული.

მომკალით და ბულგარეთი, პოლონეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, რუმინეთი და ბევრი სხვა, სულ ლენინიზმით მონამლული საბრალო ქვეყნები მგონია, რომელთაც შხამის ზემოქმედებისგან ჯერ თავი ვერ დაუღწევიათ და ამიტომაც ჰგონიათ, რომ „მერსედესი“ თავად კი არ უნდა მოიგონონ, არამედ სხვისი მოგონილი თავისი ნაგრუევალი ფულით იყიდონ და მერე იმათ, იქით ასნავლონ „ნიჟნი შარავოის“ ამბები.

იუჰანსონმა კი ყველაფერი იცის!

მიხეილ სურგულაძე

ცხრაში ერთი

პირველი საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი ერთბაშად ცხრა ქვეყანამ გამოთქვა. ფიფას ცნობით ტურნირს, რომელიც 2000 წელს 5-14 იანვარს გაიმართება, შეიძლება უმასპინძლონ: მექსიკამ, თურქეთმა, ბრაზილიამ, პარაგვაიმ, ურუგვაიმ, საუდის არაბეთმა, ტაიტიმ, ჩინეთმა ან ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. თუ რომელ მათგანს მიანიჭებს უპირატესობას მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია, მაისის ბოლომდე გაირკვევა.

ტურნირში რვა კლუბი მიიღებს მონაწილეობას. თითო-თითო ექსი კონფედერაციიდან, ერთი მასპინძელი ქვეყნიდან და ერთიც საკონტინენტთაშორისო თასის ბოლო გამარჯვეული.

ან იქ, ან იქ

გერმანელი ნახევარმცველის, კრისტიან ვიორნსის გადაბირება ერთბაშად სამ ცნობილ კლუბს უნდა — ესპანეთის „რეალი“, გერმანიის, კერძოდ კი დორტმუნდის „ბორუსია“ და იტალიის „ფიორენტინა“ უკვე აღარ მალავენ ფეხბურთელის შეძენის სურვილს. ვიორნსი 2001 წლამდე ფრანგული პსჟ-ს კუთვნილებაა, თუმცა ღა მან ცოტა ხნის წინ დაიჩივლა, რომ პარიზში ცხოვრება არ მოსწონს და სხვაგან სურს თამაში. ფეხბურთელის ყიდვის ყველაზე დიდი შანსი, ფრანგული პრესის აზრით, დორტმუნდელებს აქვთ. შეგახსენებთ, რომ სანამ პსჟ-ში გადავიდოდა, ვიორნსი „ლევერკუზენში“ თამაშობდა.

შოტლანდია

დანდი იუნაიტედი 1:3 ჰართსი

1:0 დოდსი (3), 1:1, 1:2 მაკსვიგანი (24, 45), 1:3 კამერონი (60)

რეინჯერსი	29	19	5	5	64:27	62
სელტიკი	29	16	8	5	72:25	56
კილმარნოკი	29	12	11	6	34:22	47
სტ. ჯონსტონი	29	12	9	8	35:36	45
მოზერველი	29	8	10	11	30:41	34
აბერდინი	29	9	7	13	34:50	34
დანდი	29	8	6	15	24:50	30
დანდი იუნ.	29	7	8	14	29:37	29
ჰართსი	29	7	7	15	27:43	28
დანფერმლაინი	29	4	15	10	23:41	27

დიდი იოჰანი

კიდევ ერთხელ გააცილეს დიდი იოჰანი.

6 აპრილს, „ამსტერდამ არენაზე“, ჰოლანდიის ყველაზე ტიტულიანი კლუბის უპირველეს სარბიელზე, შესანიშნავი სანახაობა გაიმართა — ძველი აიაქსელების ბურთაობის შემდეგ „აიაქსი“ „ბარსელონას“ დაუპირისპირდა.

გადაჭედილიყო „ამსტერდამ არენა“. 51 ათასი ქომაგი ამდენივე ბატარა, იოჰან კრუიფის აიაქსური მაისურის ნომრით — 14-ით დამშვენებულ დროშას აფრიალებდა.

გულშემატკივრებმა კვლავ იხილეს იოჰან კრუიფის, მარკო ვან ბასტენის, რუდ კროლის, იოჰან ნეესკენსის და სხვა ვარსკვლავების თამაში.

თავდაპირველად იმ აიაქსელებმა გააგორეს ბურთი, რომლებსაც კლუბის შემადგენლობაში ევროტურნირების ფინალში უთამაშიათ. ერთმა მხარემ „აიაქსის“ ახლანდელი მწვრთნელის — იან ვაუტერსის და მარკო ვან ბასტენის გოლებით 2:0 მოიგო.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: კრუიფი დამარცხებულთა შორის აღმოჩნდა.

გართობას ნამდვილი, თუმცა ისევ სანახაობით გაჟღენთილი ფეხბურთი მოჰყვა — „აიაქსი“ „ბარსელონას“ შეხვდა. ძალიან კარგი, რომ თამაში ფრედ 2:2 დასრულდა.

მასპინძელთა ქომაგები პირველად შოთა არველაძემ გაახარა — „აიაქსის“ გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირმა 26-ე წუთზე გახსნა ანგარიში. მერე პატრიკ კლუივერტმა და მაურისიო პელეგრინომ „ბარსელონა“ გაიყვანეს წინ, თუმცა ბოლო წამებზე ბრაიან როიმ გააყაიმა.

2:2 და ულამაზესი სანახაობა.

დიდი იოჰან კრუიფი ამას ნამდვილად იმსახურებდა.

REUTERS ამსტერდამიდან

REUTERS ამსტერდამიდან

ბურთი კვლავ დაემორჩილა იოჰან კრუიფს, გულშემატკივრები კვლავ ტკბებოდნენ მისი თამაშით

თასების მფლობელთა თასი

XV გათამაშება 1974-75 წლები

დინამო

კიევი, სსრკ

სილოამონ ეყლისაძვილი

Cup Winners' Cup

სრული ისტორია

კიევის „სისტემური“ ევროგაზაფხული

ФУТБОЛ

ვალერი ლობანოვსკი (მარცხნივ) და ოლეგ ბაზილევიჩი

1974 წლის დასაწყისში კიევის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად დნეპროპეტროვსკის „დნეპრიდან“ წასული ახალგაზრდა სპეციალისტი ვალერი ლობანოვსკი დანიშნეს. მან მაშინვე მიიყვანა გუნდში თავისი მეგობარი და თანამოაზრე, ოლეგ ბაზილევიჩი. ოფიციალურად ლობანოვსკი მთავარ მწვრთნელად ითვლებოდა, ბაზილევიჩი კი გუნდის უფროსად, მაგრამ ისინი თანასწორნი იყვნენ: ერთად ატარებდნენ ვარჯიშებს, საზღვრავდნენ ტაქტიკას და ასახელებდნენ შემადგენლობას. ასეთი „ორხელისუფლებიანობა“ საბჭოთა ფეხბურთში პირველი შემთხვევა გახლდათ.

„ორეულს“ კიდევ ერთი დამხმარე ჰყავდა. კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტის თეორიის კათედრა. იქ, თურმე გუნდის მომზადების თავისებური მეთოდიკა ჰქონდათ დამუშავებული: 1974-ის იანვრიდან ლობანოვსკიმ და კომპანიამ დაიწყეს ახალი სტილის დანერგვა, რომელმაც შემდგომ არაერთხელ გააკვირვა საფეხბურთო საზოგადოება.

კიელებმა კარგად შეითვისეს მაშინ ახლად დამკვიდრებული „ტოტალური ფეხბურთის“ არსი. თუმცა ლობანოვსკი არ იზიარებდა სიტყვა „ტოტალურს“ და მის მაგიერ „სისტემურს“ ხმარობდა ხოლმე. სწორედ „სისტემური ფეხბურთი“ გახდა უკრაინელების მთავარი საიდუმლო. თავად განსაჯეთ, მაშინ კიევის „დინამო“ ივიკე საბჭოთა კავშირის ნაკრებიც იყო. ამიტომ გუნდს ერთდროულად ოთხ ტურნირში უწევდა სიძლიერის დამტკიცება: სსრკ-ის ჩემპიონატში და თასზე, სანაკრებო დონეზე და ევროთასებზე.

ეს შეჯიბრებები წლის სხვადასხვა დროს იმართებოდა და გუნდი ყოველთვის საუკეთესო ფორმაში უნდა ყოფილიყო. ერთობ ძნელი საქმეა, რადგან დაუწერელი კანონია, არ არსებობს გუნდი, რომელსაც სეზონის განმავლობაში პატარა ჩავარდნა მაინც არ ეშნება. ავად თუ კარგად, კიელებმა ამ სიძნელეებს თავი გაართვეს.

ფიზიკურ მომზადებაზე დაფუძნებული სტრატეგია და ტაქტიკა — აი, ეს გახლდათ კიელების მთავარი კოზირი. გუნდის ყველა წევრი აქტიურად მოქმედებდა მთელ მოედანზე. თვით ბლოხინიც კი, რომელიც მანამდე მხოლოდ შემტევი ფუნქციებით იფარგლებოდა, იძულებული იყო, ხშირად ცენტრისკენ დაწეულიყო, მეტოქისთვის ბურთი აერთმია და მერე ისევ შეეტია. ლობანოვსკის მეთოდია — მობილურ, მოძრავ შემადგენლობას პლუს ერთი „გამქცევი“, ამ შემთხვევაში, ოლეგ ბლოხინი. მოთამაშეების მთავარი მიზანია, მოწინააღმდეგეს მაქსიმალურად შეუზღუდონ სივრცე და შეუჩერებლივ გადასცენ ბურთი სწრაფ თავდამსხმელს. ასე იყო ბლოხინი, მერე ბელანოვი, ახლა შევჩენკო.

1974 წელს უცებ გაზრდილმა ფიზიკურმა დატვირთვებმა ფეხბურთელების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და გუნდი კინაღამ ამბოხდა. ბლოხინი იგონებს: „როცა ახალ სისტემაზე გადავედით, თავიდან ძალიან გაგვიჭირდა. ბევრი ლამის დატვირთვებს ვეღარ უძლებდა. მაგრამ მერე მივეჩვიეთ და მივხვდით, რომ ეს მხოლოდ სასიკეთოდ წაგვადგებოდა“. ახლა ჩვენი კახა კალაძის ამასწინანდელი ნათქვამი გავიხსენოთ: „კიევში რომ ჩავედი, ვარჯიშების შემდეგ სიარული მიჭირდა. დატვირთვები აუტანლად მომეჩვენა. მაგრამ ახლა ეს ჩვეულებრივი სამუშაოა“. ხედავთ, ბლოხინმა ეს სიტყვები 1974-ში თქვა, კალაძემ კი 98-ში...

შეიცვალა რამე? გამოდის, ამ 25 წლის განმავლობაში ლობანოვსკის თავისი პრინციპებისთვის არ უღალატია. მხოლოდ ეგ არის, ვასილიჩი ჭკვიანი კაცია, იგი ყოველთვის უღებს ალღოს ფეხბურთის სიახლეებს და მერე მათ თავის პრინციპებს უქვემდებარებს.

კიევის „დინამომ“ 1974-ში დუბლი შეასრულა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონობაც მოიგო და თასიც. თუმცა, მაშინ ზედმეტად დაცვითი თამაშის გამო გუნდს ხშირად აკრიტიკებდნენ. ლობანოვსკის თქმით, ეს იყო შემადგენლობის ჩამოყალიბების პროცესი, რომელმაც თავის პიკს მომდევნო წელს მიაღწია. მართლაც, 1975-ში მაყურებელმა სხვა „დინამო“ იხილა, დალაგებული, სწრაფი და შემტევი. ჩემპიონატის პირველ ხუთ ტურში კიელებმა ხუთივე თამაში მოიგეს და პირველობას ლამის აზრი დაუკარგეს. მერე ჩემპიონები ისე გახდნენ, ახლოს არავინ მიუშვიათ.

ასევე კარგად გამოდიოდა გუნდი თასების თასის გათამაშებაშიც. ამ მხრივ, ალბათ, მისი სამი რაუნდია გამოსაყოფი — დასავლეთგერმანულ „აინტრახტთან“, ჰოლანდიურ „ეინდჰოვენთან“ და უნგრულ „ფერენცვაროშთან“.

„აინტრახტი, რომლის შემადგენლობაში მაშინ ორი მსოფლიოს ჩემპიონი — ბერნდ ჰოლცენბაინი და იურგენ გრაბოვსკი თამაშობდა, ევროპაში ურიგო გუნდად როდი ითვლებოდა. სწორედ მაინის ფრანკფურტელებთან გამოჩნდა კიეველთა ბრძოლისუნარიანობა და ტაქტიკური განსწავლულობა. პირველი, ფრანკფურტული მერვედფინალი, უკრაინელებმა 3:2 მოიგეს. არადა, მატჩის განმავლობაში ორჯერ აგებდნენ. ჯერ, მე-2 წუთზე, ნიკელმა გახსნა ანგარიში, 32-ზე ონიშჩენკომ გაათანაბრა, მერე, 64-ზე, კიორბელმა ჰენალტით ისევ დაწინაურა თავისიანები, მაგრამ ბოლო შვიდ წუთში სტუმრებმა აშკარად დაჯაბნეს მოწინააღმდეგე და კიდევ ორჯერ გაუტანეს (ბლოხინმა 83-ზე და მუნტიანმა 87-ზე). ბაზილევიჩი ამბობდა, დღეს ჩვენი „გასვლითი მოდელი“ ნახეთ, შინ სხვაგვარად ვითამაშებთო. ასეც მოხდა.

კიევურ პირველ ტაიმში ონიშჩენკომ ორჯერ აჯობა მეკარე ვინჰოლდს. მეორე ნახევრის დასაწყისშივე რორბახმა ერთი გაქვითა, გერმანელებს იმედი მიეცათ და ეშმაკურ ხერხს მიმართეს. ისინი არ ჩქარობდნენ და გრძელი, გასწვრივი გადაცემებით დიდხანს ათამაშებდნენ ბურთს. ამით მასპინძლების გამოტყუებას და სწრაფ კონტრშეტევაზე თამაშს აპირებდნენ. მაგრამ, მათდა გასაკვირად, კიეველებმაც მიიღეს „დაჭერობანას“ თამაშის ეს წესი და ზუსტად იგივე გაიმეორეს. ასე გაგრძელდა დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში. მასპინძლებმა ამაშიც აჯობეს ფრანკფურტელებს, რამდენჯერმე მოახერხეს სწრაფი კონტრთავდასხმა და რომ არა მეკარე ვინჰოლდი, სამი ბურთი კიდევ უნდა გაეტანათ.

ნამატჩევს „აინტრახტის“ მწვრთნელმა დიტრიხ ვაიზემ თქვა, კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაოთ, კიეველების დონეს რომ მივაღწიოთო.

ნახევარფინალში დინამოელებმა ერთი თავით აჯობეს ჰოლანდიურ „ეინდჰოვენს“, რომელიც მანამდე ლამაზ, შემტევ ფეხბურთს თამაშობდა და ტურნირში ყველაზე მეტი — 26 გოლი გაიტანა. ტყუპი ძმები ვან დერ კერკჰოფები, შვედები ნორდკვისტი და ედსტრიომი ანგარიშგასაწევ ძალას ქმნიდნენ, ხოლო შემტევი ვან დერ კუილენი 8 გოლით სულაც შეჯიბრის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

უკრაინელებმა ყველაფერი პირველივე მატჩში მოათავეს, როცა კოლოტოვის, ონიშჩენკოსა და ბლოხინის გოლებით 3:0 მოუგეს კონცერნ „ფილიპსის“ გუნდს. ერთადერთი საწუხარი, რომელიც „ეინდჰოვენმა“ „დინამოს“ დაუტოვა, ეს მეორე მატჩში ვერემეევის გაძევება გახლდათ. გადამწყვეტ შეხვედრაში უკრაინელებმა ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე მოისაკლისეს.

საფინალოდ, იმავე მიზეზით დიდი ძალა დააკლდა ბუდაპეშტის „ფერენცვაროშსაც“. მცველსა და კაპიტან ლასლო ბალინტს იუგოსლავიურ „ცრვენა ზვეზდასთან“ ნახევარფინალში ამოუღეს წითელი. ახლა უნგრელების იმედი მეკარე იშტვან გეცი და მაშინ 20 წლის ნახევარმცველი ტიბორ ნილაში იყვნენ. სწორედ ის ნილაში, რომელსაც ჩვენ „დიდი უნგრული ფეხბურთის“ ბოლო წარმომადგენელს ვუწოდებდით.

ფინალამდე „ფერენცვაროშმა“ გზიდან „ლივერპული“, „მალმიო“ და „ცრვენა ზვეზდა“ ჩამოიშორა. ინგლისელებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, შვედებსაც და იუგოსლავიელებსაც საკმაოდ კარგი გუნდები ჰყავდათ, მაგრამ ბაზელში, „სენტ იაკობის“ სტადიონზე (ამავე მინდორზე 1969 წლის თასების თასის ფინალში „სლოვანმა“ „ბარსელონას“ მოუგო), მათ ვერაფერი დაუპირისპირეს კიევურ მექანიზმს.

ლობანოვსკის გუნდმა ყველა გზა გადაუკეტა მეტოქეს, თავად კი ბურთზე კონტროლს არ კარგავდა და ერთი შეხვედვით წყნარ თამაშს უეცარ აფეთქებებს უნაცვლებდა. ამ შეხვედრაში ონიშჩენკომ ორი გაიტანა, მაგრამ საუკეთესო ფეხბურთელად ბლოხინი დასახელეს. მეკარე გეცისთვის შეგდებული ერთი ბურთი სრულიად არ ასახავდა უკრაინელი შემტევის მარგი ქმედების კოეფიციენტს. საჭირო სამუშაოს გარდა, მისმა სწრაფმა გარღვევებმა გაახალისა და გაალამაზა თამაში. „ბლოხინი ფანტასტიკურია“ — ასეთი იყო იქ მყოფი ორასამდე ჟურნალისტის შეფასება.

ოლეგ ბლოხინი მაშინ მართლაც ჩინებულ ფორმაში იყო. იმავე, 1975 წელს, ის ევროპის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მეტი (305) ბურთი გაიტანა, 1972, 73, 74 და 77 წლებში კი ქვეყნის ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლე გახდა (ესეც რეკორდია).

ბაზელური ფინალიდან ოთხ თვეში კიევის „დინამომ“ სუპერთასიც მოიგო. ორი მატჩის ჯამში ჩემპიონთა თასის მფლობელი მიუნხენის „ბაიერნი“ დაამარცხა (1:0, 2:0). სამივე გოლი ბლოხინმა მოითვალა, მაგრამ პირველი, მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე გატანილი, მაინც გამორჩეული იყო.

67-ე წუთზე მან ცენტრთან ახლოს მიიღო ბურთი, უსწრაფესად გაიჭრა წინ, გზად ოთხი გერმანელი მცველი მოატყუა (ბეკენბაუერისა და შვარცენბეკის ჩათვლით) და ულამაზესი ბურთი გაუტანა მეკარე მაიერს. ეს გოლი დღესაც ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურად ითვლება ევროთასების ისტორიაში.

სარბიელის არქივიდან

კიევის დინამო 1975 წელს. დგანან: კონკოვი, ვერემეევი, ბლოხინი, ბურიაკი, რუდაკოვი, ფომენკო, კოლოტოვი
სხედან: მუნტიანი, მატვიენკო, რეშკო, ტროშინი

პირველი წრე

ლივერპული (ინგლისი) — **სტრომგოდსეტი** (დრამენი, ნორვეგია) 1:0, 1:0 (ოსლო); **დანდი იუნაიტედი** (შოტლანდია) — **ფიულ პეტროშანი** (რუმინეთი) 3:0, 0:2; **ფერენცვაროში** (უნგრეთი) — **კარდიფ სიტი** (უელსი) 2:0, 4:1; **ბურსასფორი** (თურქეთი) — **ფინ ჰარპში** (ირლანდია) 4:2, 0:0; **სლიმა უონდერერსი** (მალტა) — **რეიპასი** (ფინეთი) 2:0 (კეცრა), 1:4; **დინამო** (კიევი, სსრკ) — **ცსკა** (ბულგარეთი) 1:0, 1:0; **მალმიო** (შვედეთი) — **სიონი** (შვეიცარია) 1:0, 0:1 პენ: 5:4; **ბვპრდეა** (პოლონეთი) — **ბოლონია** (იტალია) 2:1, 1:2 პენ: 5:3; **სლავია** (ჩეხოსლოვაკია) — **კარლ ცაისი** (ბდრ) 1:0, 0:1 პენ: 2:3; **ვარეგემი** (ბელგია) — **აუსტრია** (ავსტრია) 2:1, 1:4; **პაოკ** (საბერძნეთი) — **ცრვენა ზვეზდა** (იუგოსლავია) 1:0, 0:2 დდ; **ეინდჰოვენი** (ჰოლანდია) — **არდსი** (ჩრდ. ირლანდია) 10:0, 4:1; **ფრამი** (ისლანდია) — **რეალი** (მადრიდი, ესპანეთი) 0:2, 0:6; **აინტრახტი** (ფრანკფურტი, გფრ) — **მონაკო** (საფრანგეთი) 3:0, 2:2; **აპოელი** (კვიპროსი) — **პარალიმნი** (კვიპროსი) +/- **პარალიმნიმ** უარი განაცხადა

მერვედფინალი

ლივერპული — **ფერენცვაროში** 1:1, 0:0; **დანდი იუნაიტედი** — **ბურსასფორი** 0:0, 0:1; **რეალი** — **აუსტრია** 3:0, 2:2; **გვარდია** — **ეინდჰოვენი** 1:5, 0:3; **კარლ ცაისი** — **ბენფიკა** 1:1, 0:0; **ავენირი** — **ცრვენა ზვეზდა** 1:6 (ლუსუშურგი), 1:5; **მალმიო** — **რეიპასი** 3:1, 0:0; **აინტრახტი** — **დინამო** (კ) 2:3, 1:2

მეოთხედფინალი

რეალი — **ცრვენა ზვეზდა** 2:0 (*სანტილიანა, ნუტცური*), 0:2 (*ვაინი, ო. პეტროვიჩი*) პენ 5:6

ეინდჰოვენი — **ბენფიკა** 0:0, 2:1 (*ვ. ვან დერ კერკჰოფი, ვან დერ კუილენი; უმბერტო*)

მალმიო — **ფერენცვაროში** 1:3 (*შუბერგი; ნილაში, მადიარი, მატე*), 1:1 (*შუბერგი; მატე*)

ბურსასფორი — **დინამო** (კ) 0:1 (*ონიშჩენკო*), 0:2 (*კოლოტოვი, მუნტიანი*)

ნახევარფინალი

ფერენცვაროში — **ცრვენა ზვეზდა** 2:1 (*ბრანკოვიჩი, მადიარი; სავიჩი*) 2:2 (*პუსტაი, შეფერა; ვერა ფილიპოვიჩი*)

დინამო (კ) — **ეინდჰოვენი** 3:0 (*კოლოტოვი, ონიშჩენკო, ბლოხინი*), 1:2 (*ბურიაკი, ედსტრიომი 2*)

ფინალი. ბაზელი. 14 მაისი. 10 897 მაყურებელი

დინამო 3:0 ფერენცვაროში

1:0, 2:0 ონიშჩენკო (17, 39), 3:0 ბლოხინი (66)

დინამო: რუდაკოვი, ტროშკინი, ფომენკო, რეშკო, მატვიენკო, მუნტიანი, კონკოვი, ბურიაკი, კოლოტოვი, ონიშჩენკო, ბლოხინი

ფერენცვაროში: გეცი, მარტოში, პეტაკი, მადეში, იუჰასი, რაბი, საბო, ნილაში

მსაჯი: დეივდსონი (შოტლანდია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი 24 ტური

საუკეთესო მოთამაშე

რამაზ გოგობერიშვილი -აზოტი-



გურამ დოლენჯავილის ფოტო

თსუ „აზოტის“ პირველი ნახევრის 10-12 წუთი ქულა-ქულაში მიდიოდა, მაგრამ შემდეგ ანიკო ჟღენტისა და, განსაკუთრებით, რამაზ გოგობერიშვილის ოსტატობამ სტუდენტებს თამაშის ხალისი დაუკარგა და საფინალო სირენამდე მდევრად ამყოფა. 27 ქულით გოგობერიშვილი შედეგიანობითაც საუკეთესოა.

— რამაზ, თქვენ ხან პირველ ნომერს თამაშობთ, ძირითადად მეორეს და, ხანაც, მესამეს. რა იწვევს თქვენი ამბლუების ცვალებადობას, მეტოქის დასაბნევად აკეთებთ ამას თუ სხვა მიზეზით?

— მწვრთნელის დავალებით. ჩემი ძირითადი ადგილი მეორე ნომერზეა. ასევე შემიძლია ვითამაშო გამთამაშებლად და მესამე ნომერზეც. თუ ჟღენტი მოედანზე არ არის, გამთამაშებლის ადგილს ვიკავებ. ხოლო თუ იგი და გაბისონია ერთად არიან, მაშინ მესამეზე გადავიდივარ.

— ამჯერად რომელ ნომერზე ითამაშეთ?

— გაბისონიას ფეხის მსუბუქი ტრავმა აქვს და ძირითადად მეორეზე ვიყავი. იშვიათად ვცვლიდი ჟღენტს, როდესაც იგი ისვენებდა.

— ასეთ იოლ გამარჯვებას თუ ელოდით?

— მე არ ვთვლი, რომ იოლად გავიმარჯვეთ. თსუ პირველ ნახევარში სერიოზულ წინააღმდეგობას გვიწევდა და, ხანდახან, მდევრის როლშიც გვიხდებოდა ყოფნა. მეტოქე მხოლოდ მაშინ გატყდა, როდესაც დაცვაში მჭიდროდ ავთამაშდით და პირველი შეტევებიც წაგვივიდა. ჩემი აზრით, მეორე ნახევარში თსუ-ს ხელმძღვანელობამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც თავი არ „შეგვაკლა“ და ძალები იმ მეტოქეებისათვის შემოინახა, რომლებიც პლეი ოფში მოხვედრისათვის მათი უშუალო კონკურენტები არიან.

— ქარაბაკი რომ ყოფილიყო, თსუ ასე ადვილად შეეგუებოდა წაგებას?

— წინააღმდეგობა მეტი იქნებოდა, მაგრამ გამარჯვება მაინც ჩვენ დაგვრჩებოდა.

— თამაშამდე თუ ფიქრობდით ასე?

— რა თქმა უნდა.

— საიდან ასეთი თვითდაჯერების საბაბი?

— სატურნირო მდგომარეობიდან.

— „აზოტი“ სატურნირო ცხრილში „ვითასაც“ საკმაოდ უსწრებს, მაგრამ ჩემპიონებთან დამარცხდით. სდასუ-სთან კი, რომელიც თსუ-ს უკან იმყოფება, ბოლო წამებზე შეძელით გამარჯვების მოპოვება. მომავალში ასეთი შემთხვევებს გამორიცხავთ?

— სულაც არ ვაკნინებ „ვითას“ გამარჯვებას „აზოტთან“ შეხვედრაში. მაგრამ ჩემპიონების წარმატება ჩვენი ცენტრის ირაკლი ჯაფარიძის ხელის ტრავმამ განაპირობა. სდასუ-სთან კი ზედმეტი თვითდაჯერების გამო ჩავიგდეთ თავი ხათაბალაში. 18 ქულით დაწინაურების შემდეგ, რომ გვეგონა საქმე მომთავრებული იყო, მეტოქეს სამქულიანები წაუვიდა და თამაშის დამაბული დასასრულიც ამან განაპირობა.

— გუნდი, რომელიც უახლოეს მეტოქეს მთელი ექვსი ქულით უსწრებს და ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია, პლეი ოფში მოხვედრას სათუოდ აღარ გაიხდის. ფინალში გასვლის შემთხვევაში მეტოქედ ვის ისურვებდით?

— დიდი სურვილი მაქვს შარშანდელი ფინალი განმეორდეს და კვლავ „ვითას“ დავეჯახოთ.

— რატომ, არ გინდათ ჩემპიონები რომ გახდეთ?

— გვინდა და სწორედ იმ გუნდის დამარცხებით, რომელმაც შარშანდელი გეგმები ჩაგვიშალა.

— მაშინ თამაშის ბოლო წამებზე თქვენ კიდევ შეგეძლოთ მატჩის გადარჩენა, რადგან მეტოქე მხოლოდ ერთი ქულით იყო წინ. ბურთი კი ესროლეთ, მაგრამ...

— საპასუხო შეტევისათვის ძალზე მცირე დრო გვქონდა დარჩენილი. მეტოქის ნახევარზე რომ გადავედი, ტაბლოს შევხედე და ორი წამიღა რჩებოდა. მივხვდი, რომ თითქმის განწირულები ვიყავით და სასწაულის იმედით მაინც ვესროლე. ბურთის სროლის შემდეგ თვალები დავხუჭე და „ვითას“ გულშემატკივართა შეძახილებით მივხვდი, რომ სასწაული არ მოხდა. მეც და მთელმა გუნდმაც ყოველივე ძალზე მძიმედ გადავიტანეთ. სწორედ აქედან გამომდინარე, სპორტული, და არა სხვა რაიმე ჟინით, მინდა „ვითასთან“ ბრძოლაში გავხდეთ ჩემპიონები.

— ბოლო ჩემპიონატის პლეი ოფში „აზოტი“ ასპარეზობის ერთპიროვნული ლიდერის ტიტულით შევიდა. ფინალში „ვითას“ წარმატებასა და „აზოტის“ წარუმატებლობას რით ახსნით?

— ფინალამდე „ვითა“ შეკრებაზე იმყოფებოდა, ჩვენ კი ასეთ ფუფუნებას მოკლებული ვიყავით.

— თუ ფინალში „ვითა“ შეგხვდათ შანსებს როგორ გაანაწილებდით?

— 50-50-ზე

— საბერძნეთში გატარებული 5 წლის შემდეგ, გული კვლავაც უცხოეთისაკენ ხომ არ მიგიწევს?

— როდესაც „აზოტი“ დაშლის პირას იყო მისული, ჩემი ყოფილი ბერძნული კლუბიდან, „მენტიდან“ დამირეკეს და ჩასვლა მთხოვეს. „აზოტის“ მთავარი მწვრთნელის ოთარ ხმელიძის ხათრით ბიჭებმა ჩემპიონატის ჩამთავრება გადავწყვიტეთ. საბედნიეროდ, ფინანსური პრობლემებიც მოიხსნა და თავს აქაც კარგად ვგრძნობ.

— უცხოეთში წასვლა საბოლოოდ გადაიფიქრე?

— როცა „აზოტი“ ჩემპიონი გახდება, შემდეგ ვნახოთ.

— საქართველოს გუნდებიდან „აზოტმა, 1992 წელს პირველმა შეძლო თბილისის „დინამოს“ დამარცხება, სადაც თქვენმა საჯარიმოებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს. კიდევ ერთხელ ხომ არ გაიხსენებთ ამ შეხვედრას?

— 1992 წელს, საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატი „დინამომ“, რომელიც ახალი გამოსული იყო ყოფილი სსრკ-ს ჩემპიონატიდან, დაუმარცხებლად მოიგო და მეორე ჩემპიონატსაც ასევე აგრძელებდა. მეორე ტაიმის დამთავრებამდე სამი წამით ადრე ვაგებდით ერთ ქულას — 99:100. გელა დარსაძე ჩემთან თამაშისას დაჯარიმდა და ორივე ჯარიმის გამოყენებით რუსთაველები დავაწინაურე. „დინამოს“ კი მატჩის გადასარჩენად დრო აღარ ეყო.

როლანდ ლაბუჩიძე

საქართველოს ჩემპიონატი 25 ტური

ანონსი

8 აპრილი. ვერის ბაღი. 11 საათი
შევარდენი — სდასუ

8 აპრილი. ვერის ბაღი. 12. 30 საათი
ვითა — კოლხა

8 აპრილი. ვერის ბაღი. 14 საათი
ასკ — თსუ

8 აპრილი. ვერის ბაღი. 15. 30 საათი
მაკაბი — დინამო

8 აპრილი. ვერის ბაღი. 17 საათი
სტუ — აზოტი

საალდგომო შაბათ-კვირამ ჩვენი კალათბურთისთვისაც ოუქმა. ბოლო ხანს მხოლოდ კვირის ბოლო დღეებში მობრუნული გუნდები ამჯერად ტრადიციას დარღვევენ და ჩემპიონატის მომდევნო, ოცდამეხუთე ტურს დღეს გამართავენ. უეჭველია, მონაწილენიც ყველა ღონეს იხმარენ, რათა წარმატებული თამაშითა და შედეგით კიდევ უფრო გაიუმჯობესონ სადესასწაულო განწყობა.

განწყობა და ხასიათი იქით იყოს, მოგება, იცოცხლეთ, ყველას აბარებს, მაგრამ დღევანდელ მეტოქეებს თუ დავაკვირდებით, ადვილად მივხვდებით, რომ მავანს გამარჯვება ეგრეც არ ხელეწიფება. სასწაულებს კი ამ ტურში ნაკლებად უნდა ველოდეთ.

აი, მაგალითად: „ვითა“ — „კოლხა“. ისეთი რა უნდა მოიმოქმედონ პირტიტველა სოხუმელებმა, ექვსგზის ჩემპიონი „ვითა“ რომ დაამწუხრონ. კოლხებმა წინა ტურში დაუძლურებული „შევარდენის“ ძლევით სახიფათო ზონა უკან მოიტოვეს და ოცდაათი ქულით მერვე პოზიციაზე გამაგრდნენ, რაც გაისად უმაღლეს ლიგაში დარჩენის შესაძლებლობას იძლევა. ახლა მათ იმაზე უნდა იზრუნონ, როგორმე ქვევით აღარ ჩაინაცვლონ, თორემ ვითელებთან წინდაწინვე განწირულნი არიან.

შევარდენმა ბოლოს როდის მოიგეს, ეგებ თავადაც აღარ ახსოვდეთ. ყოველ შემთხვევაში, მთელი მეორე მესამე წრის განმავლობაში წარმატება არ უგემიათ და გაალმასებულ სდასუ-სთან შეხვედრაში საეჭვოა, ნავსი გატეხონ. თანაც სულ ბოლოს „დინამოსთან“ წაგებამ სტუდენტობა ისეთ ხასიათზე დააყენა, მტერს არ ვუსურვებ. მიუხედავად ყველაფრისა, სდასუელებს, მართალია, მცირე, მაგრამ საპლეიოფო ოთხეულში მოხვედრის შანსი მაინც დარჩათ და მას ასე დაუდევრად ქარს არ გაატანენ.

არც „დინამოს“ დადგება დიდი ჯაფა. „მაკაბი“ არ გახლავთ ის გუნდი, ლევან მოსეშვილის გუნდს გზად რომ გადაეღობოს, „დინამოს“ მძლავრი უკანახაზი მისურაძე — ნიკოლაძე — ხოშტარია ჰყავს. ამ სამეულის კარგმა თამაშმა ბოლოს სდასუ იმსხვრევლა, მანამდე კი თსუ. ალბათ, ახლა „მაკაბის“ ჯერია.

თსუ უცნაური გუნდია. გიხვდავ „ვითას“ მოგებას, შემდეგ კი თავისზე სუსტთან წაიფორხილებს. ამ გუნდის ყველაზე დიდი ნაკლი, ეფექრობ, სწორედ არასტაბილურობაა, თორემ ოთხეულში მოხვედრა ახლა სათუო ნდდად არ ეჩვენება.

გრიპშეყრილი ქარაბაკის არყოფნაში თსუ-მ ზედიზედ ორჯერ წაგო და მდგომარეობაც გაირთულა. სტუდენტებს ქარაბაკი იქნებ დღესაც არ ჰყავდეთ, მაგრამ ახალგაზრდულ არმიულ კლუბთან მაინც არ უნდა გაუჭირდეთ.

ყველაზე საინტერესო და დამაბულ ბრძოლას სტუ — „აზოტის“ შეხვედრისას უნდა ველოდეთ. რუსთაველთა სიძლიერეზე მათი ერთპიროვნული ლიდერობაც მეტყველებს. ხელმტკივნეი ირაკლი ჯაფარიძე დროდადრო ჩვეულ ფორმას იბრუნებს. მის გვერდზე კი ბოლო ხანს აშკარად მომძლავრებული გოგობერიშვილი, ჟღენტი, ბერუაშვილი და ბაბიაშვილი მოქმედებენ დამაჯერებლად. სტუ-ზე კი იმას ვიტყვი, რომ ხანგრძლივი ჩავარდნის შემდეგ გუნდმა, როგორც იქნა, გამოასწორა თამაში. მწვრთნელმა თამაზ ოქრუაშვილმა, ეგონებ, წარუმატებლობის მიზეზს მიაგნო და მომავალში სტუდენტები წინსვლას, ალბათ, შეიგეზეც ასახავენ.

გიორგი ბიკაშვილი



ალექს ფალიაშვილის ფოტო

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები რჩეულ კალათბურთელთა თამაშს სიამოვნებით უცქერენ

კალათბურთი და სპრაიტი თბილისშიც ერთად არიან

რა სპეციალ ნაღდი კალათბურთის ცქერას! ასეთ რამეს დიდად დანატრებული ვართ და ის ხალხი, ვისაც კალათბურთი უყვარს. თავად კალათბურთელებს კი „სპრაიტი“ უყვართ და „სპრაიტმაც“ ფეხი მოიკიდა კალათბურთში.

„კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიამ“ ამერიკის დარად, კალათბურთი და „სპრაიტი“ ერთად შეეყარა: დედაქალაქის ოთხ უნივერსიტეტში ამერიკული კალათბურთის ვიდეოკასეტების მუქთი ჩვენება მოაწყო. ნაღდ კალათბურთს მოწყურებული სტუდენტები შესვენებებსა და ლექციების შემდეგ, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვარსკვლავთა ცქერითაც იკლავენ წყურვილს და „სპრაიტითაც“.

რუსულ კალათბურთს ვიცე-პრეზიდენტი დაუქექეს

ბოლო დროს რუს სპორტულ მოღვაწეებსა და სპორტსმენებზე თავდასხმები გახშირდა. ჯერ იყო და, ერთ დროს რუსეთის ნაკრებში მოთამაშე ვლადისლავ რადიმოვს გაუსწორდნენ სასტიკად, შემდეგ პროფესიულ კრივში გადასული და ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ოფრ სპირონი გამასალმეს სიცოცხლეს, თანც ისე, რომ გამოძიებათა ფედერალურმა ბიურომ მის კვალს ძლივს მაგნო. ახლა კი მესამე შემთხვევაც დფიქსირდა. მავანი თავს დაესხნენ რუსეთის კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, რუსეთის საკალათბურთო სუპერლიგის აღმასრულებელ დირექტორს სერგეი ჩერნოვს და საკმაოდ მძიმე დაზიანებაც მიაყენეს. ჩერნოვი ამჟამად საავადმყოფოში იმყოფება. ის საკმაოდ დაშავებულია, მაგრამ გამოძიების ნაყოფიერად მიმდინარეობის მიზნით და ექიმის ნებართვით მაინც მოახერხა ჩვენებების მიცემა.

როგორც ლეფორტოვოს რაიონის პროკურატურის გამოძიებელმა იური ჩუგუნმა გვაცნობა, 1 აპრილს, დილის ცხრა საათზე ჩერნოვს ორი უცნობი ახალგაზრდა დახვდა საკუთარი სახლის სადარბაზოს პირველ სართულზე. მიახლოებისას, ერთ-ერთმა ახალგაზრდამ ჩერნოვი ხელით გააჩერა და ლითონის მოზრდილი ჯოხი მთელი ძალით უთავაზა სახეში. ამის მეტი სერგეი ჩერნოვს არაფერი ახსოვს. მან გრძნობა დაკარგა და გონს მხოლოდ საავადმყოფოში მოვიდა.

აღსანიშნავია, რომ ჩერნოვს გრძნობის დაკარგვის შემდეგაც საკმარისად მოხვდა. მის სხეულზე და თავის არეში მრავლად შეინიშნება იარები და ჭრილობები, თუმცა, ამჟამად, არც ერთი მათგანი ჯანმრთელობისთვის საფრთხეს აღარ წარმოადგენს.

ექსპერტებმა დასკვნეს, რომ რუსეთის კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს მონტეიორის გასაღებითა და რკინის წვრილი მილებით ურტყამდნენ. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას მრავალრიცხოვანი მოტეხილობები. თუმცა ჩერნოვს ხელ-ფეხითაც მრავლად აქვს მიყენებული დარტყმები, რომელთა ნაკვალევი ასევე სახეზეა. გამომძიებელთა თქმით, ასეთი ძალის დარტყმების მიყენება მხოლოდ ნავარჯიშევ, ფიზიკურად ძლიერ ადამიანებს თუ შეეძლოთ.

თავად სერგეი ჩერნოვს არ შეუძლია რაიმე კონკრეტული, ისეთი ჩვენების მიცემა, რომელიც სარგებლად გაუადვილებს სამართალდამცავებს დანაშავეთა მიგნებას. ამის მიზეზად სადარბაზოს ცუდი განათება და დაზარალებულის ძლიერი სტრესი უნდა მივიჩნიოთ. ჩერნოვს თავდამსხმელთა სიმაღლის შესახებაც კი უჭირს რამის დაზუსტებით თქმა, მიუხედავად იმისა, რომ მათ გვერდზე ედგა და ეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მისთვის ადამიანთა უმეტესობა დაბალი ტანისაა (თავად ჩერნოვის სიმაღლე 1 მეტრი და 94 სანტიმეტრია).

გამოძიებას ხელმოსაკიდი მომენტებიც გააჩნია. კერძოდ, ვიღაცამ დანამდვილებით იცოდა, რომ სერგეი ჩერნოვი სწორედ ამ დროს უნდა გამოსულიყო სახლიდან (ის კალათბურთის ფედერაციაში წინასწარ დაგეგმილ თათბირზე მიდიოდა).

გამომძიებელთა თვალსაზრისით, ძარცვის მოტივით თავდასხმა აბსოლუტურად გამორიცხულია, რადგან ჩერნოვისთვის არაფერი წაურთმევიათ — დაწყებული მის ტანზე ასხმული ოქროებიდან, დამთავრებული საფულეში ჩადებული კარგა გვარიანი თანხით. ერთადერთ მატერიალურ ზარალად მხოლოდ მისი მობილური ტელეფონი უნდა ჩაითვალოს, რომელიც ჩხუბის დროს ნამსხვევებად იქცა.

იური ციბანოვი მოსკოვიდან
საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „გეა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგულარული ჩემპიონატი

დივაცია თუ ნატო?

6 აპრილი

სიეტლი 106:112 საკრამენტო

(ძირითადი დრო 98:98)

სიეტლი: პეიტონი (21 ქულა, 15 პასი, 5 ჩაჭრა), პოკინსი (10), შრემპფი (15 ქულა, 10 მოხსნა), ვილიამსი (5), პოლინაისი (18 ქულა, 10 მოხსნა); ელისი (17), კროტი (12), მაკკოი (6), სტეფანია (2)

საკრამენტო: ვილიამსი (21 ქულა, 7 მოხსნა, 7 პასი, 4 ჩაჭრა), აბდულ-ვაჰაადი (18), ვილიამსონი (11), ვებერი (16 ქულა, 13 მოხსნა, 6 პასი), დივაცი (11 ქულა, 14 მოხსნა, 10 პასი); სტოიაკოვიჩი (16), ფანდერბურკი (10), მაქსველი (9), პოკინსი

ვლადიმერ სტეფანიამ პლანეტის უძლიერეს ლიგაში კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ერთ დროს ძლიერ, ახლა კი საშუალო გუნდ „სიეტლ სუპერსონიქსში" მყარად მოიკიდა ფეხი და ამ ბოლო დროს მატჩს არ ჩაუვლია უმისოდ. ვოვაც შეძლებისდაგვარად ეხმარება თავისიანებს. ერთი და იგივე დონეზე სტეფანია კი არა, ჯორდანი ვერ თამაშობდა და წინა შეხვედრებში ასე თავგამოჩენილმა ქართველმა ეს მატჩი მოკრძალებული მაჩვენებლებით დაასრულა. ორი ქულა, ორი მოხსნა და თითო-თითო დაფარება-პასი, აი, მისი მონაგარი ათ წუთში. მისმა გუნდმა კი წააგო ბოლო ხუთი შეხვედრიდან მეოთხე და ამ სეზონში უკვე მეორედ დაეშვა ცხრილში 50 პროცენტიანი მაჩვენებლის ქვემოთ. სიეტლმა ოვერტაიმში, მაგრამ მაინც წააგო, თუმც შინ თამაშობდა და მშობლიურ დარბაზ „კეი არენაში" მოსული 17 ათასი ერთგული ქომაგი უჭერდა მხარს.

რა გუნდია „საკრამენტო კინგზი"? კლუბს საკმაოდ დიდი ტრადიციები აქვს და ლიგაში პირველი წლებიდან ასპარეზობს, 1951 წელს, როცა „როჩესტერ როიალზი" ერქვა, ჩემპიონიც გახდა. მას შემდეგ, რაც რამდენიმე ქალაქი გამოიცვალა, 1985 წელს, კალიფორნიულ საკრამენტოში დამკვიდრდა და სახელად „კინგზი" დაირქვა, ეს კლუბი საშუალო დონეს ვერ გასცდა და საკრამენტული ხანიდან მოყოლებული, მხოლოდ ერთხელ, 1996 წელს, მოხვდა პლეი ოფში ბოლო, მერვე გუნდად და პირველივე წრეში იქიდან სიეტლმა გამოაპანღურა. ახლა საკრამენტო კვლავ იბრძვის პლეი ოფისთვის და აღმასლობის გზაზე მდგარმა ამ სეზონში უკვე მეორედ იძია შური სამი წლის წინანდელ მარცხზე. პირველად სეზონის დასაწყისში და მაშინაც ოვერტაიმში დასცა „კინგზმა" „სუპერსონიქსი" და ზედიზედ ექვსი მატჩის მომგები და იმ დროს ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდი პირველად გაამწარა.

სიეტლს ის ალიყური კარგად ახსოვდა და, რა თქმა უნდა, მოგებისთვის ბრძოლას გაორმაგებული ენერგიით შეუდგა: მის მეტოქესაც ჰაერივით სჭირდება გამარჯვებები დასახული მიზნის მისაღწევად და ამიტომ ეს შეხვედრა 6 აპრილს გამართულ ლიგის მატჩთაგან ყველაზე დაძაბული გამოდგა. განსაკუთრებით უკომპრომისოდ ებრძოდნენ ერთმანეთს ცენტრები — ოლდენ პოლინაისი და ვლადე დივაცი და წლეულს თავიანთი საუკეთესო მატჩი ითამაშეს. ამ ორ ცენტრს ორი რამ აქვს საერთო — პირველი, რომ ორივე უცხოელია, პოლინაისი ზანგია და კარიბეთის კუნძულ ჰაიტიზე დაბადებულა, დივაცი კი ნატოს მიერ ესოდენ დაჩაგრული იუგოსლავიის შვილია. მეორე საერთო კი ისაა, რომ იუგოსლავიელიც და ჰაიტელიც პირველ სეზონს ატარებენ თავიანთ გუნდებში. ამასთან პოლინაისი სიეტლში სწორედ საკრამენტოდან გადმოვიდა და, ბუნებრივია, თავისი ძველი გუნდის წინააღმდეგ ამ ბებერმა განსაკუთრებული აღმაფრენით ითამაშა. მას არც საკრამენტში მის ადგილზე დამკვიდრებული დივაცი ჩამორჩა და სეზონში პირველი, ათწლიან კარიერაში კი მეხუთე სამმაგი დუბლი შეასრულა.

შეხვედრა თავიდან ბოლომდე უკომპრომისოდ წარიმართა. მართალია, ბოლო მეოთხედში სიეტლი 9 ქულით გავიდა წინ, მაგრამ საკრამენტომ იოლად გაქვითა სხვაობა და ოვერტაიმში აშკარად აჯობა მასპინძელს. აღსანიშნავია, რომ ორივე გუნდს შეეძლო, ძირითადშივე მიეღწია წარმატებისთვის. როცა ანგარიში 98:98 იყო, სირენამდე 24 წამით ადრე, ჯერ საკრამენტოელმა ვერნონ მაქსველმა ააცილა და შემდეგ სიეტლელმა დეილ ელისმა.



REUTERS სიეტლიდან

სიეტლი — საკრამენტო. ვლადიმერ სტეფანია (№5) საკრამენტოელ ლორენს ფანდერბურკს (№51) უფარებს

ტორონტო 70:92 მაიამი

ტორონტო: მაკგრეიდი (12 ქულა, 10 მოხსნა)

მაიამი: მურნინგი (20 ქულა, 13 მოხსნა, 7 დაფარება)

ამ მატჩამდე ტორონტოს ზედიზედ ექვსი თამაში მოეგო, რაც კლუბის ოთხწლიან ისტორიაში საუკეთესო შედეგია. ამას თავის ახალ დარბაზ "ეარ კანადაში" ზედიზედ 9 მოგებული შეხვედრაც დაემატათ და ნათელი გახდება, რა წარმატებული სერია შეაწყვეტინა მაიამიმ, გუნდმა რომელსაც არასდროს უჭირდა კანადური კლუბის დამარცხება და ახლაც იოლად გაუსწორდა ბოლო დროს მომძლავრებულ ტორონტოს. ეს მან ბოლო შვიდ მატჩში მეშვიდედ მოახერხა. მაიამის მასპინძელთაგან თუ ვინმეს შიში უნდა ჰქონოდათ, ეს „რეპტორზის" ლიდერად შერაცხული და ლიგის ახალბედათაგან ჯერჯერობით ყველაზე გამორჩეული ვინს კარტერი იყო. სტუმართა მთავარმა მწვრთნელმა, ღვაწლმოსილმა პატ რაილიმ ამ ყმაწვილის გაუვნებლება ჯამალ მაშბურნს (10 ქულა) მიანდო და მანაც კარტერი მხოლოდ 10 ქულას დააჯერა. სამაგიეროდ, იმძლავრა სტუმართა ცენტრმა ალონზო მურნინგმა, რომელმაც ფარქვეშ არავინ გაახარა და სამი დაფარებით მეტი რომ გაეხერხებინა, იშვიათ სამმაგ დუბლს გამოჰკრავდა ხელს.

კლივლენდი 96:89 ჩიკაგო

კლივლენდი: კემპი (25 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი), ნაითი (19 ქულა, 15 პასი)

ჩიკაგო: სიმპკინსი (21), კუკოჩი (19)

ძველ დროში, ჯორდანის ხანაში, ჩიკაგო არც რეგულარულ სეზონში და არც პლეი ოფში არ ახარებდა კლივლენდს და სადაც დაიჭერდა იქ უგებდა. მაგრამ იმ ჩიკაგოსგან სახელი და ორიოდ ძველი მოთამაშელა შემორჩა, რომლებიც ამაოდ ცდილობენ რაიმე ღირებულის გაკეთებას. თავს ზევით ძალა არაა და 90 წლების უძლიერესი გუნდი თავისი დივიზიონის ცხრილის ფსკერზე უიმედოდ ჩაძირულა. ამ შეხვედრაში კლივლენდმა პირველივე მეოთხედში აიკლო დაბეჩავებული ჩემპიონი და საწყისი თორმეტი წუთის 36:17 მოგებით ნაადრევად მოითავა საქმე.

ვაშინგტონი 93:97 ნიუ ჯერსი

ვაშინგტონი: ჰოვარდი (27)

ნიუ ჯერსი: მარბერი (29), ვან ჰორნი (26 ქულა, 13 მოხსნა)

ნიუ ჯერსის მთავარმა მწვრთნელმა დონ კეისიმ კარგად იცოდა, რას ფიქრობდა თავისი ვაშინგტონელი კოლეგა ჯიმ ბროველი, რომელმაც „ჯადოქართა" თავკაცის პოსტზე ორიოდ დღის წინ ბერნი ბიკერსტაფი შეცვალა და ნიუ ჯერსისთან შეხვედრაში სიცოცხლეში პირველად გაიყვანა გუნდი. თავადაც ხომ სამიოდე კვირის წინ ჩაუდგა სათავეში ნიუ ჯერსის გადაყენებული ჯონ კალიპარის ნაცვლად. ბროველმა ვერ გამოიყენა თავისი შანსი. ვაშინგტონი ნიუ ჯერსისთან ჩაფლავდა. გუნდის ბომბარდირმა მიჩ რიჩმონდმა 17 სროლიდან 12 ააცილა და 14 ქულას დასჯერდა. ეს მაშინ, როცა ნიუჯერსელები ვან ჰორნი და მარბერი მეტოქეს ბომბავდნენ და გუნდს მისი ქულები ჰაერივით სჭირდებოდა.

პიუსტონი 111:74 გოლდენ სტეიტი

პიუსტონი: ოლაჯუონი (18 ქულა, 11 მოხსნა, 6 დაფარება)

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (13 ქულა, 11 მოხსნა)

გოლდენ სტეიტის ვერც ერთი მოთამაშე მატჩში საშუალოდ 15 ქულაზე მეტს ვერ აგდებს, მაგრამ მიუხედავად ვარსკვლავთა სიმცირისა, რაც ისევ გუნდის ბრალია, გოლდენ სტეიტელებმა „მეომრებმა" ამ სეზონში კარგი მებრძოლების სახელი დაიგდეს და მოგებასაც არც თუ იშვიათად ზიმობენ. სტუმრებმა ჰიუსტონსაც არ დაუდეს ტოლი და მხოლოდ ერთი ქულით წააგეს... პირველი მოეთხედი. შემდეგ კი ჰიუსტონმა გათავხედებულ სტუმრებს ჭკუა ასწავლა.

პორტლენდი 98:89 ვანკუვერი

პორტლენდი: ვილიამსი (15), ვოლესი (15), რაიდერი (15)

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (19), ლოპესი (19), ბიბი (19)

ლიგის საუკეთესო შედეგების მქონე პორტლენდის შინ რვა თამაში არ წაეგო და საცოდავ ვანკუვერს რას დაუთმობდა. არც დაუთმო, თუმც მოგებისთვის გვარიანმა ოფლის ღვრამ მოუწია.

კლიპერსი 83:88 ფინიქსი

კლიპერსი: პიატკოვსკი (29)

ფინიქსი: რობინსონი (22), კიდი (22)

საცოდავ კლიპერსს ვერ უშველა ვერც საკუთარმა კედლებმა, ვერც ერიკ პიატკოვსკის კარიერის სარეკორდო 29 ქულამ, ვერც ფინიქსელი ჯეისონ კიდის ნაჩუქარმა 10-მა ბურთმა, ვერც კიდის თანაგუნდელის, ტომ გულიოტას მუხლის ტრავმამ და ვერც პირველი ნახევრის ათი ქულით მოგებამ. კლიპერსი იმდენად უსუსურია, რომ ვერავის უწევს წინააღმდეგობას და რაღაც მანქანებით მოგებულ სამ შეხვედრასთან ერთად ათი იმდენი მარცხი აქვს.

ფილადელფია 95:87 მილუოკი

ფილადელფია: აივერსონი (27)

მილუოკი: რობინსონი (22)

ფილადელფიას ლიდერმა ალენ აივერსონმა ფეხის ტრავმა მოიშუშა, დაბრუნებულმა თავი არ დაზოგა და მთელ მატჩში მხოლოდ ორი წუთი დაისვენა. მისმა თავგამოდებამ კი პლეი ოფისთვის მებრძოლ ფილადელფიას ძნელად, მაგრამ მაინც გადაალახვინა მილუოკური ბარიერი.

ნიუ იორკი 72:81 ორლანდო

ნიუ იორკი: იუინგი (28 ქულა, 15 მოხსნა)

ორლანდო: ჰარდეიეი (30 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი)

უჭირს ნიუ იორკს ორლანდოსთან, ვისთანაც სეზონის პირველი მატჩი წააგო სტუმრად და ახლა შინაც ვერ მოერია. თან მასპინძელი პატრიკ იუინგის თავგამოდებას თანაგუნდელები — ჰიუსტონი (14 ქულა) და სპრიუელი (6) ვერ აჰყვნენ. ამასობაში სტუმარმა ანფერნი ჰარდეიეიმ მასპინძლები დააწიოკა და თავისიანებს ბოლო მეოთხედი ათი ქულით მოაგებინა.

ლეიკერსი 93:106 იუტა

ლეიკერსი: ონილი (24)

იუტა: მელოუნი (30 ქულა, 10 მოხსნა)

ცუდი დღე გაუთენდა „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" შეშლილ თავდამსხმელ დენის როდმანს. თავჭრელა დენისს უხასიათობას ორი მიზეზი ჰქონდა — ერთი, რომ იმ დილით თავისი „ერთგული" ცოლი, ტელესერიალების ვარსკვლავი კარმენ ელექტრა გაექცა და მეორე — საღამოს მეტოქე გუნდის ლიდერმა და ლიგის უმძლავრესმა თავდამსხმელმა კარლ მელოუნმა დაჩაგრა. ხასიათწამხდარი ლეიკერსელი იმდენს ცქმუტავდა, სანამ ტექნიკური ჯარიმა არ დასტყუა მსაჯს. ლეიკერსის თავზე კი შავი ღრუბელი ბოლო მეოთხედში ჩამოწვა, როცა სამქულიანი უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და ერთბაშად 13 ქულით დამარცხდა.

ირაკლი ფირაშვილი

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი	მ	წ	%
ორლანდო	26	10	72,2
მაიამი	21	11	65,6
ნიუ იორკი	18	16	52,9
ფილადელფია	17	16	51,5
ვაშინგტონი	13	20	39,4
ბოსტონი	10	22	31,3
ნიუ ჯერსი	9	24	27,3
ცენტრალური დივიზიონი			
ინდიანა	23	11	67,6
ატლანტა	22	13	62,9
დეტროიტი	20	14	58,8
მილუოკი	19	14	57,6
ტორონტო	18	15	54,5
კლივლენდი	17	15	53,1
შარლოტი	12	20	37,5
ჩიკაგო	10	24	29,4

დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი			
იუტა	24	8	75,0
სან ანტონიო	23	10	69,7
ჰიუსტონი	23	11	67,6
მინესოტა	20	13	60,6
დალასი	11	23	32,4
დენვერი	10	25	28,6
ვანკუვერი	6	28	17,6
წყნარი ოკეანის დივიზიონი			
პორტლენდი	27	6	81,8
ლეიკერსი	23	13	63,9
სიეტლი	16	17	48,5
ფინიქსი	16	18	47,1
საკრამენტო	15	19	44,1
გოლდენ სტეიტი	14	20	41,2
კლიპერსი	3	30	9,1

კვირის მოთამაშე

კევინ გარნეტი (მინესოტა)

დაიბადა: 19.05.1976 მოლდინში, სამხრეთ კაროლინა
სკოლა: ფარაგატ აკადემი
ამპლუა: თავდამსხმელი
სიმაღლე: 211 სმ
წონა: 100 კგ
სეზონი ლიგაში: 4

კევინ გარნეტმა წინა კვირაში მატჩში საშუალოდ 24,7 ქულა, 8,6 მოხსნა და 6,3 ქულა გააკეთა. მისი სროლების 66 პროცენტმა კი მიზანს უწია. გარნეტის „მინესოტა ტიმბერვულვზმა" სამიდან სამი მატჩი მოიგო.

გარნეტმა კვირა 22 ქულით, 9 მოხსნით და 8 პასით დაიწყო დალასის წინააღმდეგ (98:78). ამას მოჰყვა დენვერთან (107:88) გაკეთებული 28 ქულა, 7 პასი და 6 მოხსნა. კვირის ბოლო მატჩში კი კევინმა საკრამენტოს (105:96) 24 ქულა ჩაუგდო, რასაც 10 მოხსნა და ოთხი პასი მიაყოლა.



REUTE ეშტორილიდან

ევგენი კაფელნიკოვი

ეშტორილის ღია პირველობა. პორტუგალია. თიხნარი.
საპიზო 760 ათასი $

გერმანელების მძლეველი რუსეთის დევისის თასის ნაკრების წევრები პორტუგალიაში მთელი შემადგენლობით ჩაფლავდნენ: ევგენი კაფელნიკოვმა (1) პირველ წრეში რუმინელ ადრეი პაველთან წააგო 3:6, 6:2, 3:6, მარატ საფინმა (8) კი — მაროკელ ჰიშამ არაზისთან 6:7 (8:10), 7:5, 3:6.

მსგავს წარუმატებლობასთან კაფელნიკოვი, კარგა ხანია, გაშინაურებულია — 25 წლის რუსმა, რომელიც აქ გამარჯვების შემთხვევაში პირველი ჩოგანი შეიქნებოდა, ეშტორილში უკვე მეოთხედ წააგო პირველ წრეში, ATP ტურზე კი მატჩი თებერვალს აქეთ არ მოუგია და უკვე ზედიზედ ოთხი მარცხი დაუგროვდა.

პირველი წრე: ტოდ მარტინი (2, აშშ) — ალბერტო ბერასატეგი (ესპანეთი) 6:1, 7:6 (7:3); ალბერტ კოსტა (4, ესპანეთი) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 6:1, 6:3; ფელიქს მანტია (6, ესპანეთი) — ტომას მუსტერი (ავსტრია) 6:3, 6:2; ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) — ფრანსისკო კლავეტი (7, ესპანეთი) 7:6 (7:3), 7:6 (7:5); ვინსენტ სპედია (აშშ) — ფილიპ დევულფი (ბელგია) 6:2, 6:1.

200 000 არასწორ პასუხში

რამდენი დარტყმაა საჭირო მინიმუმ იმისთვის, რომ ჩოგბურთელმა სეტი მოიგოს? სანამ ამ კითხვაზე ნაჩქარევ პასუხს გასცემთ, გარგად დაფიქრდით. თუმცა არა უშავს, „დიდი მირორის“ ცნობით, 29 წლის ინგლისელმა გამყიდველმა არასწორ პასუხშიც კი 200 000 დოლარი მოიგო.

ეს ამბავი მარტის ბოლოს პოპულარულ სატელევიზიო შოუზე მოხდა, რომელსაც ზედგამოჭრილად „ვის უნდა მილიონრობა“ ჰქვია. ვინმე ტონი კენედი ზემოხსენებულ კითხვაზე ოთხი შესაძლებლიდან ერთი შეხედვით ყველაზე ლოგიკური პასუხი შეარჩია - 24. კომპიუტერმა მის ანგარიშზე თანხა ავტომატურად გაორმაგა, რამდენიმე წუთში კი უილბლო პრეზიდენტის ილბლიანმა მოგვარემ 125 ათასი ფუნტი სტერლინგი ჩაიჯიბა.

მაგრამ საქმე ის არის, რომ სწორი პასუხი 24 კი არა, 12-ია. სეტის მოსაგებად ჩოგბურთელმა 6 გეიმში უნდა იმარჯვოს. თეორიულად საკუთარი სამი მოწოდების შენარჩუნება ზედიზედ 12 ეისით, ე.ი. 12 დარტყმით შეიძლება. თუ კენედივით გიმართლებს (ან ანა კურნიკოვას ხვდები), შენმა მეტოქემ შეიძლემა თავის მხრივ 12 ორმაგი შეცდომაც დაუშვას. ესეც კიდევ 3 გეიმი ხელის გაუნძრევლად.

„ეს გამოსაჭერი კითხვაა, რომელსაც მწვრთნელები ხშირად უსვამენ-ხოლმე ახალბედებს“ - განაცხადა ლონდონის ერთ—ერთი საჩოგბურთო სკოლის თავკაცმა. როგორც ამბობენ, სატელევიზიო შოუს წარმომადგენელებს ვერაც არ გადაუწყვეტიათ, საკუთარი ბედოვლათობით დაკარგული მსხვილი თანხა ტონის უკან მოსთხოვან, თუ არა.

ნასტასე პრეზიდენტად!

ილია ნასტასე — უსაშველოდ ნიჭიერი თუმცა არანაკლებ ახირებული და ექსტრავაგანტული რუმინელი ახლა ჩოგბურთის სამყაროს თავკაცობაზეც ოცნებობს.

ნასტასე, რომელიც ერთხანს თავისი ქვეყნის პრეზიდენტობაზე აცხადებდა პრეტენზიებს, ამჟამად ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციაში (ITF) იგივე პოსტის დაკავების 8 კანდიდატთაგან ერთ-ერთია. ძველმა პრეზიდენტმა, ავსტრალიელმა ბრაიან ტობინმა განაცხადა, 1991-დან მოყოლებული ორი ოთხწლიანი ვადაც მეყოფაო, და დამსახურებულ პენსიაზე გასვლა გადაწყვიტა.

ნასტასეს, კლასიფიკაციის შემოღების ჟამს მსოფლიოს პირველი პირველი ჩოგანი რომ გახლდათ, 1972 წლის აშშ-ის ღია პირველობა და 1973 წლის როლან გაროსი აქვს მოგებული, უიმბლდონის ორგზის ფინალისტიცაა და ბუნებით ნიჭთან ერთად სიზარმაცე და ფიცხი ხასიათი რომ არ ჰქონოდა დანათლებული, კიდევ ბევრსაც მიაღწევდა.

რუმინელის მეტოქეები ივლისისთვის დანიშნულ არჩევნებში ფრანგი კრისტიან ბიმი, შვედი ან ფრანე, შვეიცარიელი ჰაინც გრიმი, ინგლისელი იან კინგი, ამერიკელი ჰარი მარმიონი, ავსტრალიელი ჯეფ პოლარდი და იტალიელი ფრანჩესკო რიჩი ბიტი იქნებიან. ზემოხსენებული კანდიდატთაგან თითოეული ან ახლა, ან თავის დროზე მაინც ყოფილა ეროვნული ჩოგბურთის ფედერაციის თავკაცი.

ჩოგნები მათ ხელში

გაინტერესებთ, რა ფირმის ჩოგნებს ხმარობენ თქვენი კერპები? ATP ტურის მიერ შარშანდელი სეზონის საუკეთესო ათეულელთა შორის ჩატარებულმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ მათი უმეტესობა უპირატესობას „უილსონსა“ და „იონექსს“ ანიჭებს, თუმც ზუსტად ერთი და იგივე მოდელით არც ერთ მათგანი არ თამაშობს. მაშ ასე:

პიტ სამპრასი: Wilson ProStaff Original

მარსელო რიოსი: Yonex Isometric 9

ანდრე აგასი: Head Radical

კარლოს მოია: Babolat Pure Drive

ევგენი კაფელნიკოვი: Fischer VT Pro 98

ალექს კორეტხა: Wilson ProStaff 5.1 SI

კაროლ კუჩერა: Yonex Isometric 25

ტომ ჰენმანი: Slazenger Phantom

გრეგ რუზეცკი: Wilson ProStaff 6.1

კონჩიტას ფული დააკლეს

გასულ კვირაში უიმბლდონის ყოფილი ჩემპიონი კონჩიტა მარტინესი ერთბაშად ორ ფრონტზე იბრძოდა და ორგანვე მარცხი განიცადა — ჰილტონ ჰედის ტურნირზე მარტინა ჰინგისთან, სასამართლოში კი თავის ყოფილ სპონსორთან.

26 წლის ესპანელმა იტალიურ ფირმა ELLESSE-ს ორიოდ თვის წინ უჩივლა, ყოველწლიური 1 950 000 დოლარის გარდა პრემიის სახით თქვენგან თავის დროზე 550 ათასიც მერგებოდაო. საქმე ის არის, რომ მარტინესის ხუთწლიანი კონტრაქტის ერთ-ერთი მუხლი მსოფლიოს მეორე ჩოგნად გახდომის შემთხვევაში მას ზემოხსენებულ თანხას ჰპირდებოდა.

კონჩიტა კლასიფიკაციაში რამდენიმე კვირის მანძილზე, მართლაც გახლდათ მეორე, მაგრამ სასამართლომ ყურადღება სხვას უფრო მიაქცია: ამ დროსაც კი ორი ჩოგბურთელი — შტეფი გრაფი და მონიკა სელესი, რომელსაც ორწლიანი იძულებითი შესვენებიდან დაბრუნების შემდეგ WTA-მ თანა-პირველი ჩოგნის სტატუსი უბოძა, კლასიფიკაციაში ყოველთვის ესპანელზე მაღლა იმყოფებოდნენ.

ასე რომ,მარტინესი ისევე ვერ ხილავს დამატებით ნახევარ მილიონს (ყოველ შემთხვევაში, აპელაციამდე), როგორც ამერიკელები პიტ სამპრასს დევისის თასზე, ან თმას ანდრე აგასის თავზე.

ავთანდილ სამანიძე

რაგბი

სკრელას ბედი უელსელთა ხელშია

გუშინდელ „სარბიელში“ შოტლანდიელთა ხუთი ერის პირველობის ბოლო ტურში ფრანგებთან მზადების შესახებ გამცნეთ. დღეს კი საუბარი მათ მეტოქეზე გვექნება. შაბათის მატჩისთვის „მამლების“ დამრიგებელმა სკრელამ გუნდში კრისტიან ლაბის და ტიერი კლედას უხმო. შოტლანდიასთან მატჩი ლაბისთვის პირველია მის სანაკრებო კარიერაში. ტულუზელი სკრელამ დაშავებული ოლივე მანის ნაცვლად აიყვანა ნაკრებში. ტიერი კლედა კი ფაბიენ პელუს შეცვლის, რომელსაც ნეკნის ტრავმა აქვს.

წინა ორ ტურში განცდილი მარცხის გამო ფრანგულმა მასმედიამ კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხა თავს ნაკრების მწვრთნელს და ქვეყნის რაგბის მამებს მისი გადაყენება მოსთხოვა, მაგრამ საფრანგეთის რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ მწვრთნელს ნდობა გამოუცხადა. ასე რომ, სკრელა ნაკრებს მინიმუმ ექვსი თვე კიდევ გაწვრთნის. „უელსელებთან და ინგლისელებთან მარცხის მიუხედავად ვთვლი, რომ ნაკრები ურიგოდ არ გამოიყურება. ჩვენ პირველობის მოგება არ გვქონია მიზნად. მთავარია, მსოფლიოს თასზე წარმატებით ასპარეზობა. ამიტომ ამ ტურნირს მსოფლიო თასისთვის მოსამზადებელ ეტაპად ვიყენებთ. ეს კი ურიგოდ არ გამოვდის. შემოდგომაზე იხილავთ, რა შეუძლია საფრანგეთის ნაკრებს“ — განაცხადა „მამლების“ თავკაცმა ორი დღის წინ გამართული პრესკონფერენციაზე. აღსანიშნავია, რომ მწვრთნელს ნდობა მობურთალებმაც გამოუცხადეს — „ცოტა გაუგებარია, რომ გულშემატკივარი ჩვენგან ყველა შეხვედრაში გამარჯვებას ითხოვს. რობოტები ხომ არ ვართ, ყოველთვის უმაღლეს დონეზე ვითამაშოთ. გარდა ამისა, მოწინააღმდეგეც არაა სუსტი. ვფიქრობ, იმ ორი მარცხისგან ტრაგედია არ უნდა შეიქმნას და მწვრთნელს დასცალდეს მუშაობა. მგონი, ამას ცუდად არ აკეთებს. ჩვენთვის მთავარია მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე ღირსეულად ვისპარეზოთ. ყველაფერი ამისთვის კეთდება და იქნება გვაცალონ. ჩვენც გვსურს ყველა მატჩის მოგება, მაგრამ...“ — ეს სიტყვები „მამლების“ კაპიტანს, რაფაელ იბანესს ეკუთვნის.

როგორ განვითარდება მოვლენები მომავალში, ვერაფერობით გაურკვეველია. მიუხედავად იმისა, რომ სკრელას ნდობა გამოუცხადეს და ნაკრების მწვრთნელად დატოვეს, ბევრი რამ შაბათს ფრანგებისა და შოტლანდიელების დაპირისპირებისას გაირკვევა. ამჯერადაც თუ წააგეს ფრანგებმა...

საამმატჩოდ მწვრთნელმა ეს მოთამაშეები იხმო: *კრისტიან კალიფანუ, რაფაელ იბანესი, ფრანკ ტურნერი, ოლივე ბრუზე, ტიერი კლედა, კრისტიან ლაბი, რიშარ კასტელი, ტომას ლიეკერმონი, ფილიპ კარბონო, ტომას კასტანიე, კრისტოფ დომინიკ, ფრანკ კომბა, პასკალ �ordანი, ქსავიერ გარბაჯოზა, ედილ ნტამაკი, კრისტოფ ლასიუკ, დავიდ ოკანი, ტომ ლიმარი, კრისტოფ ჟულიე, დავიდ ორდუ სილვენ მარკონ, მარკ დალ მაზო.*

სარბიელის არქივიდან

რვაკვირიანი შესვენების შემდეგ ინგლისელი ოსტინ ჰოლი კვლავ ნაკრებშია

დაბრუნება

საფრანგეთ-შოტლანდიის გარდა ტურნირის ბოლო ტურში ერთმანეთს უელსი და ინგლისი დაუპირისპირდებიან. პირველობის მოგების ყველაზე დიდი შანსი ალბიონელებს აქვთ და, ალბათ, არც გაუშვებენ ამ შანსს ხელიდან, თან ამ მატჩის მოგების შემთხვევაში, ინგლისელები „დიდ სლემსაც“ მოიპოვებენ, რომელიც ოთხივე მატჩის მომგებ გუნდს გადაეცემა. გუშინ ინგლისელთა მწვრთნელმა კლაივ ვუდვორდმა საზოგადოებას იმ 22 მობურთალის ვინაობა ამცნო, რომლებიც კვირას უელსელებს შეერკინებიან. რვაკვირიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ნაკრებს ოსტინ ჰოლი დაუბრუნდა. მორაგბეს ინგლისის პირველობის მატჩში ზედმეტი უხეშობისათვის რვაკვირიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, რომელსაც ვადა მატჩამდე 24 საათით ადრე გასდის. სპეციალისტთა აზრით, ორი თვის უთამაშებელი მორაგბის ნაკრებში აყვანა, თან ასეთი მნიშვნელოვანი მატჩისთვის, მწვრთნელის უდიდესი შეცდომა იყო. ვუდვორდი კი სულ სხვა აზრისაა — „მიუხედავად იმისა, რომ ოსტინს ორი თვეა, არ უთამაშია, იგი ინდივიდუალურად ვარჯიშობდა და სპორტული ფორმა არ დაუკარგავს. ამიტომაც ავიყვანე გუნდში და იმედი მაქვს, თავს არ შეირცხვენს“. თავად მობურთალი მწვრთნელის საქციელმა უზომოდ გაახარა და აცხადებს, რომ უელსელებთან მატჩში ყველაფერს გააკეთებს გუნდის წარმატებისთვის. მის გუნდს მეტ დოუსონიც დაეხმარება, რომელიც ორი კვირის წინ დაშავდა, მაგრამ საკმაოდ მალე გამოჯანმრთელდა და უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს. სამაგიეროდ, ინგლისელებს ბრექენი და რიისი გამოაკლდებიან, რომლებმაც ჯერაც ვერ მოიშუშეს ფრანგებთან მატჩში მიღებული ტრავმები. ალბიონელთა სრული შემადგენლობა კი ასე გამოიყურება: ნიკ ბელი, მაიკ ქეტი, მეტ დოუსონი, ტონი ანდერვუდი, ჯონი ვილკინსონი, გარეთ არწერი, ნილ ბეკი, ბენ კლარკი, რიჩარდ კოკრილი, მარტინ კორი, ლოურენს დალალიო, დარენ გერფორსი, რიჩარდ ჰილი, მარტინ ჯონსონი, ჯეისონ ლენარდი, ნილ მაკარტი, ტიმ როდბერი, გრეგ როუნთრი, ვიქტორ უბოგუ.

კაატა თოთაძე

მხატვრული ტანვარჯიში

ინგა თავდიშვილი

ქალური სიტყვა

ყველამ იცის, რომ ქესატად მყოფი მხატვრული ტანმოვარჯიშეებისთვის უცხოური შეჯიბრებები თუ საწვრთნელი შეკრებები მიუწვდომელი ფუფუნებაა. ახლახან ვიუწყებოდით, ჩვენი სამკაციანი დელეგაცია ბერძნულ ტურნირზე გასამგზავრებელი ფულის შოვნაზე ათენ-ალამებსო. ნათქვამია, ვინც ეძებს, პოულობსო და მათაც რუსთავის მერიის შემწეობით წასვლა მოუხერხებიათ. ის კი არა, საუკეთესო ტანმოვარჯიშე ინგა თავდიშვილთან ერთად თავთავიანთი ქალაქების მესვეურთა დახმარებით ელადაში სხვა ჩვენებურთაც უასპარეზიათ. მთლიანობაში კალამატას ტრადიციულ, მეშვიდე საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა პირველი სამეული მონაწილეობდა. შედეგი კი ასეთია: თავდიშვილი რვა საუკეთესოს შორის მოხვდა, ბათუმელი ვანდა კერესელიძე მე-18 იყო, ხოლო თბილისელი ნინო გედევანიშვილი — 29-ე.

რალა თქმა უნდა, პირველად უკეთესი შედეგის მქონე თავდიშვილს და მის მწვრთნელ ნანა ლონდარიძეს გავესაუბრეთ:

— სიტყვა არ გატეხეთ — რვა საუკეთესოში მოხვდით...

— ინგამ აბსოლუტურში მეშვიდე ადგილი დაიკავა, 3 დისციპლინაში ფინალშიც გავიდა და სულ 78,1 ქულა დააგროვა. დანაპირები კი შევასრულეთ, მაგრამ თქვენთან პირს თუ არ გავიტეხდით, არ გვეგონა.

— ამის მიზეზი რა არის?

— ტანჯვა-წამებით ჩასულთ 32 ქვეყნის 57 წარმომადგენელთან პაექრობა გველოდა. ძლიერი შემადგენლობა დაგვხვდა, თანაც თავდიშვილმა ვარჯიშზე ტერფი დაიზიანა. ჩვენც იმედი გადაგვეწურა. საბედნიეროდ, ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და სიტყვაც აღარ გავტეხეთ.

— იქაურ სპეციალისტთა აზრიც გვაინტერესებს.

— თითქმის ყოველი ასპარეზობის შემდეგ გვაქებდნენ უცხოური დელეგაციები. მე კი იმას ვფიქრობდი, ნეტავ იცოდეთ, რა პირობებში გვიხდება წვრთნა და როგორი გაჭირვებით ჩამოვაღწიეთ საბერძნეთში-მეთქი. ამიტომაც უცხოელთა შეფასებები გულს მალამოდ ედებოდა. ისრაელის წარმომადგენლებმა სულაც ინგას ქართველობაში ეჭვი შეიტანეს და ებრაელიაო, ამბობდნენ, აქაოდა ქართველს არ ჰგავხარო. ამას ისე გვიმტკიცებდნენ, ლამის ჩვენც დავეჭვდით. ეს ხუმრობით, ისე კი, ჩემმა აღსაზრდელმა მართლაც კარგად იასპარეზა. ვფიქრობ, აწი მას გრანდებთან ტოლ-სწორად პაექრობაც შეუძლია. ეს მარტო ჩემი აზრი არაა.

— მოსამზადებელი პერიოდით არცთუ კმაყოფილი იყავით. ეს წინა ინტერვიუშიც ბრძანეთ..

— რა მეთქმის, მინიმალური პირობებით ის შედეგი ვაჩვენეთ, რაც დღესდღეობით ჩვენი მხატვრული ტანვარჯიშის მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ცუდ პირობებზე საუბარი მომაბეზრებლად მეჩვენება. ამას სჯობს, ხელები დავიკაპიწოთ, მით უმეტეს, სამუშაო ბევრია. უფრო მეტ ყურადღებას ფიზიკურ მომზადებას დავუთმობთ. ქართველ ქალს გრაციოზულობა და მოქნილობა არ აკლია და ამ კომპონენტსაც მეტად დავხვეწთ. დანარჩენი კი დროის და ფულის საქმეა.

— სამომავლო გეგმებზეც ვთქვათ.

— უფულობას კვლავაც ვერსად გავექცევით. აი, ახლა საფრანგეთის ტურნირზე ვერ ვახერხებთ წასვლას. იქ კი ყველა ის ტანმოვარჯიშე მოიყრის თავს, ვისაც მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი აქვს, მათთან შეჯიბრი კი ძალიან წაგვადგებოდა.

ისევ და ისევ რუსთავის მერიის გვეიმედება. მისგან ყურადღება არ გვაკლია და ახლაც დაგვპირდა სახსრების გამოძებნას. თუ ასე იქნა, აპრილის ბოლოს ისრაელში საერთაშორისო ტურნირზე ვიასპარეზებთ და სამომავლო კალენდარსაც იქაური შედეგების გათვალისწინებით შევადგენთ.

მამუკა ტულუზი

კრივი

კანდელაკის მეტოქე პატარაა და მუშა

გიორგი კანდელაკი აღდგომის დღესასწაულს ლონდონში შეხვდება. 1997 წლის მსოფლიოს ჩემპიონი მშობლიური ვარიანიდან პირველ აპრილს გაემგზავრა ბრიტანეთს, სადაც პროფესიულ რინგზე მეშვიდე ბრძოლას გამართავს. გიორგიმ ქომაგები გამარჯვებებს ისე შეაჩვია, რომ მისგან მხოლოდ წარმატებებს ელიან, თანაც ნოკაუტით. ექვსი პროფესიული ჩხუბიდან ხომ კანდელაკმა ხუთი სწორედ ნოკაუტით მოიგო. ცხადია, მის გულშემატკივარებს აინტერესებთ თუ როგორ ემზადება გიორგი ინგლისში, ამიტომაც გუშინ მას ლონდონში დავუკავშირდით...

— მეშვიდედ პროფესიულ რინგზე 24 აპრილს ვიჩხუბებ, შეხვედრა ლონდონის ჩრდილოეთით, ერთ პატარა ქალაქში გაიმართება.

— მეტოქის ვინაობა არც ახლა იცი?

— სლოვაკია, სამწუხაროდ, გვარი არ ვიცი. თერთმეტი ბრძოლა გაუმართავს პროფებში და ორჯერ დამარცხებულა, მითხრეს, დაბალია, მაგრამ ძალიან სწრაფი და ტექნიკურიო, რამდენჯერმე ნოკაუტითაც უმარჯვია.

— თუ ასეთი მაგარია, მძიმე ბრძოლა მოგელის

— რინგზე გასვლისას მოკრივე ყოველთვის მობილიზებული და ყურადღებიანი უნდა იყოს. უჩხუბრადაც არავინ არაფერს დათმობს, ცხადია, სლოვაკიც გამარჯვებისთვის იბრძოლებს, თუმცა არც მე ჩამოვსულვარ ტყუილად ლონდონში. რინგზე მხოლოდ მოსაგებად გავალ.

— ექვსი შეხვედრიდან ხუთში ნოკაუტით იმარჯვე, ამჯერად რას აპირებ?

— ნოკაუტით მოგება, იცოცხლე, კარგია, კრივის სამყაროშიც უფრო დაფასებული ხდება კაცი. 24 აპრილსაც ჩემსას ვეცდები, თუმცა წინასწარ ვერ დაგპირდებით ნოკაუტი იქნება-მეთქი, მთავარი მაინც გამარჯვებაა.

— ცხადია, ბრძოლისთვის თავგამოდებით ემზადები, პირობებსაც საუკეთესოს შეგიქმნიდნენ, ერთი სიტყვით, გვითხარი, როგორ ფორმაში ხარ?

— დღეში ორჯერ ვვარჯიშობ, ბულგარელი მწვრთნელი ტაკოვი გვერდიდან არ მშორდება, ოცდაოთხი აპრილის ბრძოლას სრულ მზადყოფნაში შევხვდები. ახლახან ჩემი მენეჯერი ფრენკ მელოუნი მელაპარაკა, წარმატებები მისურვა და სამომავლო გეგმებზეც ჩამომიგდო სიტყვა.

— რაო, რას გიპირებს?

— კონკრეტულად არაფერი უთქვამს, 24 აპრილის მერე დავსხდეთ და მომავალ ბრძოლებზე წვრილად ვისაუბროთო.

— თბილისში როდისღა დაბრუნდები?

— ზუსტად ვერ გეტყვით, ესეც ფრენკ მელოუნზეა დამოკიდებული. შეიძლება ისე მოხდეს, მერვე ბრძოლაც ინგლისში გავმართო, თუ ასე გადაწყდა, მაშინ კვლავ მომიწევს ბრიტანეთში გაჩერება.

ქახა ხურციძე

გიორგი კანდელაკი უცნობ სლოვაკთან საბრძოლველად ემზადება

ოლიმპიზმი

პრინცის პრინციპები

ჰოლანდიის პრინცი ვილემ-ალექსანდერი სპორტის თავგადაკლული ქომაგი ბრძანდება და, თუკი ზოგიერთ დასავლელ კოლეგას ვერწმუნებით, ამ საქმეში ჭიპი თუ არა, ნეკის ფრჩხილი ნაღდად უნდა ჰქონდეს მოჭრილი. ყოველ შემთხვევაში, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მისი ჰოლანდიური უდიდებულესობა ნაგანოს შარშანდელი ზამთრის ოლიმპიადის მსვლელობისას თავის კანონიერ წევრად მიიღო და ამით გაწეული ამაგიც დაუფასა და სამომავლო ამაგისთვისაც შეაგულიანა.

მაგრამ გამოხდა ჟამი და სოკ-ის საკუჭნაოში ერთი-მეორის მიყოლებით ერთი-მეორეზე ზორბა ვირთხების დაჭერა დაიწყეს. ამაყმა პრინცმაც, ბევრი უყურა თუ ცოტა უყურა, ამგვარად გავირთხებულ ვითარებაში დარჩენა თავისი სამეფო ღირსებისათვის შეუფერებლად მიიჩნია და ორგანიზაციიდან დროებით გამოსვლის შესახებ განაცხადა. დაბრუნების ერთადერთ წინაპირობად პრინცმა „სოკ-ის დაუყოვნებლივი დევირთხიზაცია და დეტარაკანიზაცია" დაასახელა.

როგორც ჩანს, კომიტეტის ამასწინანდელ საგანგებო ყრილობაზე მიღებული საპყარი და უკბილო გადაწყვეტილებები ვილემ-ალექსანდერმა მისი მოთხოვნის ადექვატურად მიიჩნია, რადგანაც გუშინ ჰოლანდიურ პარლამენტში გავრცელებული ქსივის თანახმად, იგი ივნისიდან ისევ მოისხამს ოლიმპიურ ლაბადას. „დიახ, პრინცი აღიდგენს თავის სოკ-ურ სტატუსს.. იგი თვლის, და მის აზრს მთავრობაც იზიარებს, რომ კომიტეტმა სოლიდური ნაბიჯები გადადგა კორუფციისა და მექრთამეობის წინააღმდეგ ბროლაში და, რომ მისი წევრობა აღარანაირ საფრთხეს აღარ შეიცავს პრინც ვილემის მაღალი და სპეტაკი ღირსებისათვის", - სწერია ხსენებულ განცხადებაში.

ლევან ძელაურაძე

მძლეოსნობა

კოემ კოლეგებს ფული უნდა შეოვოს

სებასტიან კოემ (254) მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადაზე, 1500 მეტრზე იმარჯვა

ბრიტანეთი სამძლეოსნო მიძინებიდან გამოსვლას ლამობს. ორგზის ოლიმპიური მეოქროვის, 1500 მეტრზე 1980-სა და 1984 წლებში ნახეირები მორბენლის სებასტიან კოეს იერარქიული აღზევებაც სწორედ ამ გზაზე გადადგმულ ერთ ნაბიჯად უნდა აღიქმებოდეს. კოე გუშინ გაერთიანებული სამეფოს უზენაესი სამძლეოსნო კანტორის კომერციული ფრთის თავმჯდომარედ დაუნიშნავთ და, თუკი იქაურ დიდმახვშებს ვენდობით, ბრიტანული მძლეოსნობის კომერციულ მხარესაც აწი დალხენილი დროება მოელის.

მახვშებს, კოეს გამორჩეული ფხიანობისა და მარიფათიანობის გარდა, თურმე მისი პოლიტიკური გამოცდილებაც ეიმედებათ. დიდი ჩემპიონი ხომ წლების განმავლობაში ქვეყნის პარლამენტის წევრი და კონსერვატორული ოპოზიციის ლიდერ, უილიამ ჰეიგის პირადი მდივანი და ნაზირ-ვეზირი ყოფილა. „ასე რომ, მას სპორტული და კომერციულ-პოლიტიკური წრეების დაახლოვების საქმეში გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია", - ფიქრობენ იქაური ფუნქციონერები.

თავად კოე კი მასზე დაკისრებული მოვალეობების პირნათლად შესრულებას იქადის და, განსაკუთრებულ ყურადღებას დიდი სამძლეოსნო ტრასების ბრიტანეთის ტერიტორიაზე გავლას დავუთმობო - აი, ასე ლაპარაკობს.

ლევან ძელაურაძე

სალტო მორტალე ჰიმალაის თავზე

შაბათს გამგზავრებული მეორე ქართული ჰიმალაის ექსპედიციის წევრები, რომლებსაც დედამიწის უმაღლესი მწვერვალის დალაშქვრა განუზრახავთ, ნეპალის დედაქალაქ კატმანდუში ჩაფრინდნენ. ისინი ახლა იქ ორგანიზაციულ საქმეებს აგვარებენ და ერთ-ორ დღეში ჩინეთისკენ, უფრო ზუსტად ტიბეტისკენ გაუდგებიან გზას, რათა ჯომოლუნგმაზე სწორედ იქიდან, ჩრდილოეთის კლასიკურ მარშრუტზე სცადონ ბედი.

კატმანდუში ჩასულ ამ ექსპედიციას, რომელსაც გია თორთლაძე მეთაურობს, ნეპალის დედაქალაქში არ დახვედრია იმავე მწვერვალზე სამხრეთის კლასიკური მარშრუტის გავლის განზრახვით ჩასული. ფაქტობრივად საქართველოს მეორე ექსპედიცია „კავკასია 99“, ბენო ქაშაკაშვილი რომ ხელმძღვანელობს. ისინი კატმანდუდან ნეპალის მაღალმთიან სოფელ ლუკლაში გადაფრენილან, იქიდან ჯომოლუნგმასკენ მიმავალ გზას დადგომიან და წესით და რიგით ახლა საბაზო ბანაკიც მოწყობილი უნდა ჰქონდეთ.

რაკი გია თორთლაძის გუნდის წევრები კატმანდუში საორგანიზაციო საქმეებზე დარჩიან, თვალი მივადევნოთ ბენო ქაშაკაშვილის ექსპედიციის მიერ განვლილ გზას, რომელიც უამრავ ჯანიან და ფულიან ტურისტს იზიდავს ზღაპრულ, სულისშემძვრელ სანახაობაში.

ეს გზა 1982 წელს ჩვენც გავიარეთ, როცა იმ გაზაფხულზე ჯომოლუნგმაზე ასულ პირველი საბჭოთა ექსპედიციის ნაკვალევს გავყევით. ახლა მაშინდელ ნახან-განცდილზე გიამბობთ, რაკიდა მას მერე აქ ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა და მთაბეჭდილებებიც იგივე რჩება.

კატმანდუს აეროპორტში (1350მ), რომელსაც მთელს ნეპალში ერთადერთი ბეტონის ბილიკი აქვს, ლუკლაში გადასაფრენად, უფრო სწოროდ 3000 მეტრის სიმაღლეზე მდებარე ამ სოფელში ასაფრენად, უთენია მივედით. იქიდან ლუკლაში პატარა, 15-15 ადგილიანი თვითმფრინავებით მხოლოდ დილაადრიან, მშვიდ ამინდში მიფრინავენ, მანამ ბუნება გაიღვიძებს, გამოფხიზლდება და ღრუბლები აიჯაგრება. გზად თუ ღრუბელი შემოეყრებათ, უმალ პირს იბრუნებენ, რადგან ფრენის ბოლოს, დაშვებისას ისინი ბუმბერაზი მთების ხეობაში სლალომით მიიკვლევენ გზას.

მაშინ ჩვენმა თვითმფრინავებმა აღმოსავლეთისაკენ სწრაფად აიღეს სიმაღლე და სულ რაღაც ხუთიოდე წუთის შემდეგ ცენტრალური ჰიმალაის მთავრეხილის პარალელურად მივფრინავდით. ულურჯესი ცის კაბადონზე ერთი ნაფლეთი ღრუბელიც არ ჩანდა.

გაფრენამდე ნეპალის სამეფოს ავიასამსახურის მუშაკებმა ყველას გვაჩუქეს ამ მწვერვალების პანორამული რუკა. მასზე მხოლოდ ის მწვერვალები იყო გამოსახული, რომლებიც კატმანდუდან ლუკლამდე ფრენისას უნდა დაგვენახა. რვაათასიანებს ისედაც ვცნობდით. მათზე დაბალი მწვერვალების ამოცნობაში კი ის პანორამული ფოტოსურათივით რუკები გვეხმარებოდა. სულ ახლოდან ვნახეთ 20-მდე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მწვერვალი ლენგტანგ ლირუნიდან (7246) დაწყებული და დამთავრებული მაკალუთი (8175). მათ გასწვრივ დინჯად მივფრინავდით და ისე ვათვალიერებდით მწვერვალებს, როგორც საგამოფენო დარბაზში ერთ მხარეს დაკიდებულ ექსპონატებს.

აი, გამოჩნდა გაურიზანკარი (7145), რომელიც ერთხანს... კილომეტრნახევრით მაღალ ჯომოლუნგმაზე დიდი ეგონათ.

გაურიზანკარი კალეიდოსკოპივით იცვლიდა ფორმასა და შეფერილობას — თავზე ხან შავი ყაბალახი ეხურა, ხან — თეთრი; ხან ორთავიან დევს მოგვაგონებდა, ხანაც თეთრთავიანი გოლიათის ბიუსტივით იჯგიმებოდა.

შორს, ჩრდილოეთით დავინახეთ რვაათასიანებში ყველაზე ტანმორჩილი, განმარტოებით აყუდებული შიშა პანგმა (იგივე გოზაინტანი — 8013), მის ირგვლივ მხოლოდ ექვსიათასიანები შემოჯარულიყვნენ და ამიტომ შიშა პანგმა მათ ამაყად გადმოჰყურებდა. იმ ექვსიათასიანებს შიშა პანგმადან გადმოხედეს გია თორთლაძემ და მერაბ ნემსიწვერიძემ, მაგრამ ეს მერე იყო, 1992 წელს, ჩვენი გადაფრენისას კი რვაათასიანებზე ჯერ ერთ ქართველსაც არ შეედგა ფეხი.

თორთლაძე შიშა პანგმაზე მეორედაც ავიდა, 1996 წლის შემოდგომაზე, 13 დღით ადრე კი დალაშქრა ჩო ოიუ, რომელიც იმ ხანად 8189 მეტრის სიმაღლის მწვერვალად იყო მიჩნეული, მერე კი 8201 მეტრამდე „გაზარდეს“.

თვალს ვერ ვწყვეტდით ჩო ოიუსა და სხვა მწვერვალებს. ჩვენი ფოტოკინოკამერებიც ასევე ხარბად ნთქავდნენ ფირებს. თან მზერა აღმოსავლეთისკენ გაგვირბოდა — იქიდან, იმ უკიდეგანო ზღვა სითეთრიდან კუნძულივით უნდა ამოზიდულიყო დედამიწის უმაღლესი მწვერვალი, მისი მეზობელი ლჰოცზე (8501) და მათზე არანაკლებ სახელგანთქმული, ლამის რვაათასიანი ნუფცზე (7906).

და აი, მართლაც თანდათან გამოიკვეთნენ ეს მწვერვალები. შორიდან სამივე ერთ მთლიან გოლიათად მოჩანდა, როგორც აისბერგი.

წინა პლანზე ნუფცზეს უზარმაზარი მასივი გაწოლილიყო. მთელი მასივი ერთი სიმაღლისა მოჩანდა, თითქოს თარაზოთი გაუსწორებიათო. უკანა პლანზე მარჯვნივ სამთავიანი ლჰოცზე იყო, უფრო უკან, ცენტრში ჯომოლუნგმას ზედა ნაწილი ეგვიპტური პირამიდასავით აღმართულიყო.

აღმოსავლეთით, ცის კაბადონზე გამოჩნდა კიდევ ერთი ბუმბერაზი, მაკალუ (8475).

მაკალუს იქით გვეგულებოდა ჰიმალაის უკანასკნელი ბუმბერაზი, ხუთთავიანი კანჩენჯანგა (8585), რომლის მწვერვალზე ნეპალ-სიკჰიმის საზღვარი გადის.

მანამ კანჩენჯანგას ილუმინატორიდან ვეძებდით, ჩვენმა თვითმფრინავმა მოულოდნელად „დაყვინთა“. იმ დროს სავარძლიდან წამომდგარი ვაგრძელებდი სურათების გადაღებას. უცებ სტიუარდმა მაჯაში ხელი მტაცა და შეშფოთებულმა იყვირა, ჩქარა თქვენს ადგილზე დაბრძანდით და ღვედები შეიკარითო. იმ კაცის გამომეტყველებამ მეც შემაკრთო. თვალი მფრინავის ღია კაბინისკენ გამექცა. კარს იქიდან ჩანდა თოვლიანი მწვერვალი, რომელიც სწრაფად გვიახლოვდებოდა.

პირკატა მეცა. ჩვენი თვითმფრინავი თავდაყირა დაეკიდა. ველარ გამეგო, თვითმფრინავი ვარდებოდა თუ იძულებით ჯდებოდა. ელდანაკრავს, ღვედების შეკვრაზე რომ ვჯახირობდი, ფოტოაპარატი ერთ მხარეს გადამივარდა, კალამი და უბის წიგნაკი — მეორეზე. ის იყო, ღვედების საკეტმა გაიტკაცუნა, რომ თვითმფრინავი ერთბაშად ჰორიზონტალურად გასწორდა და დედამიწასაც დაეხეთქა. მერე ხტუნვა-ხტუნვით და კისრისტეხით წინ გავარდა. მთის კედელივით დამრეცი ფერდობი ჩვენკენ გამოქანდა და თვითმფრინავმაც უმალ დაიწყო დამუხრუჭება. ის იყო, იმ კედელს უნდა შესკდომოდა, რომ ერთ ადგილზე გაქვავდა.

ჩვენი თვითმფრინავი ლუკლას აეროდრომზე დაჯდა.

აეროდრომი ყოველმხრივ მთებს შორისაა მოქცეული. დასავლეთი ზოლის ერთ თავში უფსკრულია, მეორე თავში — მთის ციცაბო ფერდობი. თვითმფრინავი სწორედ უფსკრულის თავზე ეშვება. ასაფრენ-დასაფრენი ზოლი საკმაოდ დამრეცია და მფრინავ მოთხილამურეთა ტრამპლინს წაგავს. ამიტომ როცა თვითმრინავი აღმართზე ჯდება, გაცილებით სწრაფად მუხრუჭდება.

აეროდრომზე შეკუბეული ხალხი დაგვხვდა. მათ შორის ქართველი მთამსვლელები ირაკლი გელდიაშვილი და დავით ბაიდაური (საუბედუროდ, მერე გელდიაშვილი უშბაზე თანაგუნდელებთან ერთად დაიღუპა, ბაიდაური კი დიდი განუკითხაობის წლებში ქუჩაში სასიკვდილოდ დაჭრეს), რომლებიც საბჭოთა ალპინისტების საბაზო ბანაკიდან ბრუნდებოდნენ. ერთმანეთის მოკითხვა რიგიანად ვერ მოვასწარით, ისე ჩასხდნენ „ჩვენს“ თვითმფრინავში.

ძრავა კვლავ ახმაურდა, მანქანა აგუგუნდა, ამაგძაგდა, ადგილს შურდულივით მოსწყდა და თავდაღმართში კისრისტეხით გადაეშვა. მალე ჰაერში აიჭრა რამდენიმე მეტრზე, მაგრამ მოულოდნელად მიწაზე დავარდა. მერე თითქოს უკანასკნელი ძალა მოიკრიბაო, კვლავ აფრინდა და იმჯერადაც სიმაღლე რომ დაეკარგა, ალბათ, უფსკრულში ჩაიჩეხებოდა.

აეროდრომზე ენახეთ ორი დამსხვრეული თვითმფრინავიც. ერთი მათგანი აქ დაჯდომისას დალეწილა და მისი ფრთები და ფიუზელაჟი ღობის ფუნქციას ასრულებდნენ.

მეორე თვითმფრინავს, უფრო დიდს, აქამდე მშვიდობით ამოუღწევია, მაგრამ უკან გაბრუნება ველარ მოუხერხებია, რადგან ასაფრენი ზოლი ეცოტავა. იგი როგორც ფრთამოტეხილი ფრინველი, სამუზეუმო ექსპონატივით იდგა.

ახლაც ისევე განისვენებს.

ვიდრე ლუკლას აეროდრომი მოეწყობოდა, შერპები მსუბუქი ბარგით კატმანდუმდე ფეხით ჩასვლას 6 დღეს ანდომებდნენ, მთამსვლელთა მძიმედ დატვირთული ექსპედიციები კი ამ მანძილს ორ კვირაში გადიოდნენ.

ეს აეროდრომი შერპ თენსინგ ნორგეისთან ერთად ჯომოლუნგმაზე პირველამსვლელ ახალზელანდიელ ედმუნდ ჰილარის მოუწყვია. მერე ჰილარის ცოლ-შვილი აქ მშვიდობიანად ჩამოსულა და იქიდანაც მშვიდობით გადაფრენილა, მაგრამ კატმანდუს მშვენიერ აეროდრომზე კატასტროფაში დალუპულა.

ასე იყო თუ ისე, ლუკლადან ჯომოლუნგმისკენ საცალფეხო ბილიკით გავუდექით გზას.

ახლა ბენო ქაშაკაშვილის გუნდიც ზუსტად ასევე აფრინდა ლუკლაში და გაუყვა დედამიწის უმაღლესი მწვერვალისკენ მიმავალ იმავე გზას, მაგრამ მანამ ამ საცალფეხო ბილიკზე მკითხველსაც შევუყენებდეთ, ორი-სამი დღით შევისვენოთ.

ავთანდილ გურასაშვილი

ავტორის ფოტოები



ლუკლა



ლუკლას აეროდრომი

გერმანელმგზმა, სამჭვოიარ

ყოველგვარი წესისა და რიგის თანახმად, სტამბულის 50-იანმა აუზმა 22 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით ევროპის საცურაო ჩემპიონატს უნდა უმასპინძლოს. მაგრამ გოროზი და განათლებული ევროპელები ყველა წესსა და რიგზე მაღლა საკუთარ უსაფრთხოებასა და უშიშროებას აყენებენ - მათ თურმე, ნუ იტყვითა და, თურქთა და ქურთთა შორის მიმდინარე სამხედრო კონფლიქტთან გეოგრაფიულად დაახლოვების პერსპექტივა არ ხიბლავთ და უმალ შინ დარჩენას არჩევენ, ვიდრე არასტაბილურ გარემოში მოხვედრას.

ზოგადევროპული გულისტკივილი გუშინ გერმანელთა ცურვის ფედერაციის პრეზიდენტმა რიუდიგერ ტრეტოვმა გამოხატა. „რაღა დაგიმალოთ და სტამბულში წასვლის დიდ სურვილს არც ერთი წამყვანი ძერეავა არ ამჟღავნებს. თუ ეგრე გაგრძელდა, იქ რაღაც მინი-ტურნირი უფრო მოეწყობა, ვიდრე სერიოზული ევროპული ასპარეზობა“, - უთქვამს ტრეტოვს.

გასულ უქმეებზე ჰონკონგის 25 მეტრიან აუზში 50 მეტრზე გულაღმა გამსოფლიოჩემპიონებულ სანღრა ფიოლკერს კი სულაც ისე დაუძენია, რომ გერმანელმა მამებმა თურქეთის დედაქალაქში გამგზავრება რომც ბრძანონ, იგი და მისი ეშხიანი მეგობრები მაინც სამშობლოში დარჩენას ამჯობინებენ.

მაგიდის ჩოგბურთი

სად გაშლიან მაგიდებს?

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ იუგოსლავიის დაბომბ-დარაკეტებამ სხვა მეტ-ნაკლებად წვრ-ილ-მსხვილი ორგანიზაციებისა და სახ-ელმწიფოთა უფროსობის გარდა აუტკივარი თავი მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ITTF) მამებსაც აუტკივა. აწ ცეცხლში გახვეულსა და გაპარტახებულ ბელგრადს ხომ აპრილში სატინგპონგე მსოფლიოს ჩემპიონატისთვის უნდა ემასპინძლა. რა-რა და სერბთა დედაქალაქში რაგინდარა სპორტული ღონისძიების მოწყობის შესაძლებლობა კარგა ბარაქიანი დროით გამორიცხა, ამიტომაც ITTF-ელმა გუთნისდედებმა ახალი კონკურსი გამოაცხადეს და შეუმდგარი პირველობაც აგვისტომდე გადაავადეს.

მეპინგპონგეთა გადაპატიჟების სურვილი კი უმალ 9 ქვეყანამ - ჰოლანდიამ, ჩინეთმა, ინდოეთმა, მალაიზიამ, ავსტრალიამ, შვედეთმა, ხორვატიამ და ავსტრია-უნგრეთმა (ერთობლივად) გამოთქვა. მათგან საუკეთესოს ფედერაცია 21 აპრილისთვის გამოავლენს.

ავტორგბოლა

ოპერა აირტონისთვის

ავსტრიული სტირიან ალპის ფორმულა 1-ის ტრასა აგვისტოს მეხუთე ან მეექვსე დღეს ერთ ღირსშესანიშნავ მოვლენას უმასპინძლებს. იქაურ კომპოზიტორ როლანდ ბაუმგარტნერს დიადი ბრაზილიელი მრბოლის, ფორმულა-1-ში სამგზის მსოფლიოს ჩემპიონის, 1994 წელს სან მარინოს გრან პრიზე ტრაგიკულად დალუპული აირტონ სენასთვის ერთი რამ როკ-ოპერა უძღვნია და მის პრემიერას სწორედ საამდღეებოდ გეგმავს. წარმოდგენა თურმე 625 ათასი დოლარი დაჯდება, ხოლო ცხონებული აირტონის როლის შესასრულებლად კომპოზიტორს ესპანელ-ჰოლივუდელი საჯიშე ბუღის ანტონიო ბანდერასის მოწვევა განუზრახავს. როკ-ოპერა მთელ ცივილიზებულ სამყაროზე გადაიცემა და სხვა ვინმე-რამეთა შორის მასში მონაწილეობას სენას სავარჯიშო ლურჯი „უილიამსიც“ მიიღებს. „აბა როგორ გინდათ? აირტონი თანამედროვეობის ერთი უდიდესი მითია და მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას საკადრისი მუსიკალური შეხმიანებაც სჭირდება“, - ამბობს ავსტრიელი კომპოზიტორი. ხოლო იმას, თუ რამდენად „საკადრისია“ ჰერ ბაუმგარტნერის ოპერა, მსოფლიო მელომანობა აგვისტოს ზემორეხსენებულ დღეებში გაიგებს. თუ ვერ გაიგებს და, ბევრი რამ არც ამით უნდა დაშავდეს.

ლევან კელაურაძე

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲑᲣᲠᲯᲔᲡᲗᲐᲜ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲓᲐ, ᲑᲠᲔᲪᲙᲘᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲛᲘᲣᲚᲝᲪᲐ

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲢᲘᲢᲣᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲰᲝᲙᲔᲘᲡᲢᲘ ᲙᲝᲢᲔ ᲑᲐᲮᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ

არ მეგულება კაცი, ეს სათაური წაიკითხოს და ქართველი სპორტსმენი წარმოიდგინოს. არადა, ასეა ჯერჯერობით ერთადერთ ქართველ ჰოკეისტს, ვინც დიდ ჰოკეიმდე მიაღწია კოტე ბახუტაშვილს ვესაუბრები. ჰოკეი ქართველთათვის უცხო სახეობა კია, მაგრამ უცნობი სრულიადაც არაა. საქართველოში ბევრია ჰოკეის გულშემატკივარი. ამიტომაც, ალბათ, საინტერესოა შეხვედრა იმ ადამიანთან, რომელიც სპორტის ამ სახეობის სამყაროდანაა.

— კოტე, პირველად, რა თქმა უნდა, ეს უნდა გკითხოთ: როგორ მოხვდით თბილისელი კაცი ჰოკეიში?

— 23-ე სკოლაში ვსწავლობდი. 1976 წელს სკოლაში ჰოკეის ჯგუფი ჩამოყალიბდა. ჯერ გორგოლაჭებით ვვარჯიშობდით, მერე კი სპორტის სასახლის გვერდით, ყინულის მოედანზე გადავედით. გვწვრთნიდნენ ნოდარ და ომარ დონაძეები და თემურ გიგინეიშვილი, რომლებიც თავადაც თამაშობდნენ ჰოკეის 60-იან წლებში. 82 წლიდან ბავშვთა საკავშირო ტურნირ „ოქროს შაიბაში“ ვმონაწილეობდი. ჩვენი გუნდი, ცხადია, სუსტი იყო და მეკარეზე დიდი დატვირთვა მოდიოდა. არაერთხელ მიმიღია საუკეთესო მეკარისა და ყველაზე ღირებული მოთამაშისთვის დაწესებული პრიზები. ერთ-ერთ გათამაშებაში 16 გუნდში მე-9 ადგილი დავიკავეთ, რაც დიდი წარმატება იყო ჩვენთვის. როცა რუსეთის ერთ-ერთ გუნდს 4:1 მოვუგეთ, ერთმა რუსმა მწვრთნელმა მამაჩემს უთხრა, ამ ბიჭს ჰოკეის თამაში გააგრძელებინეთო.

— გაგრძელებასაც გააჩნია. ცსკა-ში, საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში როგორ აღმოჩნდით?

— პირდაპირ მივადექი ცსკას სპორტსკოლას, მწვრთნელ იური რუმიანცევს და, თამაში მინდა-მეთქი, ვუთხარი. მაშინ ასე უბრალოდ, ყოველგვარი ზემოდან დარეკვის გარეშე ასეთი რამ არ კეთდებოდა. მაგრამ რუმიანცევისთვის ისეთი მოულოდნელობა იყო ქართველი ჰოკეისტი, რომ, ეტყობა, იფიქრა, ალბათ, რაღაცას წარმოადგენს, თორემ აბა, აქ რა უნდა. მოკლედ, დაინტერესდა და ჩავირიცხე ცსკა-ს სპორტსკოლაში.

— წარმატებებს მალე მიაღწიეთ?

— ერთ თვეში ძირითადი მეკარე ამოვაგდე შემადგენლობიდან. 1985 წელს საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრებში მიმიწვიეს და 89 წლამდე. ყველანაირ საკავშირო ნაკრებში„ ჭაბუკთა თუ ახალგაზრდულში ვითამაშე. ვიყავი ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი, ორჯერ ვითამაშე ოთხთა ტურნირზე შვედეთის, საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის და ფინეთის მონაწილეობით. ორჯერ, 86-ში და 88-ში კანადაში ვიყავი 8-10 მატჩიან ტურნეებში. ლენინგრადში მეორე ნაკრებთა ტურნირებშიც მითამაშია. 1989 წელს პერმში მოსკოვის ნაკრების შემადგენლობაში საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზე ჩემპიონები გავხდით და მე საუკეთესო მეკარის ტიტული მერგო.

— ეს ყველაფერი ახალგაზრდებში. მოზრდილებში?..

— მოზრდილებში ცსკა-ს სათადარიგო მეკარე ვიყავი. მაშინ ძირითადში ნაკრების გამოცდილი მეკარეები ბელოშეიკინი და ტიუნიხი იყვნენ. მე მათზე უმცროსი ვიყავი, ასაკი კი მეკარისთვის ბევრს ანუ გამოცდილებას ნიშნავს. 1989 წელს ჯარში გამიწვიეს. ვთამაშობდი პირველი ლიგის კლუბ სკა მვო კალინინში, რომელიც ცსკას ფარმკლუბია. 1991-1992 წლებში კი უკვე უმაღლესი ლიგის ყაზანის „იტილში“ ვთამაშობდი.

— ერთი ქართველი იყავით უცხო გარემოში. პრობლემები არ გქონდათ?

— სხვათა შორის, არა. თავიდან, ერთიორი თვე იყო პრობლემები, თუნდაც იმიტომ, რომ რუსები, მოგეხსენებათ, ორ შაურად იგინებიან დედას. მაგრამ მერე და მერე მიხვდნენ, რომ ქართველთან ასეთი ურთიერთობა არ შეიძლება და ყველაფერი მოგვარდა. მხოლოდ ერთხელ შემექმნა პრობლემა. 1989 წელს, საქართველოში დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა რომ დაიწყო, მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წამიყვანეს. არადა, მანამდე ძირითად მეკარედ ვითვლებოდი. ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი რობერტ ჩერენკოვი იყო და ამითვალწუნა. გამუდმებით მაგრძნობინებდა, რომ ნაკრებში არ წამიყვანდა. ამაზე მწყდება გული. ჩერენკოვი რა კაციც აღმოჩნდა, ახლა დამტკიცდა: რუსეთის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტ სიჩის მკვლელობის საქმეში ერთ-ერთ მონაწილედ გადიოდა.

— თქვენი აზრით, რა იყო ამ მკვლელობის მიზეზი?

— საქმეში ჩახედული არა ვარ, მაგრამ გამორიცხული არაა, სიჩი კომერციულ ინტერესებს შეეწირა. ჰოკეიში დიდი ფული ტრიალებს და ჯერ კიდევ ჩემი იქ ყოფნისას, მაგალითად, ცსკა-ს ადმინისტრატორი ვლადიმერ ბოგაჩი მოკლეს.

— თამაშს თავი რატომ დაანებეთ?

— ძირითადი მიზეზი ტრავმები იყო. ისე, სიტუაციაც არ იყო სახარბიელო. საერთოდ, ყაზანში, სადაც კარიერა დავასრულე, მაფიოზური ბანდები ბატონობდნენ. იქ ყველაფერი მაფიის ხელში იყო. მაგალითისთვის: მე რომ ვთამაშობდი, ახალი გამოშვებული იყო 07 და 09 მარკის მანქანები. ჰოდა, მაფიოზთა გარდა ეს მანქანები არავის უნდა ჰყოლოდა. ჩვენც, ჰოკეის გუნდს „ქრიშა“ გვყავდა, კანონიერი ქურდი ლიოშკა ფრანცუზი, რომელიც შემდეგ მოკლეს. სხვათა შორის, მარტო ყაზანში კი არა, მთელ რუსეთში ასე იყო. ყველა გუნდს თავისი მფარველი ჰყავდა კრიმინალთა სახით. ამას მოთამაშეებს არავინ გვეკითხებოდა, ხელმძღვანელობის დონეზე წყდებოდა ეს საკითხი.

— ცსკა-შიც ასე იყო?

— მე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდი მაქვს მხედველობაში. ცსკა-ში კი უფრო ადრე ვიყავი. თანაც ცსკა-ს მწვრთნელი, ცნობილი ვიქტორ ტიხონოვი ისეთი კაცია, გუნდს ვის გააკარებდა.

— თქვენ ტიხონოვის დროს იყავით ცსკა-ში. როგორი მწვრთნელი იყო?

— ნამდვილი ფანატიკოსია. საერთოდ, ბრეჟნევის დროს ჰოკეის დიდი ყურადღება ექცეოდა, რადგან თავად ლეონიდ ილიჩს უყვარდა სპორტის ეს სახეობა. ტიხონოვს, მაგალითად, თავისუფლად შეეძლო გენერალურ მდივანთან შესვლა.

— კანადაშიც გითამაშიათ. ძალიან განსხვავდება კანადური და რუსული ჰოკეი?

— ადრე სხვაობა დიდი იყო, ახლა კი ძალიან ბევრი ევროპელია კანადაში და სტილებიც აირია. ისე, კანადა მართლაც ჰოკეის სამოთხეა. იქ თამაშობენ ღია, მკაცრ, ვაუკაცურ ჰოკეის. კანადელი მაყურებელი ბრწყინვალედ ერკვევა ყველა ნიუანსში და არც ერთ კარგად შესრულებულ ძალისმიერ ილეთს, მეკარის ნაოსტატარს თუ გონებამახვილურ პასს არ დატოვებს უტაშოდ. გინდაც ეს მეტოქემ მოიმოქმედოს. მზაკვრული, პროვოკაციული თამაშის მოშრე უფრო ამერიკელები არიან.

— ტემპი უფრო მაღალია?

— საქმე ისაა, რომ კანადაში მოედნებიც განსხვავებულია და ისეა მოწყობილი, სადაც უნდა მოხვდეს შაიბა ბორტს, მაინც მეკარის მოედნისკენ მოსრიალებს. ამიტომ განუწყვეტლივ ყურადღებით ყოფნაა საჭირო. თან, ნაკლში ყველა მდგომარეობიდან ურტყამენ კარში. რუსეთში თამაშში საშუალოდ 20-25-ჯერ ურტყამენ, კანადაში კი 40 დარტყმა მინიმუმია.

— რუს ჰოკეისტებს აფასებენ?

— იქ ყველა ჰოკეისტს აფასებენ. ეს ჩემს თავზეც გამოვცადე, როცა სიკვდილს გადავურჩი. კანადაში ერთ-ერთი თამაშისას მეტოქის თავდამსხმელი კარს უკან გასრიალდა, მას ჩვენი მცველი მიჰყვა. მე კარის მეორე კუთხისკენ გავიწიე, სადაც კანადელი უნდა გამოჩენილიყო. მცველის მიხმარება მინდოდა. თავი ზედმეტად გადავწიე და ამხტარი კანადელის ციგურები მომხვდა კისერში. უცებ იმდენი სისხლი წამომივიდა, ცუდად გავხდი. ბიჭებმა წამომაყენეს, არ გაინძრეო, მითხრეს და ბორტთან მიმაცურეს. მისური სისხლით იყო გაჟღენთილი. სასწრაფოდ წამიყვანეს საავადმყოფოში, მთელი მედპერსონალი დამადგა თავს, ყველაფერი გააკეთეს და გადავრჩი. ციგურის პირი თურმე ოდნავ ასცდენია არტერიას და ამან გადამარჩინა სიკვდილს. მაშინ ვიგრძენი, როგორ უყვართ ჰოკეისტები კანადაში.

— ჰოკეისტთა წვრთნასა და დატვირთვებზე ლეგენდებს ჰყვებიან...

— დატვირთვები მართლაც უზარმაზარია. რუსეთის უმაღლეს ლიგაში წელი ისე არ გავიდოდა, ერთი მოთამაშე არ მომკვდარიყო.

— მეკარესაც გამორჩეული დატვირთვა აქვს?

— თავად განსაჯეთ: სხვები იცვლებიან, მეკარე კი სულ თამაშშია. მეკარის აღჭურვილობა 25 კილოგრამს იწონის. თავდაუზოგავად წვრთნის გარეშე წარმოუდგენელია, რაიმეს მიაღწიო.

— მაინც რა არის მთავარი ჰოკეის მეკარისთვის?

— ოსტატობის გარდა, რა თქმა უნდა, ნერვები. სიმშვიდე უნდა შეინარჩუნო. თავდამსხმელები, პირიქით, აღგაზებულნი უნდა იყვნენ. ამიტომაც ჩემს დროს ისინი მოედანზე გასვლის წინ ბალახეულისგან დამზადებულ სტიმულიატორებს სვამდნენ. ეს დოპინგს არ მიეკუთვნება, მაგრამ კი აღაგზნებს. მეკარე პირიქით, მშვიდად უნდა იყოს, ოღონდ ძალიანაც არა. მე, მაგალითად, ცოტა რომ გამოვფხიზლებულიყავი, ნიშადურის სპირტს ვხმარობდი. ოღონდ აქაც გადაჭარბება არ შეიძლება, გაგაბრუებს.

— თქვენს პარტნიორთაგან ცნობილი ჰოკეისტები თუ დადგნენ?

— ძალიან ბევრი. ცსკა-დან ახალგაზრდულ ნაკრებში მუდმივად ვხვდებოდით ოთხნი: პაველ ბურე, სერგეი ზუბოვი, ივანოვი და მე. ბურე და ზუბოვი ახლა ნჰლ-ში თამაშობენ.

— ბურეს მაშინვე ეტყობოდა, რომ დიდი ჰოკეისტი დადგებოდა?

— კი, მუდამ გამორჩეული იყო. არაჩვეულებრივად ბევრს ვარჯიშობდა, თაღლითობა ან თავის დაზოგვა გამორიცხული იყო. ესეცაა, მას ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდნენ. მამამისი ვლადიმერ ბურე ცალკეც ავარჯიშებდა.

— კანადაში დიდ მოთამაშეთა მატჩები თუ გინახავთ?

— ტურნეებისას დროის გამონახვა ძნელი იყო. თანაც, ფულიც უნდოდა მატჩზე შესვლას. ჩვენ კი ფულს მხოლოდ ბოლო დღეს გვაძლევდნენ, შეგვყრიდნენ რომელიმე სუპერმარკეტში და, იყიდეთ, რაც გინდათო. ეს იმიტომ, რომ თამაშისას საყიდლებზე არ გვეფიქრა. ამიტომ მატჩებზე ხშირად არ ვყოფილვარ. თუმცა, მაგალითად, „ედმონტონ ოილერზის“ და მისი დიდი ჰოკეისტების უეინ გრეცკის, პოლ კოფის, იარი კურის, მარკ მესიეს, გრანტ ფიურის თამაში ვნახე. სხვათა შორის, ედმონტონში, როცა ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა კანადელი თანატოლები დამარცხა, გასახდელში გრეცკი და კოფი შემოვიდნენ, ყველას ხელი ჩამოგვართვეს და გამარჯვება მოგვილოცეს.

— საქართველოში შეიძლება ჰოკეის განვითარება?

— დღესდღეობით, აბა, ჰოკეისთვის ვის სცალია, ისე კი, წარმოუდგენელი არაფერია. ვთქვათ, თუ გამოჩნდება სპონსორი, მილიონ დოლარად შეიძლება ყინულის მოედნიანი დარბაზის მოწყობა, ეს, თუ არ ვცდები, ფინური პროექტია და სამუშაოები მაქსიმუმ სამ თვეში სრულდება. ჩვენთან, თბილისში ერთი ციცქნა მოედანზეც ბევრია სრიალის მსურველი. მაგრამ ჩვენს ბიზნესმენებს მალევე უნდათ ფული და გრძელვადიან პროექტებს ნორმალურად ვერ აღიქვამენ. არადა, ასეთი დარბაზები ჩვენზე გაცილებით ცხელ ქვეყნებშია და კარგადაც მუშაობენ. ხოლო თუ ყინული იქნება, ჰოკეის გუნდის შექმნას წინ რაღა დაუდგება...

ᲘᲚᲘᲐ ᲛᲮᲔᲘᲫᲔ



ᲑᲐᲮᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲯᲔᲠ ᲓᲐᲣᲪᲐᲕᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲨᲕᲘᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ, ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ

ᲔᲠᲘᲓᲔᲗ ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐᲡ!

6 Ა�პᲠᲘᲚᲘ

ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ — ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ 4:2

1:0 2:0 1:2

1:0 რობერტსი 9'21 (12); 2:0 პრიმო 20'56 (30); 3:0 ონეილი 31'48 (15); 4:0 შეპარდი 45'27 (25); 4:1 ნიდერმაიერი 54'03 (10); 4:2 ნემჩინოვი 55'44 (12)

ამ შეხვედრის შემდეგ აღმოსავლეთში მეექვსე ადგილისთვის მებრძოლი გუნდები უთუოდ უნდა უფრთხოდნენ პლეი ოფში კაროლინასთან შეხვედრას. ცხადია, ერთი მატჩი ყველაფერს არ წყვეტს, მაგრამ, ჯერ ერთი, „ქარიშხლებმა“ ლიგაში სტუმრად ყველაზე უკეთ მოასპარეზე ნიუ ჯერსი დაამარცხეს, მეორეც, რაც ყველაზე მთავარია, კაროლინელებმა ლამაზად და თავდაჯერებულად ითამაშეს. მასპინძლებმა თავიდანვე კონტრშეტევებზე ააგეს თამაში და „ეშმაკთა“ სახელოვან დაცვას მარტინ ბროდოსთან ერთად აბუჩად იგდებდნენ. 46-ე წუთისთვის ყველაფერი გადაწყდა და კაროლინამ ჩემპიონატის დამთავრებამდე 5 მატჩით ადრე, ფაქტობრივად, გაინაღდა პლეი ოფში გასვლა, სადაც 1992 წლის შემდეგ არ უთამაშია. თუმცა ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ამ ხნის განმავლობაში „ქარიშხლებს“, უფრო სწორად, ზოგიერთ მათგანს, თასისთვის არ უბრძოლიათ. მეკარე არტურ ირბეს, ფორვარდებს ბერი რობერტსს, კეიტ პრიმოსა და სხვებს არ ესწავლებათ, რა არის პეი ოფი. აღარაფერს ვამბობთ რონ ფრენსისზე, რომელიც 1991-92 წლებში, პიტსბურგის ოქროს ხანაში, გუნდის ლიდერი იყო.

ᲤᲘᲜᲘᲫᲘ — ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ 0:1

0:0 0:1 0:0

0:1 ᲰᲝᲣᲚᲓᲔᲠᲘ 21'31 (9)

სან ხოსეს მესვეურებს თავსატეხი გაუჩნდათ — ვის ენდონ მომავალ პლეი ოფში. მართალია, ძირითად მეკარედ მიჩნეულ მაიკ ვერნონს 16-წლიანი გამოცდილება აქვს და ორჯერ სტენლის თასითაც დაუმშვენებია ხელი, მაგრამ, სამაგიეროდ, მისი შემცვლელი სტივ შილდსი (33 მოგერიება და მე-4 შათაუტი) ბოლო ხანს ისე ათამაშდა, რომ ტრავმამოშუშებულ უფროს კოლეგას აქამდე სათადარიგოთა შორის ამყოფებს.

სან ხოსე, ზედიზედ მეორე სეზონია, პლეი ოფში გადის.

ᲐᲘᲚᲔᲜᲓᲔᲠᲘᲡ — ᲑᲣᲤᲐᲚᲝ 3:4

0:1 2:2 1:1

0:1 ᲯᲣᲚᲘ 16'14 (8); 1:1 ᲡᲛᲝᲚᲘᲜᲡᲙᲘ 21'29 (16); 1:2 ᲞᲠᲘᲛᲝ 26'33 (5); 1:3 ᲣᲝᲠᲘᲜᲔᲠᲘ 33'05 (1); 2:3 ᲚᲘᲜᲓᲔᲜᲘ 35'30 (16); 2:4 ᲨᲐᲢᲐᲜᲘ 44'47 (36); 3:4 ᲑᲠᲘᲣᲔᲠᲘ 54'29 (5)

ამ მოგებამ ბუფალო 90-იან წლებში მეცხრედ გაიყვანა პლეი ოფში. „ხმლებმა“ მხოლოდ ერთხელ, 1996 წელს, ვერ მოახერხეს თასისთვის ბრძოლა.

ᲡᲐᲛᲕᲔᲚ ᲦᲐᲠᲘᲑᲘᲐᲜᲘ

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲔᲑᲘ

ᲐᲚᲐᲛᲘᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ						
ᲝᲢᲐᲕᲐ*	76	43	12	21	230|168	98
ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ*	76	42	11	23	230|187	95
ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ	77	32	16	29	198|196	80
ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ*	77	42	7	28	249|220	91
ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ*	77	36	14	27	232|210	86
ᲤᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ*	77	34	18	25	219|188	86
ᲑᲣᲤᲐᲚᲝ*	76	35	15	26	196|167	85
ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ	76	35	13	28	199|168	83
ᲠᲝᲩᲔᲡᲢᲔᲠᲘ	77	32	10	35	209|213	74
ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐ	76	27	18	31	195|207	72
ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ	76	30	10	36	172|193	70
ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ	76	31	6	39	195|201	68
ᲘᲚᲘᲜᲓᲔᲠᲘᲡ	77	21	10	46	177|230	52
ᲢᲐᲛ�პᲐ	76	18	7	51	167|277	43

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ						
ᲓᲐᲚᲐᲡᲘ*	76	47	12	17	217|158	106
ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ*	77	41	10	26	227|191	92
ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ*	77	41	6	30	232|192	88
ᲤᲘᲜᲘᲫᲘ*	77	38	12	27	194|180	88
ᲐᲜᲐᲰᲘᲛᲘ*	76	34	12	30	203|187	80
ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ*	76	33	12	31	218|195	78
ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ*	77	30	17	30	184|177	77
ᲙᲐᲚᲒᲐᲠᲘ	76	28	12	36	196|216	68
ᲔᲓᲛᲝᲜᲢᲝᲜᲘ	76	28	11	37	208|215	67
ᲩᲘᲙᲐ�გᲝ	78	25	12	41	185|240	62
ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘ	76	28	5	43	172|205	61
ᲜᲘᲣᲯᲘᲚᲘ	76	27	7	42	177|238	61
ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ	78	22	11	45	184|246	55

კონფერენციებიდან პლეი ოფში 8-8 გუნდი გადის. კონფერენციათა ცხრილებში პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან. ვარსკვლავით გამორჩეულია პლეი ოფში გასული გუნდი.

ჩემპიონთა თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩები. 7 აპრილი

CHAMPIONS

დინამო 3:3 ბაიერნი
1:0 შევჩენკო (15), 2:0 შევჩენკო (43), 2:1 ტარნატი (45), 3:1 კოსოვსკი (50), 3:2 ეფენბერგი (78), 3:3 იანკერი (88)
დინამო: შოვკოვსკი, ლუჟნი, გოლოვკო, ვაშჩუკი, კალაძე, გუსინი, ხაცკევიჩი (კირიუხინი 80), ბელკევიჩი, კოსოვსკი, შევჩენკო, რებროვი
ბაიერნი: კანი, მათეუსი, ბაბელი, კუფური, შტრუნცი, ტარნატი, იერემიესი, ეფენბერგი, სალიპამიჯიჩი, იანკერი, (დაეი 90) შოლი (ციკლერი 72)

მანჩესტერი 1:1 იუვენტუსი
0:1 კონტე (25), 1:1 გიგზი (90)
მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, ბერგი (იონსენი 46), სტამი, ირვინი, ბექემი, კინი, სკოულზი, გიგზი, იორკი (შერინგემი 79), კოული
იუვენტუსი: პერუცი, მირკოვიჩი, მონტერო (ფერარა 68), იულიანო, პესოტო, დი ლივიო (ტაკინარდი 78), დავიდსი, დეშამპი, კონტე, ზიდანი, ინძაგი (ესნაიდერი 88)


REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — იუვენტუსი 1:1. იან სტამისა და ფილიპო ინძაგის (მარჯვნივ) ორთაბრძოლა

მსოფლიოს ახალგაზრდა ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის

ნიგერია 2:0 გერმანია
1:0 შიტუ (60), 2:0 გარბა (70)

კოსტა რიკა 1:3 პარაგვაი
0:1 სანტა კრუზი (26), 1:1 გარიტა (30), 1:2 ვერა (50), 1:3 კუევასი (66)

განა 1:0 არგენტინა
1:0 ოფორი კუაე (76)

ხორვატია 5:1 ყაზახეთი
1:0 დერანია (7), 2:0 მილადინი (11), 3:0 საბოლჩკი (34), 3:1 ურაკაევი (67), 4:1 ბანოვიჩი (79), ბელანოვიჩი (88)

ავსტრალია 1:3 მექსიკა
0:1 მარკესი (2), 1:1 სტეროვსკი (47), 1:2 როდრიგესი (58), 1:3 ოსორნო (83)

საუდეთი 0:2 ირლანდია
0:1 მაკფილი (42), 0:1 დაფი (65)

რუსეთი

სპარტაკი 3:0 კრილია სოვეტოვი
1:0 ბეზროდნი (25), 2:0 ტიხონოვი (66), 3:0 ბეზროდნი (82)

თასის მეოთხედფინალი

როტორი 4:1 არსენალი
1:0 ეფიპოვი (5), 2:0 ზუბკო (67), 3:0 ვერეტენიკოვი (76), 3:1 პრიზეტკო (85), 4:1 ზუბკო (90)

დინამო 1:0 (დდ.) სატურნი
1:0 რომაშჩენკო (102)

ზენიტი 2:0 როსტსელმაში
1:0 ზაზულინი (35), 2:0 პოპოვიჩი (43)

ნახევარფინალებში დაწყვილდნენ: ცსკა — ზენიტი (გაიმართება 21.04); დინამო — როტორი (22.04)

ჰოლანდია

სიტარდი 1:2 ტილბურგი
1:0 ჰამინგი (30), 1:1 გალაშეკი (61), 1:2 აბდელაოუი (68)

ქალების რიალი, ძრავების ბრიალი


REUTERS სან პაულოდან

სანპაულური „ინტერლაგოსი“ 11 აპრილს ფორმულა-1-ის საამსეზონო მეორე რბოლას უმასპინძლებს... საამისო მზადება იქ უკვე კარგა ხანია გაჩაღებულა. აი, ეს მწკრივად მავალი მოდელ-გოგონები, გოგოცუნები და გოგოშკები კვირადღეს თავიანთ შეფარულ სიმდიდრეს თურმე უფრო ბარაქიანად გამოჰფენენ და რბოლის მაცქერალთა ყურადღებასაც შიგადაშიგ მეტი ხორციანობით მიიპყრობენ; აგერ ეს ხელმარჯვე მექანიკოსი კი მიხაელ შუმახერის „ფერარის“ ჩაჰკირკიტებს და ოდნავ შელახულ გულბოყვს უწესრიგებს...

REUTERS სან პაულოდან

საღ არის ნაცარქმქია?!


REUTERS სიდნეიდან

სიდნეის ერთ-ერთ უბანში ავსტრალიელი და ახალზელანდიელი დევები შეჯილდავებულან. თითო ქვეყანას თურმე სამი დევი წარმოადგენს. დევები ერთმანეთს სამი დღის განმავლობაში და 9 სახეობაში გაეჯიბრებიან... ორტონიანი ფურგონების გადათრევასა და სხვა ამგვარ შინაარსიან სახეობებს რომ თავი დავანებოთ, სიდნეურ ჯილდაობაზე გარკვეული აზრის შესაქმნელად ეს კადრიც იკმარებს. მასზე ავსტრალიელი გრანტ ედვარდსი 130 კგ-იან ქვას მიათრევს და თავი ყველაზე მაგარი დევი ჰგონია.

მთვარეულმა შეაბზრიალა

REUTERS ჰიუსტონიდან

ჰიუსტონის საბეისბოლო გუნდმა, „ჰიუსტონ ასტროსმა“ თავის „ასტროდომზე“ თამაში 1965 წლის 12 აპრილს დაიწყო და ამ სეზონის ბოლოს დაასრულებს. გაისიდან გუნდს ახალი, უფრო დიდი და შთამბეჭდავი ასპარეზი ექნება... ეს ბერიკაცი კი მთვარის პირველად დამტერფავი ადამიანი — ლეგენდარული ამერიკელი ასტრონავტყოფილი ნეილ არმსტრონგი გახლავთ. ამ 34 წლის წინ სწორედ მისმა საზეიმოდ შებზრიალებულმა ბურთმა გახსნა „ასტროდომის“ სახელოვანი ისტორია და მისივე საზეიმო ტყორცნით იხსნება წლევანდელი, უკანასკნელი სეზონის ბილიკიც.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვამაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29